პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 3 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 125 (1280)

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-ბიბლიოთეკის
[illegible]

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— ბულგარეთში გრძელდება ფაშისტური ტერორი.
— ხარბინში განახლდა საბჭოთა გაზეთის გამოცემა.
— პოლონეთში აგრარული „რეფორმის“ გატარების დროს მიწებს გენერლებს ურიგებენ.
— მცირე ანტანტის სახელმწიფოებს შორის სამხედრო-სარკინიგზო ხელშეკრულება დაიდო.
— ბერლინში გაანთავისუფლეს სპეკულიანტი ბარმატი და მისი შვილები.

„კომუნისტი“

ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვ. 75 კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში 1 მანეთი
პროვინციაში — 1 მ. 20 კაპ.

გრძელდება ხელის მოწერა ივნისისათვის

კიდევ ერთი ცდა დამარცხდა

ჩვენ ვლაპარაკობთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გარშემო მომხდარ კონფლიქტზე.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ჩინეთის რეაქციონერებმა მანჯურიაში ამ ბოლო დროს წამოყვეს თავი და გაახშირეს გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აქ დაუწყეს დევნა საბჭოთა მოქალაქეებს, უკრძალავდნენ მათ კრებების მოწყობას, ხარბინში დახურეს საბჭოთა გაზეთი და სხ. ამავე დროს ყოველგვარ მფარველობას უწევდნენ რუს თეთრგვარდიელებს.

მდგომარეობა უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ხსენებულ რკინის გზის გამგეობის ჩინელმა თავმჯდომარემ გენერალმა ბოო-გუი-ცზინმა გააუქმა რკინის გზის მმართველის ამხ. ივანოვის ბრძანება გზის იმ მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომელნიც არ არიან არც ჩინეთის და არც საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, ე. ი. ბრძანება რუს თეთრგვარდიელთა დათხოვნის შესახებ, რომელნიც ბლომად იმყოფებიან ამ გზაზე და ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ, რათა შელახონ საბჭოთა კავშირის ინტერესები და გაართულონ ურთიერთობა ჩინეთსა და ჩვენს შორის.

ამხ. ივანოვის ბრძანება სავსებით გამომდინარეობდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის როგორც ცენტრალურ (პეკინის) ხელისუფლებასთან, ისე მანჯურიის დიქტატორ ჩან-ძო-ლინთან დადებულ ხელშეკრულებიდან. მაგრამ ხელშეკრულების ამ მუხლის (რუს თეთრგვარდიელთა დათხოვნა) გატარებას სულ აჭიანურებდნენ ჩინეთის რეაქციონური ხელისუფალნი. ამ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება უკანასკნელად ბოო-გუი-ცზინის ზევით აღნიშნულ თავხედურ აქტში გამოიხატა.

ამ მტრულ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რამდენადაც საქმე ეხება ჩინეთის შინაურ ძალებს, ხელმძღვანელობს გენ. ჩან-ძო-ლინი. იგი მიილტვის გაავრცელოს თავისი დიქტატურა მთელ ჩინეთზე. მისი მოპირდაპირეებია გომინდანი (სუნ-იატ-სენის პარტია) და პეკინის მთავრობა, რომელთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად იგი ემზადება. ჩან-ძო-ლინს ჰგონია, რომ მათ მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობა. ამით აიხსნება მისი მტრული განწყობილება ჩვენს მიმართ.

ამასთან რუს თეთრგვარდიელებს ერთგვარი გავლენა აქვთ მოპოვებული ჩან-ძო-ლინის სამფლობელოში. ისინი მსახურობენ მის არმიაში, მათ იყენებს იარაღად თავის მტრების წინააღმდეგ.

მაგრამ ჩან-ძო-ლინის თავხედობა უმთავრესად უცხო იმპერიალისტურ სახელმწიფოების ხრიკებს მიეწერება. როგორც ვიცით, ეს სახელმწიფოები ვერ ინელებენ საბჭოთა კავშირის განმტკიცებას და „კანიდან ძვრებიან“, რათა შექმნან ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი. ისიც კარგად ვიცით, რომ ამ ცდებიდან მათ არაფერი გამოუდით.

კერძოდ ჩინეთში არა ერთხელ იწვნიეს მათ დამარცხება. ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმება მიღწეულ იქნა მიუხედავად მათი მხრით მედგარი წინააღმდეგობის გაწევისა. ამხ. კარახანის არჩევა პეკინის დიპლომატიურ კორპუსის უხუცესად—ჩვენი ერთი მორიგი გამარჯვებათაგანი იყო უცხოელ იმპერიალისტებზე ჩინეთში.

დღესაც ისინი მხარს უმაგრებენ ჩან-ძო-ლინს. რადიოს გადმოცემით, ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრს კელოგს ჰქონდა თათბირი ინგლისის ელჩთან—ინგლისის და ამერიკის დიპლომატიურ საქმიანობის შეთანხმების შესახებ ჩინეთში. ცხადია, რომ ამ „შეთანხმებულ საქმიანობას“ მიზნად აქვს საბჭოთა კავშირის პოზიციის შესუსტება შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ ჩინეთში.

აღსანიშნავია, რომ ამ „თბილ კამპანიაში“ ურევია იაპონიის რეაქციონერების ხელიც. ჩან-ძო-ლინმა გაგზავნა თავისი მრჩეველი იაპონიაში ამ ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმების მისაღწევად.

მაგრამ, როგორც დღევანდელ ცნობიდან გაიგებს მკითხველი, ჩან-ძო-ლინის და იმპერიალისტების ოინები შორეულ აღმოსავლეთში ამ ჟამადაც სასტიკად დამარცხდნენ. ამას წინედ ამხ. კარახანმა ენერგიული პროტესტი განუცხადა პეკინის მთავრობას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის ზევით აღნიშნულ თავხედურ გამოსვლის გამო და კატეგორიულად მოითხოვა რუს თეთრგვარდიელთა გაძევება ამ გზიდან. ამხ. კარახანის ნაბიჯს უკვე მოჰყვა შესაფერი შედეგი. მიღწეულია სრული შეთანხმება ამხ. ივანოვის ბრძანების გასატარებლად ცხოვრებაში; თეთრგვარდიელები დათხოვნილი იქნებიან ერთი კვირის განმავლობაში.

ამასთან, ჩვენი მთავრობის წარმომადგენლის მოთხოვნით, ხარბინში ნებადართულ იქნა საბჭოთა გაზეთის ისევ გამოცემა. გაზეთი უკვე გამოვიდა 1 ივნისს.

საბჭოთა ხელისუფლებას დამყარებული აქვს მეგობრული დამოკიდებულება აღმოსავლეთის ხალხებთან. უკანასკნელნი სამართლიანად ხედავენ მასში თავის უფლებების და ინტერესების მოქომაგეს. ეს ხალხები არ დაუშვებენ, რომ რეაქციონერ გენერლებმა და უცხოელ იმპერიალისტებმა გამოიყენონ ისინი ბრმა იარაღად ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკების წინააღმდეგ. სხვათა შორის, ამას ადასტურებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გარშემო მომხდარ კონფლიქტის ლიკვიდაცია.

მტკივნეული საკითხი

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

იმ ფართე დისკუსიაში, რომელიც კარგა ხანია სწარმოებს მოსკოვის ორგანიზაციებში ახალი ყოფა-ცხოვრების ფორმების ძიების გარშემო, სქესობრივ ურთიერთობის კითხვა ცენტრალურ ადგილათ გადაიქცა. დროგამოშვებით ეს კამათი „პრავდას“ და „იზვესტიას“ ფურცლებზედაც ჰპოულობს გამოხმაურებას.

რით უნდა ავხსნათ, რომ ყოფა-ცხოვრების და კერძოთ სქესობრივ კავშირის კითხვამ სწორეთ ამ უკანასკნელ წლებში მიიპყრო ყურადღება და ფართე სადისკუსიო საგნათ გადაიქცა. მიუხედავათ იმისა, რომ რევოლიუციამ ძირბუდიანათ შეარყია ეკლესიის კურთხევით დაკანონებული ძველი ოჯახი, მიუხედავათ იმისა, რომ ქორწინება ჩვენს პირობებში, როგორც იურიდიული ფორმა, უაღრესათ მოძრავი და თავისუფალია,—ოჯახი მაინც დარჩა ისეთ დაწესებულებათ, როგორიც ის ადრევე იყო.

რევოლიუციის მიერ ბორკილებაყრილი ქალი კი, რომელმაც მოიპოვა სრული პოლიტიკური და უფლებრივი თანასწორობა, ველარ ეგუება ძველ ტრადიციულად შექმნილი ოჯახის ფორმას, სადაც ჯალა[illegible] მამაკაცი თავის ეკონომიურ უპირატესობის გამო ყოველთვის სარგებლობდა პრივილეგიურ მდგომარეობით.

ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას მშრომელ ქალთა ახალ თაობაზე. ის ამ შვიდი წლის განმავლობაში წამოიზარდა და ჰასაკში მოვიდა. მან ამ ხნის განმავლობაში გაიცნო და შეითვისა ის მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც თან მოიტანა საბჭოთა სინამდვილემ. ქალთა ეს ნაწილი სულ სხვა ჰავით სუნთქავს და სხვა აზრით სცხოვრობს, ვიდრე ძველი დროის ქალწულები.

მეორე მხრივ მამაკაცებზედაც რომლებიც ამ მხრივ უფრო კონსერვატიული არიან, არ შეეძლო თავისი დაღი არ დეჩნია რევოლიუციის რვა წელს. გაიზარდა და გაფართოვდა მასის საზოგადოებრივი შეგნების ჰორიზონტი. პარტიამ, პროფკავშირმა, კოოპერაციამ და წარმოებამ, რომელიც მშრომელი მასის ხელით შენდება და ვითარდება, აქტიურათ ჩააბა ეს მასა ფართე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში.

ამან ბუნებრივათ შეასუსტა ის მზრუნველობა და განსაკუთრებული ყურადღება ოჯახისადმი, რომელსაც მამაკაცი იჩენდა ადრე. მას საამისოთ აღარც დრო ჰყოფნის და შეგნებაც აღარ უწყობს ხელს.

ამ შემთხვევაშიაც ყველაზე უფრო ეს ემჩნევა მოზარდ თაობას, მშრომელ ახალგაზრდობას. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ ოჯახის ყოველგვარ ფორმისადმი უარყოფითი დამოკიდებულება თითქმის საერთო მოვლენათ გადაიქცა. და, რაც უფრო აღსანიშნავია, ამ შეხედულებამ სოფლამდიც კი მიაღწია.

ამავე დროს ოჯახის ეკონომიური და სოციალური როლი იგივე დარჩა, რაც წინად იყო. ის დღესაც ისეთივე კერძო საკუთრების ინსტიტუტია, როგორც მაშინ იყო, როცა ჩვენი მშობლები უღლდებოდენ. დედაკაცი და ბავშვები უმეტეს შემთხვევაში დღესაც ისევე ეკონომიურათ დამოკიდებული არიან მამაკაცზე, როგორც ჩვენ და ჩვენი დედები წინად.

ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ სქესობრივ კავშირის კითხვის გარშემო გამართულ კამათში აქაურ ორგანიზაციებში საკითხს უმთავრესად შემდეგნაირათ უდგებიან.

რა გავაკეთეთ ჩვენ საერთო სასადილოების მოსაწყობათ, ისეთ სასადილოების, რომელიც მუშას უკეთეს მასპინძლობას გაუწევს, ვიდრე საკუთარი ოჯახი? რა გავაკეთეთ ბავშვთა ბაგეების მოსაწყობათ? რამდენი ახალი სახლი ავაშენეთ და რამდენად გავაუმჯობესეთ საბინაო პირობები? და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რა გავაკეთეთ ჩვენ მშრომელი ქალის ეკონომიურ განთავისუფლების დარგში?

აქ ზოგიერთ შემთხვევაში ან არაფერი გაკეთებულა, ან, თუ გაკეთდა, იმდენათ ცოტა, რომ მას არსებით მნიშვნელობას ვერ მივაკუთვნებთ. ამას, რასაკვირველია, თავისი პატივსადები მიზეზები აქვს, რომელზე შეჩერებამ ჩვენ აქ საკითხიდან გადაგვახვევინებდა.

მაგრამ ერთის დავიწყება შეუძლებელია. ეს ის, რომ როცა ახალ ოჯახის ფორმებზე, სქესობრივ ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებების გვერდის ავლა შეუძლებელია.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ისიც ხომ უდავოა, რომ საზოგადოებრივ და სოციალურ მომენტის გარდა ამ კითხვას მეორე თვისების მხარეც ახლავს, რომელსაც ფიზიოლოგიური კანონი ეწოდება.

სოციალურ ცხოველს, ადამიანს, ისევე ულმობელათ სჯის ბუნება ამ კანონის დარღვევისათვის, როგორც სხვა ქმნილებას. დღეს კი ფაქტია, რომ სქესობრივ ენერგიის უთავბოლო ფლანგვას, სქესობრივ აქტისადმი დარდიმანდულ დამოკიდებულებას ხშირად აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში.

ამიტომ ცხადია, რომ ეს კითხვა ყოფა-ცხოვრების ამოცანათა შორის ყველაზე უფრო საჭირბოროტო კითხვათაა მიჩნეული. ის ჩვენს წინაშე დგას, როგორც ღრმა საზოგადოებრივ მნიშვნელობის ამოცანა, რომელთანაც დაკავშირებულია არა მხოლოდ ახალი ოჯახის ორგანიზაციის ფორმა, არამედ მშრომელთა ფიზიკური კეთილდღეობის და მომავალ თაობაზე მზრუნველობის ამოცანაც.

ძველი ყოფა-ცხოვრების მეგობარი და ხელისშემწყობია ჩვენი საერთო სილარიბე. მისი მტერია საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდა და წინმსვლელობა. საზოგადო სასადილოები და სარეცხავები, ბავშვთა ბაგა, ბინის კრიზისისაგან თავის დაღწევა, უმუშევრობის შენელება და სხვა,—აი ის მატერიალური ბაზისი, რომლის გზითაც წავა წინ ახალი ოჯახის მშენებლობა, რომელზედაც განვითარდება ნორმალური სქესობრივი ურთიერთობა და სიყვარული.

ჩვენი ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა უფრო მეტ საშუალებას იძლევა სქესის პრობლემის მოსაგვარებლათ, ვიდრე ეს დღემდი იყო. ჩვენი შემდეგი ზრდამ და განვითარებამ ამ კითხვის გადაწყვეტას კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი.

აკ. მყონია.

მოსკოვი, 27 მაისი.

კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მოგვარებულია

რუს თეთრგვარდიელებს ვერ უშველა ჩინელ შავრაზმელ გენერლების მფარველობამ

ჩინელი ვაჭრები მოითხოვენ შავრაზმელ გენერლების ალაგმვას

იტალიის პარლამენტის კომისიის დადგენილება:

დამტკიცებულ იქნეს სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან

ჩინელ შავრაზმელ გენერლებს ლაგამი ამოსდვეს

მიღწეულია სრული შეთანხმება

ხარბინი, 1 ივნისი. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა ხარბინში გრანდტმა და ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისარმა ხარბინში ცაიმ მიაღწიეს სრულ შეთანხმებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის უფროსის—ივანოვის ბრძანების ცხოვრებაში გატარების შესახებ. ამ ბრძანების თანახმად სამსახურიდან დათხოვნილი უნდა იქნენ რკინისგზის ის მოსამსახურეები, რომლებიც არ წარმოადგენენ არც ჩინეთის და არც საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს. დათხოვნა მოხდება ერთი კვირის განმავლობაში, დაწყებული 2 ივნისიდან.

საბჭოთა გაზეთი გამოდის

შეთანხმების მიღწევის დღეს დილით ჩინეთის ხელისუფლებამ სასამართლო წესით დახურა ახალი საბჭოთა გაზეთი „ეხო“, რომელსაც ბრალად დასდო ბოლშევიზმის პროპაგანდა. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა გრანდტმა წინადადება მისცა კომისარს ცაის დაუყონებლივ ნება დაერთო გამოცემაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გრანდტი იმუქრებოდა მიღწეული შეთანხმების გაუქმებით, იმავე დღეს ადმინისტრატიული წესით ნებადართულ იქნა გაზეთის გამოცემის განახლება. 1 ივნისს გაზეთი კვლავ გამოვიდა მოწინავე წერილით, რომელიც შეეხება კონფლიქტის ლიკვიდაციას აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზაზე.

ჩინელ ვაჭრების წერილი

ჩიტა, 2 ივნისი. ჩინელმა ვაჭრებმა, რომლებიც სცხოვრობენ ჩიტაში, მიმართეს ჩჟან-ცზო-ლინს შემდეგი წერილით:

„გავიგეთ რა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის სამმართველოს თავმჯდომარის ბაოს თვითნებური საქციელის შესახებ და ვიცით რა, რომ გენერალი ჩჟან-ცზო-ლინი არ უწევს მფარველობას ჩინეთის ხალხის მტრებს, ჩვენ მივმართავთ მას თხოვნით მიიღოს ზომები გენერალ ბაოს წინააღმდეგ, რათა არ შეირყვნოს ჩვენი ინტერესები და ჩვენ, რომლებიც დიდი სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს სხვა ქვეყანაში, არ მოგვიხდეს გაწითლება ჩინეთის გენერლების მოქმედებისათვის“.

იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

იტალიის პარლამენტის დეპუტატის ბენის მოხსენება

რომი 1 ივნისი. იტალიის პარლამენტის კომისიამ, რომელსაც ევალება უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებათა განხილვა, მოიწონა დეპუტატ ბენის მოხსენება იტალია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დაიდო 1924 წლის 7 თებერვალს. თავის მოხსენებაში ბენი ამბობს: „სავაჭრო და სანაოსნო ხელშეკრულებები არ შეიძლება განხილულ იქნეს ისე, თითქოს ისინი ნორმალურად და საბოლოოდ განსაზღვრავდენ სავაჭრო ურთიერთობას იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის. ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაბრკოლებები, რომლებიც უნდა ვადაელახა მთავრობას ამ შეთანხმების მისაღწევად, რომელიც შესაძლებელს ხდის ურთიერთობის დამყარებას ორ სახელმწიფოს შორის, რომლებიც ძალიან განსხვავდებიან ერთი მეორისაგან პოლიტიკური და ეკონომიური სტრუქტურით“.

ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობა.

შემდეგ ბენი ეხება საკითხს საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციის შესახებ იტალიაში და აღნიშნავს, რომ მას შეცდომით მიაჩნია დიპლომატიურ პრივილეგიების მიცემა დელეგაციის ყველა წევრებისათვის. ბენი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ძველი ფასიანი ქაღალდების იტალიელი მეპატრონეები და წარმოებების მესაკუთრეები, რომლებიც დაზარალდენ რუსეთში რევოლიუციის დროს, არ იქნენ დაკმაყოფილებულნი. შემდეგ ბენი აღნიშნავს, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემა არ არის გამოსადეგი იტალიისათვის, რადგან საბჭოთა კავშირს სხვადასხვა მოსაზრებებით, თუნდაც პოლიტიკური მოსაზრებებით, საშუალება აქვს არ აწარმოოს ვაჭრობა იტალიასთან. ბენი მოითხოვს, რომ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ამ „თვითნებობას“ ბოლო მოეღოს და დამყარდეს სამართლიანი შეფარდება საბჭოთა კავშირის ექსპორტსა და იმპორტს შორის იტალიის ბაზარზე.

დასასრულ ბენიმ განაცხადა, რომ **ის საჭიროდ სთვლის სპეციალური ბანკის შექმნას იტალია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობისათვის ფინანსების მისაწოდებლად.** ამასთან ერთად მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რადგან საბჭოთა კავშირი მოწადინებულია მიიღოს გრძელვადიანი კრედიტი, აუცილებელია, რომ ამ ბანკის თანხებში ნახევარი წილი საბჭოთა მთავრობას ეკუთვნოდეს“.

მოხსენების საბოლოო ნაწილში ნათქვამია, რომ ზემოდაღნიშნული შენიშვნები და დამატებები უნდა გადაეცეს საბჭოთა მთავრობას, რათა მიღებული იქნას უკანასკნელის თანხმობა ხელშეკრულების სათანადოთ შეცვლაზე.

ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ პარლამენტს წინადადება მიეცეს დაამტკიცოს 1924 წლის ხელშეკრულება.

ბულგარელ ფაშისტის ბოდვა

„ბორის სავინკოვი აჯანყებას ამზადებს ბულგარეთში“

ახალ ხოცვა-ჟლეტას ამზადებენ

ვენა, 1 ივნისი. ბელგრადის პოლიტიკური განყოფილების უფროსმა ლაზარევიჩმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „აღმოჩენილ იქნა“ კომუნისტური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც, მიზნად ისახავდა ყველა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეების მოკვლას და ყველა სამინისტროების აფეთქებას. ლაზარევიჩის სიტყვით ეს გამოსვლები მზადდებოდა მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით კომუნისტური ცენტრის მიერ ვენაში.

ბულგარეთის გაზეთების შემდეგი „ცნობებით“, ამ გამოსვლების მზადებას ხელმძღვანელობს სავინკოვი, „რომელსაც არც კი უფიქრია თავის მოკვლა“.

პარტიზანული მოძრაობა

ვენა, 1 ივნისი. სოფიიდან ოფიციალურად იტყობინებიან „კონსპირატიულ კომიტეტების“ აღმოჩენის შესახებ ქალაქ კარნობატში და იშიგანში, სადაც მოხდა მასიური დაპატიმრებანი. თითქოს, აღმოჩენილია დიდძალი დინამიტები და იარაღები. აღმოჩენილია აგრეთვე სოფიაში ახალგაზრდობის ტერორისტული ჯგუფი. მთავრობის მასიური ტერორის გაძლიერების გამო გაიზარდა პარტიზანული რაზმების რიცხვი, რომლებიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ მთავრობის ჯარებთან.

მიწის „რეფორმა“ პოლონეთში

ვარშავა. 1 ივნისი. გაზეთ „კრესტიანსკოე ზნამია“-ს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება პოლონეთში აგრარული რეფორმა და მიწების დარიგება სამხედრო მოსამსახურეებისათვის განაპირა მხარეებში.

ვილენშჩინის ტერიტორიაზე სამხედრო მოსამსახურეებს დაურიგეს 31 ნაჭერი მიწა, რომელიც ხვდა 4 გენერალს, 7 პოლკოვნიკს 6 მაიორს, 41 ობერ ოფიცერს, და 3 ჯარისკაცს —ყოფილ „დენშჩიკს“. მთელი რიგი მამულებისა დაურიგეს მინისტრებს, უმაღლეს მოხელეებს, დეპუტატებს. მიწები დაურიგეს დმოვსკის, გენერლებს გალლერს, ვროჩინსკის და სიკორსკის.

ბოლდუინის განცხადება

ლონდონი. 1 ივნისი. უორკოპის ახლო კონსერვატორების მიერ გამართულ მიტინგზე ბოლდუინმა განაცხადა, რომ მთავრობას მიზნად აქვს დაარსოს წარმომადგენლობით ნიადაგზე სასურსათო საბჭო, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ფასების რყევას სურსათ-სანოვაგეზე და თავისი დასკვნები გადასცეს მთავრობას. ბოლდუინმა აღნიშნა, რომ ინგლისის მრეწველობის ზოგიერთი დარგები დიდ დაქვეითებას განიცდიან. საჭიროა ძველი მეთოდების უარყოფა და ჩვენი წარმოების ერთი ნაწილის გაერთიანება; საჭიროა ქარხნების თანამედროვე ტეხნიკის პირობების მიხედვით მოწყობა და მათი ორგანიზაციის გაუმჯობესება. მაგრამ ვერავითარი საქმის წაყვანა ვერ დააკმაყოფილებს მეცნიერების მოთხოვნილებას, თუ ჩვენ ყურადღებას არ მივაქცევთ მუშებს. ამიტომ საჭიროა მუშების ჩათრევა მმართველობის საქმეში სათათბიროდ საქარხნო კომიტეტების საშუალებით.

ინგლისის გაზეთების ჭორების საპასუხოდ

ანგორა. 1 ივნისი. ოსმალეთის თითქმის ყველა გაზეთებს მოჰყავთ უკომენტარიოდ ინგლისის გაზეთების ყალბი ცნობა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირს წილი ედოს სპარსეთის თურქმენისტანის მოსახლეობის აჯანყებაში. „ხაკი-მიეთ მილიე“ სწერს:

ჩვენ ვსწუხვართ, რომ ჩვენ მეზობლებს უხდებათ ასეთ სიძნელეთა დაძლევა. სპარსეთის მთავრობა, ცხადია, გამოიჩენს საკმაო ძალას და მიიღებს საჭირო ზომებს აჯანყების სწრაფად ჩასაქრობათ. სარდარ-სეპახი (რიზა-ხანი) ფრთხილი და ჭკვიანი კაცია და ის ჩქარა შესძლებს ამ ინციდენტის ამოწურვას. ყველამ მხარი უნდა დაუჭიროს რიზა-ხანს, ვინც კი მომხრეა სპარსეთის დამოუკიდებლობისა...

გასაოცარია, რომ ინგლისის ის გაზეთები, რომლებიც ყოველთვის მხარს უჭერენ აღმოსავლეთის წინააღმდეგ მიმართულ ინგლისის პოლიტიკას, ავრცელებენ ხმებს, რომ აჯანყება მოწყობილია რუსეთის მიერ. ჩვენის აზრით, წარმოუდგენელია, რომ რუსეთს რაიმე სარგებლობა ჰქონდეს ასეთი აჯანყებიდან.

ცხადია, არც ოსმალეთი არის დაინტერესებული ამ აჯანყებით რადგანაც მისი სურვილია შინაური და გარეშე მშვიდობიანობა.

იაპონიის მუშების პროტესტი

ტოკიო. 1 ივნისი. დასავლეთ იაპონიის პროფკავშირთა დელეგატების ყრილობამ, რომელიც წარმოადგენდა 30.000 შეკავშირებულ მუშას გამოაქვეყნა რეზოლიუციები, სადაც პროტესტს აცხადებს ცინდაოში გაფიცულ ფეიქარ მუშების მიმართ იაპონიის მთავრობის მიერ რეპრესიულ ზომების მიღების წინააღმდეგ.

საპროტესტო გაფიცვა

პეკინი, 1 ივნისი. შანხაიდან მოსული ცნობის თანახმად ადგილობრივმა ვაჭრებმა, მუშებმა და სტუდენტებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა უცხოელთა კვარტალის დამცველ პოლიციის მიერ შვიდი სტუდენტის მოკვლის გამო პროტესტის ნიშნად.

რეაქციონური მოძრაობა სპარსეთში

თეირანი, 1 ივნისი. თურქმენების მხარეში აჯანყების მოწყობასთან ერთად, რასაც წარმატებით ებრძვის მთავრობის ჯარები, ადგილი ქონდა აგრეთვე ქურთისტანში აჯანყების მოწყობის ცდას. ამბობენ, ამ საქმეში წილი უდევს პრინც სალარ-დავლეს.

შეიხ საიდის გასამართლება

ანგორა. 1 ივნისი. დიარბეკირში დაიწყო შეიხ საიდისა და მისი თანამოაზრეების გასამართლება.

საიდმა თავი დამნაშავედ აღიარა, მაგრამ განაცხადა, რომ აჯანყება მოწყობილი იყო შარიათის აღდგენის მიზნით.

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

„ინგლისს ეკონომიური კრიზისიდან გამოიყვანს მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურა“

ინგლისის პროფმოძრაობა სწყვეტს კავშირს შეეთანხმებლებთან

კოლონიალურ ქვეყნებში კომპარტიის გავლენა თანდათანობით იზრდება

ინგლისის მდგომარეობა და კომპარტიის ამოცანები

გლაზგო, 1 ივნისი. 31 მაისის დილის სხდომა გაიხსნა საკონტროლო კომისიის მოხსენებით. მოხსენების გამო გამართულ კამათში მთავარი ყურადღება ექცეოდა პარტიის ხელმძღვანელობის მეთოდებს. შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა ეგვიპტეს, სირიის, პალესტინის კომპარტიების და აგრეთვე ამერიკის „უორკერს პარტი“-ს მისასალმებელი დეპეშები.

კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი.

შემდეგ **მერფიმ** გამოაქვეყნა თეზისები ინგლისის მსოფლიო, ეკონომიურ, პოლიტიკურ მდგომარეობის და პარტიის გადაუდებელ ამოცანების შესახებ. თავის სიტყვაში მერფიმ აღნიშნა, რომ გასული წლის დემოკრატიულ და პაციფისტურ ილიუზიებს ჰქონდა მნიშვნელობა კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციისათვის ევროპაში. მერფიმ ამასთან ერთად ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ბანაკში, იმ წინააღმდეგობებთან ერთად, რომლებმაც თავისი განსახიერება ჰპოვეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების ცდაში, არღვევენ ამ სტაბილიზაციას.

დოუესის გეგმა.

შეეხო რა დოუესის გეგმას, მერფიმ უწოდა მას მოსამზადებელი შეტევა საბჭოთა კავშირის კოლონიალურ ბაზრად გადაქცევისათვის და უთითა დიპლომატიურ, სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ მზადებაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით.

გამოსავალი კრიზისიდან.

მერფი ეხება ინგლისის კაპიტალიზმის მერყევ ტენდენციებს და აცხადებს, რომ ერთად ერთი გზა, რომელიც მოსპობს დაბრკოლებებს მრეწველობის განვითარებისათვის, მდგომარეობს იმაში, **რომ მუშებმა თავის ხელში აიღონ სამრეწველო დაწესებულებების ხელმძღვანელობა.**

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისთვის.

მომხსენებელი შემდეგ გადადის პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხზე და აცხადებს, რომ ეს მთლიანობა ნიშნავს არა ორგანიზაციულ ფორმების მთლიანობას, **არამედ გაერთიანებულ ბრძოლას.** კონფერენციას, რომელიც უნდა შესდგეს 4 ივნისს, ექნება მნიშვნელობა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის მხოლოდ იმდენად, რამდენად კომუნისტები მოახერხებენ და ბრძოლის სულს შთაბერავენ პროფკავშირებს.

პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის მოძრაობის შესახებ მერფიმ განაცხადა, რომ საჭიროა მისი განვითარება და შეკავშირება. ამ მოძრაობას ვერ ექნება წარმატება, სანამ მის ხელმძღვანელობას არ იკისრებს ძლიერი კომპარტია, რომელსაც ფართოდ აქვს გადგმული ფესვები მასებში. დასასრულ მერფიმ ხაზი გაუსვა კოოპერაციაში უმუშევრების ჩაბმის მნიშვნელობას.

სამანდატო კომისიის მოხსენება

შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, საიდანაც ირკვევა, რომ ყრილობას ესწრება 98 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც წარმოადგენენ 79 ადგილობრივ ორგანიზაციას და 6 დელეგატი სათათბირო ხმით, ცეკას წევრი, საოლქო ორგანიზატორები და ინგლისის კომპარტიის წარმომადგენლები—სულ 148 კაცი.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს კაპიტალისტური პრესისათვის ბოიკოტის გამოცხადებას მუშათა პრესის განვითარების გზით.

კამათი ამხ. მერფის მოხსენების გამო

საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი მერფის მოხსენების შესახებ.

გამოსული ორატორები ხაზს უსვამდენ პროპაგანდის მნიშვნელობას კოლონიალურ ხალხებს შორის, მუშაობას ახალგაზრდებს შორის, მემარცხენე უმცირესობის მოძრაობაში მონაწილეობას და მუშაობის გაძლიერებას ქალთა შორის.

ამხ. პოლიტის სიტყვა

პოლიტმა, რომელმაც ილაპარაკა პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის შესახებ, განაცხადა, რომ **ინგლისის კომპარტია პროფკავშირთა მთლიანობას უცქერის არა როგორც მიზანს, არამედ როგორც საშუალებას მუშების ბრძოლის უფრო წარმტებით წარმოებისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ.**

პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მოძრაობის მთლიანობა ახლშენებში იქცა პრაქტიკული პოლიტიკის საკითხად. შემდეგ პოლიტმა აღნიშნა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი იმყოფება მენშევიკური მეორე ინტერნაციონალის გავლენის ქვეშ.

პოლიტი აქებს პროფინტერნის მუშაობის და ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ურთიერთობის მიმოხილვას და აცხადებს, რომ **ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების უკანასკნელი კონფერენციის დეკლარაცია შევა ისტორიაში, როგორც ინგლისის პროფკავშირების პირველი დეკლარაცია კლასიური პოლიტიკის შესახებ.**

პოლიტმა აღნიშნა, რომ დახმარება, რომელსაც უწევს კაპიტალისტური პრესა მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პროფკავშირთა მთლიანობას, საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, რომ მუშები არ უნდა ენდონ ამ ბელადებს. ამასთან ერთად ორატორმა მიუთითა მემარჯვენე ფრთის იმ მახინაციების საფრთხეზე, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ფრანკ ხოჯსონი არჩეულ იქნა სამთომადნო მუშების ინტერნაციონალის მდივნად, ხოლო მაკდონალდის მთავრობის ყოფილი მინისტრი ტომ შოუ—ფეიქართა ინტერნაციონალის მდივნად.

პოლიტმა აღნიშნა, რომ ინგლისის პროფკავშირების მომავალ კონგრესზე მოსალოდნელია დიდი უთანხმოება. მან სთქვა, რომ თუ კომპარტია წარმატებით განავითარებს თავის მუშაობას, ის დასძლევს ყოველგვარ საფრთხეს მარჯვნიდან, ხოლო ინგლისის პროფმოძრაობა გადასდგამს შემდეგ ნაბიჯს წინ—კერძოთ, ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტის საშუალებით, რომელიც ამზადებს მთლიანობის საერთაშორისო კონგრესს.

გამოსულმა ორატორებმა მოიწონეს პარტიული პოლიტიკის ხაზი.

კოლონიალური საკითხი

რეზოლიუცია კოლონიალური საკითხის შესახებ შემოიტანა **ბელმა,** რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელი 12 თვის პრაქტიკულ ღონისძიებათა შემწეობით დამყარებულია ცოცხალი კავშირი აღმოსავლეთის კომპარტიებს შორის, უმთავრესად ინდოეთის, პალესტინის, სირიის და ეგვიპტეს კომპარტიებს შორის. ყველა ამ ქვეყნებში კომუნისტები მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივ ბრძოლაში. ეძლევა დახმარება პროლეტარულ ნაციონალისტურ ელემენტებს, რომლებიც იბრძვიან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ინგლისის იმპერიისაგან გამოყოფისათვის.

ანტიმილიტარისტული მუშაობა

დასასრულ ბელი მოკლედ ეხება იმ ანტიმილიტარისტულ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს პარტია, რომელიც უშვებს ლიტერატურას ქვეითა ჯარისკაცებისათვის მეზღვა[illegible]ბისათვის და სამხედრო ავიატორებისათვის. ამ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ ჯარისკაცები. [illegible] განცხადებამ გამოიწვია მქუხარე ტაში.

სკშინსკის გამგზავრება

ვარშავა, 1 ივნისი. ამერიკაში მიმავალი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკშინსკი გზათ შეხვდება ლონდონში საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ მოსალაპარაკებლად.

„კომუნისტი“
ამ დღეებში გამოვა და დაურიგდება ხელის მომწერლებს
უფასო ლიტერატურული დამატება
„ჩირაღდანი“
იუმორისტული განყოფილებით
„ეშმაკის მახე“

ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო
სარედაქციო კოლეგიაში შედიან: 1) ლ. ქართველიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), 2) მ. ორახელაშვილი, 3) მახარაძე 4) ვ. ბახტაძე, 5) გ. მუშიშვილი
ჟურნალში უმთავრესად გაშუქებული იქნება სოფლად პარტიული მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები.
ჟურნალი ღირს ერთი თვით 20 კაპ. ერთი წლით 2 მან. ცალკე ნომერი 20 კ. ხელის მოწერა მიიღება გაზ. „ახალი სოფელი“-ს კანტორაში, ვოლოდ. ქ. № 13.
რედაქციის მისამართი: ს. კ. პ. ც. კ-ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება
ნ. 1227—5—5

რა ხდება უცხოეთში.

ინტელიგენციის მდგომარეობა ავსტრიაში

ნათელ წარმოდგენას იმაზე თუ როგორ ცხოვრობს ინტელიგენცია დასავლეთში, იძლევა მიმართვა, რომელიც მოთავსებული იყო ვენის (ავსტრია) გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესსე“-ში:

„უმუშევარ არქიტექტორთა თავშესაფარში მცხოვრები ითხოვს აჩუქონ მას ძველი ტანსაცმელი. უკვე ცხრა თვეა გრძელდება უმუშევრობა. ახლა შესაძლებელია მივიღო მსახური ერთ-ერთ სამშენებლო კანტორაში, მაგრამ ტანსაცმელის უქონლობა საშვალებას მართმევს წავიდე დამქირავებელთან მოლაპარაკების საწარმოებლად. სიმაღლე—საშუალო. მთხოვნელს იცნობს რედაქცია“.

ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ უნდა იყოს დაცემული ეკონომიური ცხოვრება დასავლეთში, რომ არქიტექტორი, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, 9 თვის განმავლობაში უმუშევრად იმყოფება და იძულებულია ტანსაცმელი ითხოვოს დამქირავებელთან წასასვლელად მოლაპარაკების მიზნით!

როგორ ცხოვრობს ბურჟუაზია

სურათი იმავე ვენის ცხოვრებიდან. თუ ერთის მხრით ეკონომიური ცხოვრების დაცემასთან ერთად გაუარესდა და პირდაპირ კატასტროფიული შეიქნა არა მარტო მუშათა კლასის, არამედ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეცების მდგომარეობა, სამაგიეროდ ავსტრიის ბურჟუაზია, რომლებმაც სოციალ-დემოკრატების მოღალატური პოლიტიკის წყალობით სავსებით შეინარჩუნეს თავისი სიმდიდრე და ქონება, განცხრომით და ფუფუნებით ცხოვრობენ.

მიმდინარე წელს, პირველად ომის დაწყების შემდეგ გაიმართა ვენაში ტრადიციული სეირნობა. ვარდ-ყვავილებით მორთული ავტომობილებით გაივსო ვენის პარკი ავტომობილებში მჯდომნი მშვენივრათ იყვნენ ჩაცმულნი. მაგრამ ბურჟუაზიას ჩამწარდა დღესასწაული. პარკში თავი მოიყარეს უმუშევრებმა (მათი რიცხვი ვენაში 150000-დი აღწევს). ავტომობილებში მჯდომთ ისინი აცილებდენ ძახილით: „სირცხვილია“, „არამზადები“, „ომის დროს გამდიდრებული ყაჩაღები!“

საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც „წესრიგის დარღვევისათვის“ დააპატიმრა მრავალი უმუშევარი.

ასეთია ვენის ცხოვრების სურათები: ერთის მხრივ შიმშილით მომაკვდავი უმუშევრები, მეორე მხრივ „ომის დროს [illegible] ბურჟუაზია“.

სხვა და სხვა ამბები

— **საფრანგეთის ბიუჯეტი.** საფრანგეთის სენატმა 289 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო 1925 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრის 32970 მილიონ ფრანკს, გასავალი—32.690 მილიონ ფრანკს.

— **პორტუგალიაში.** ჰავასის სააგენტოს ცნობით, ლისაბონში [illegible].

— **ელჩთა კონფერენციის დადგენილება.** ელჩთა კონფერენციამ დაადგინა 31 მაისამდი დაშალოს ბულგარეთის პოლიციის დამატებითი კადრები (10.000 კაცის შემადგენლობით).

— **შტრეიკბრეხერებმა ჩაშალეს გაფიცვა.** ბერლინის ავტობუსების მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა ჩაიშალა შტრეიკბრეხერების წყალობით.

— **სურთ შეამცირონ შრომის ხელფასი.** რურის ოლქის მსხვილ წარმოებებში შეჩერებულია საამშენებლო სამუშაოები. მწარმოებლები ილაშქრებენ არსებული ხელფასის წინააღმდეგ და მოითხოვენ მის შემცირებას.

— **განაჩენი სერბიელ კომუნისტებზე.** ბელგრადის (სამხრეთ-სლავია) სასამართლომ 20 წლის კატორღა მიუსაჯა ჟურნალისტს პიადეს, 4 კომუნისტს კი 2-დან 15 წლამდი ციხე საიდუმლო სტამბის მოწყობისა და კომპარტიის არალეგალური ორგანოს „კომუნისტი“-ს გამოცემისათვის.

— **ბრძოლა ამნისტიისათვის.** გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ მოუწოდებს სოციალ-დემოკრატ მუშებს აიძულონ თავისი ბელადები აწარმოონ ბრძოლა ამნისტიის სასარგებლოთ.

— **პოლონეთის „სამხედრო ფლოტი“ ესტონეთის „ტერიტორიალურ წყლებში“.** პოლონეთის „სამხედრო ფლოტი“ ორი გამანადგურებლის—„პილსუდსკი“ და „გამკერ“—შემადგენლობით ინახულებს რეველს.

— **„დემოკრატიულ“ ესტონეთში.** ესტონეთის სახელმწიფო საკრებულომ დაადგინა გადასცეს სასამართლო ხელისუფლებას კომუნისტი დეპუტატი კურულკი.

— **ფაშისტების პროვოკაცია.** კოპენჰაგენში (დანია) ფაშისტების ჯგუფი 40 კაცის შემადგენლობით თავს დაესხა კომუნისტებს. ხალხმა მხარი დაუჭირა კომუნისტებს და ფაშისტები იძულებული გახდენ გაქცეულიყვნენ. დააპატიმრეს 13 კაცი.

— **გაფიცვა ნორვეგიაში.** 31 მაისს ოსლოში (ყოფ. ქრისტიანია) გაიფიცნენ ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც ეკონომიური მოთხოვნილებები წამოაყენეს.

— **იმპერიალისტების ერთიანი ფრონტი ჩინეთში.** ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს კელლოგს თათბირი ჰქონდა ინგლისის ელჩთან ვაშინგტონში ინგლის-ამერიკის შეთანხმებული მოქმედების შესახებ ჩინეთში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ჩერვიაკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მინსკი, 2 ივნისი. ექიმებმა, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის ცაკის და ბელორუსიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ჩერვიაკოვის საქმით, შეადგინეს შემდეგი ბიულეტენი:

„კონსულტანციამ, რომელიც შესდგა 30 მაისს, აღიარა, რომ ოპერაცია ბრმა ნაწლევის ავათმყოფობის გართულების გამო აუცილებელი იყო და ის თავის დროზე იქნება გაკეთებული.

ავათმყოფის საერთო მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია და მოსალოდნელი არ არის რაიმე გართულება“.

საკავშირო რადიო-გამოფენა

მოსკოვი, 1 ივნისი. სრულიად საკავშირო რადიო-გამოფენის [illegible], რომელიც დანიშნული იყო 31 [illegible]სისათვის, [illegible] რამოდენიმე [illegible] დღით, [illegible] გამოფენაზე ჩამო[illegible] [illegible] ექსპონატები.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლებმა ბერლინში და სტოკჰოლმში მიიღეს რადიო-აპარატების დამამზადებელ უცხო ფირმების მრავალი განცხადებები, რომლებშიაც ისინი სურვილს აცხადებენ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაზე.

ამხ. ჩერვიაკოვის ავათმყოფობა.

ლენინგრადი, 1 ივნისი. ქირურგიული და ტერაპევტიული ყრილობების გამოჩენილი მონაწილენი ტელეგრაფით გაიწვიეს მინსკში საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ჩერვიაკოვთან, რომელიც ამ ჟამად ავათ არის.

გადაფრენა მოსკოვიდან პეკინში.

მოსკოვი, 2 ივნისი. დღეს ტროცკის სახელობის ჰაეროდრომზე მოხდა იმ ჰაეროპლანების სასინჯი ფრენა, რომლებიც ჩინეთში უნდა გაფრინდენ.

ფრენაში მონაწილეობა მიიღო 3 საფოსტო ბიპლანმა, „იუნკერს“-ის ტიპის ორმა ჰაეროპლანმა და საბჭოთა კონსტრუქციის ჰაეროპლანმა.

ბიპლანები დამზადებულია ლენინგრადში საბჭოთა მასალებიდან. ბიპლანების გამოცდამ საუკეთესო შედეგი გამოიღო.

ამხ. ბუდიონი შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებს შორის.

ოდესა. 2 ივნისი. ბუდიონმა დაათვალიერა შავი ზღვის ფლოტის [illegible], რომლებიც ოდესის ნავთსადგურში სდგანან. ახალგაზრდა მეზღვაურების ჯანსაღმა გამომეტყველებამ, მათ მიერ საქმის კარგად ცოდნამ და სამაგალითო წესრიგმა გემებზე საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ამხ. ბუდიონზე.

დაიცავით კანონიერება

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 2 ივნისი. „პრავდა“ წერილში „დაიცავით კანონიერება“ სწერს:

„ამ ლოზუნგით უნდა იქნას გატარებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია.

ახალ საგადასახადო კანონს აზის სახალხო მეურნეობის აღორძინების, სახელმწიფოს შემოსავლის ზრდის და სოფლად ჩვენი ამოცანების ბეჭედი. ამასთანავე ლოზუნგს „ბრძოლა კანონიერებისათვის“ ეძლევა პრაქტიკული გამოხატულება კანონის თითქმის თვითეულ მუხლში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადს უჭირავს ძალიან დიდი ადგილი სოფლის ცხოვრებაში და გლეხის მეურნეობის ბიუჯეტში.

გლეხობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, მისი სიმძიმის, მისი გატარების მეთოდების, და იმ აპარატის მიხედვით, რომელიც მას ატარებს, იმუშავებს თავის აზრს საბჭოთა ხელისუფლებაზე და სოფლად პარტიის პოლიტიკაზე. მარტო ესეც მოითხოვს, რათა საგადასახადო კამპანია ტარდებოდეს კანონთა სწორი შეფარდებით.

საჭიროა, რათა ყოველმა გლეხმა იცოდეს, რომელი ხარისხით და რომელი განაკვეთით იხდის ის გადასახადს. საჭიროა თავის დროზე გავითვალისწინოთ დაბეგვრის ობიექტი და გამოვიანგარიშოთ გადასახადი. ეს არის დღევანდელი დღის მორიგი ამოცანა. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს წარმატებით და, რაც მთავარია, კანონშეწონილათ. გადამხდელთა, სასოფლო საბჭოების და სათემო აღმასკომების ყოველგვარი უფლებები სისწორით უნდა იქნას გათვალისწინებული.

საჭიროა, რათა ყოველგვარი შეღავათები, რომლის მიღების უფლება გლეხობას აქვს, მიენიჭოს გლეხობას. „ბრძოლა კანონიერებისათვის“—ამ ლოზუნგით უნდა იქნას გატარებული მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია“.

პოლონეთის ჯაშუშთა საქმე

კიევი, 2 ივნისი. ბელავინის დაკითხვა გაგრძელდა 5 საათი.

ბელავინი აცხადებს, რომ 1923 წლის შემოდგომაზე ის შეხვდა ყოფილ პოლკოვნიკ დრუჟინინს, რომელმაც შეატყობინა მას, რომ არსებობდა ორგანიზაცია „რუსეთი რუსებისათვის“. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა დამფუძნებელი კრების მოწვევას.

დრუჟინინმა ჩააბა ბელავინი ამ ორგანიზაციის მუშაობაში. ის აწვდიდა მას ყოველგვარ ცნობებს პოლონელების საშუალებით. ღებულობდა მისგან ფულებს.

ამავე დროს ნინა კრუჩკოვსკაიას საშვალებით მან გაიცნო პავლოვსკი, რომელიც მას აძლევდა ფულებს ჯაშუშობისათვის. ბელავინი ამტკიცებს, რომ კრუჩკოვსკაიამ იცოდა, რომ ბელავინი ეწეოდა ჯაშუშობას და ხელს უწყობდა მას.

სულ ბელავინმა ამ ჯაშუშურ მუშაობისათვის მიიღო 1,300 მანეთი.

სასამართლოს ძიება დამთავრდა.

ტეხნიკურ ინსტიტუტის გახსნა მოსკოვში

მოსკოვი, 2 ივნისი. 31 მაისს მოსკოვში ზეიმით გაიხსნა პროფ. გრინევეცკის და კირშის სახელობის საცდელი სითბო-ტეხნიკური ინსტიტუტი.

თავი მოიყარა დაახლოვებით 1000 კაცმა, სამეცნიერო დაწესებულებათა და ორგანიზაციების, პარტორგანოების, პროფკავშირთა, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, სამეურნეო სახ. კომისარიატების, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლებმა და მუშებმა. დაესწრო თითქმის მთელი შემადგენლობით დიპლომატიური კორპუსი.

ინსტიტუტის მოწყობა დაჯდა დაახლოვებით 4 მილიონი მანეთი.

ამხ. **ტროცკი** სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელით მიესალმა ინსტიტუტის გახსნას მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა ინსტიტუტის მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში. „სითბო-ტეხნიკური ინსტიტუტი,—სთქვა მან—ისე როგორც ყველა სხვა ინსტიტუტები ხელს უწყობენ სოციალიზმის მშენებლობას პოლიტიკის გარეშე. მეცნიერულ ტეხნიკის მეთოდების გამოყენება არის სოციალიზმი.

მთელ რუსეთს ჩვენ შევისწავლით მეცნიერულად და მით გავამდიდრებთ ადამიანს—ამაშია მომავალის უდიდესი ამოცანა. ხვალ-ზეგ პოლიტიკა საჭირო აღარ იქნება. ადამიანთა საზოგადოება ეს არის შრომის კოოპერაცია, ერთი ჰარმონიული არტელი და როდესაც იგი შეიქმნება, მას დარჩება ყველაფერი, რაც ბუნებისაგან იქნა მოპოვებული, არ იქნება მხოლოდ პოლიტიკა. ადამიანები დაიყოფებიან ჯგუფებად არა პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, არამედ ტეხნიკურ პარტიებათ, მოისპობა კონკურენცია და მის ადგილას დაიკავებს სამეცნიერო ტეხნიკური შეჯიბრება. სწორედ ამის სიმბოლოს წარმოადგენს დღეს გახსნილი სითბო-ტეხნიკური ინსტიტუტი“.

სმილგამ მიესალმა ინსტიტუტს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახელით. შემდეგ მოსმენილი იქნა მრავალი მისასალმებელი სიტყვები და ბოლოს ზეიმით გაიხსნა ინსტიტუტის ელექტრონის სადგური.

პურის დამზადებაში კერძო კაპიტალის ჩაბმის შესახებ

მოსკოვი, 2 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსმა **პოპოვმა** გააკეთა მოკლე მოხსენება ნათესების მდგომარეობის შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წელს, ალბად, დაგვჭირდება 600 მილიონ ფუთზე მეტი პურის დამზადება. ამ კამპანიის ჩატარებას სახელმწიფო და კოოპერატიული პურის დამზადებელი ორგანიზაციები მარტო ვერ შესძლებენ, ამიტომ საჭიროა დასმული იქნეს საკითხი კერძო კაპიტალის [illegible] ჩაბმის შესახებ პურის დამზადებელ ოპერაციებში.

[illegible] პოპოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი კერძო დამამზადებლის შესახებ გადაჭრილი უნდა იქნეს კერძო კაპიტალის როლის ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. თუ კი სადმე აღმოჩენილი იქნება კერძო თანხები, საჭიროა კერძო კაპიტალს საშუალება მიეცეს ჩაებას პურის დამზადებელ ოპერაციებში. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო თანხები განაწილებული უნდა იქნეს სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დამამზადებლებს შორის.

ხელოვნების მუშაკთა საკავშირო ყრილობის დადგენილება

მოსკოვი, 2 ივნისი. ხელოვნების მუშაკთა საკავშირო ყრილობამ ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გამო აუცილებლათ სცნო ხელოვნების მთავარ საბჭოს რაც შეიძლება დაჩქარებით მოწყობა.

თეატრალური ხელოვნების განვითარების მიზნით ყრილობამ საჭიროდ სცნო, რომ ყოველ ქალაქში ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი იქნეს თითო თეატრალური წარმოება.

ყრილობამ ის აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა კინო-ფილმების გაქირავების საქმის გაერთიანება საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ყრილობამ აირჩია ხელოვნების მუშაკთა კავშირის ახალი ცენტრალური კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

საქონლის ჭირი

თელავი, 31 მაისი. მაზრის სხვადასხვა კუთხეებიდან იტყობინებიან საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ. ბეითლების ნაკლებობის გამო, ავათმყოფობის საწინააღმდეგო ზომები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

მინდვრის თაგვები.

თელავი, 31 მაისი. თეთრი წყაროს რაიონში გაჩნდენ მინდვრის თაგვები.

ნახშირის და მარილის მადანი.

სოხუმი, 31 მაისი. კოდორის მაზრაში მდინარე კაჩიჩის და კუარის სათავესთან აღმოაჩინეს ქვანახშირის და მარილის მადანი.

ციმბირის ჭირი

ქუთაისი. 31 მაისი. სკირის რაიონში იყო რამოდენიმე შემთხვევა ციმბირის ჭირის გაჩენის. ალაგ-ალაგ შავი ჭირი გაუჩნდა მსხვილფეხა საქონელსაც. ჭირმა იმსხვერპლა 6 სული საქონელი. საბეითლო პერსონალმა მიიღო ზომები ეპიზოოტიის აღმოსაფხვრელად.

ბამბის საწმენდი ქარხანა

ქუთაისი, 31 მაისი. საქართველოს მებამბეების კომიტეტი ხსნის ქუთაისში ბამბის საწმენდ ქარხანას, რისთვისაც გამოყენებული იქნება ნაციონალიზაციაქმნილი ბამბის საწმენდი ქარანები, რომლებიც წინად ეკუთვნოდენ ბეგოვებს და გოკიელოვებს.

საძოვარი ადგილების გარშემო.

ქუთაისი, 29 მაისი. ქუთაისის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრების გლეხებს შორის რამდენიმე წელია დავა სწარმოებს ასხის იმ საძოვარ ადგილებით სარგებლობის შესახებ, რომლებიც მდებარეობენ ამ სამი მაზრის საზღვრებზე. ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა მიიღო ზომები ამ დავის მოსაგვარებლად.

ამინდი.

ახალ-სენაკი, 31 მაისი. წვიმები გათავდა. უკვე კარგი დარი დაიჭირა. თავდება სიმინდის თესვა. ჯეჯილი კარგია.

აზერბეიჯანი

სეტყვა.

ნუხა, 31 მაისი. ვართაშენის აღმოსავლეთ ნაწილში მოვიდა ძლიერი სეტყვა. ხილის ბაღები და ნათესები დაზიანებულია 75 პროც.

გვალვა.

აღდამი, 31 მაისი. სოფელ აგდუაბედში, ხალფაში და არადინში გლეხებმა, ძლიერი გვალვის გამო, დაიწყეს ნათესების გათიბვა.

მე-14-ე პარტიული კონფერენციის შედეგების შესახებ

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება

ს. კ. პ. თბ. ორგ. არსენალის რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრებაზე

საჭიროა კონფერენციის რეზოლიუციის შესწავლა

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში, როგორც უკვე აღნიშნა ამხ. თავმჯდომარემ, მე დაწვრილებით არ განვიხილავ მე-14 პარტიული კონფერენციის რეზოლიუციებს, არამედ საერთოდ დავახასიათებ კონფერენციის მუშაობის შედეგებს.

მე-14 პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის, ისე საერთაშორისო მუშათა მოძრაობისთვისაც. დაბეჯითებით ურჩევ ამხანაგებს ნუ დაკმაყოფილდებიან საერთო მოხსენებების მოსმენით ასეთ დიდ კრებებზე, არამედ აიღონ პატარა წიგნაკი, რომელიც თბილისის კომიტეტმა გამოუშვა,—„მე-14 პარტიული კონფერენციის რეზოლიუციები“ და კეთილსინდისიერად შეისწავლონ ისინი.

ეს რეზოლიუციები ღირსია იმისა, რომ პარტიის თვითეულმა წევრმა, რომელსაც სურს გაერკვიოს ეხლანდელ მდგომარეობაში, დაწვრილებით გაარჩიოს და შეისწავლოს ისინი. ცუდი კომუნისტი იქნება ის, ვინც არ შეისწავლის და არ შეითვისებს მე-14 პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს; ის ვერაფერს ვერ გაიგებს ეხლანდელ მდგომარეობაში და ვერ შეასრულებს იმ ამოცანებს, რომლებსაც მას აკისრებს პარტია.

კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია ევროპაში

რაშია კონფერენციის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა? ის მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ეხლანდელ პერიოდში გამოირკვა ცხადათ ის, რასაც ეხლა უწოდებენ კაპიტალიზმის დროებით სტაბილიზაციას ევროპაში.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია, როდესაც საჭიროა უკვე თოფის ძებნა ქუჩებზე საბრძოლველად—ასეთი სიტუაცია ეხლა ევროპაში არ არის. შედარებისათვის ავიღებ ორ პერიოდს: 23 და 25 წ.წ. 23 წლის შემოდგომაზე ჩვენ მოველოდით დიდ რევოლიუციონურ ბრძოლებს გერმანიაში. მაშინ ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ პროლეტარული რევოლიუცია გერმანიაში გაიმარჯვებდა. რაზე ვამყარებდით ჩვენ გერმანიაში რევოლიუციის გამარჯვების რწმენას? მის მაშინდელ სამეურნეო, ფინანსიურ, პოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე. 23 წელში, საფრანგეთის მიერ რურის რაიონის დაპყრობის წყალობით, გერმანიის ისედაც დაშლილი სახალხო მეურნეობა ჩქარის ტემპით წავიდა სრული რღვევისაკენ. ფინანსები დაიშალა. მარკას საშინელი სისწრაფით ეკარგებოდა ფასი, ქარხნები დაიხურა და არაჩვეულებრივათ გაიზარდა—რამოდენიმე მილიონ კაცამდე—უმუშევართა რიცხვი. გამწვავდა კლასიური ბრძოლა. გერმანია ორ ბანაკათ გაიყო—ბორჟუაზიული წესწყობილების მომხრეებათ (ყველა ბურჟუაზიული პარტიები და მუშათა კლასის მოღალატეები—გერმანიის სოციალ-დემოკრატები) და მის მოწინააღმდეგებათ (გერმანიის კომუნისტები). ორივე მხარემ დაიწყო მზადება აშკარა შეიარაღებული ომისათვის. გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ამ შემთხვევაშიაც იხსნა გერმანიის ბურჟუაზია. პროლეტარიატი დამარცხებული აღმოჩნდა. ამ ჟამათ დოუესის გეგმის ნიადაგზე გერმანიის სამეურნეო ცხოვრება რამოდენიმეთ განმტკიცდა. შესაძლებელი გახდა მტკიცე ვალიუტის აღდგენა. ცუდია მუშათა კლასის მდგომარეობა, მაგრამ ის ეხლა მაინც უკეთესია, ვიდრე 23 წელში იყო. უმუშევრობა შესამჩნევათ შემცირდა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს სიმტკიცე ვერ იქნება ხანგრძლივი, მაგრამ ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ეს დროებითი სიმტკიცე დღეს არსებობს. ჩვენ პოლიტიკურათ ბეცები ვიქნებოდით, რომ არ დაგვენახა ეს.

იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დოუესის გეგმის ნიადაგზე მოახერხეს შეთანხმება იმაში, თუ როგორ უნდა გაძარცვონ გერმანია. კიდევ უფრო მეტი, ჯერჯერობით ისინი შეთანხმებული არიან კოლონიების გაძარცვის საკითხშიც. ყველაფერი ეს ჯერჯერობით ჰქმნის კაპიტალიზმის სიმტკიცეს ევროპაში.

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა მტკიცდება

ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ბრძოლის ძლიერათ გამწვავებას კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ სახელმწიფოებში, როგორიც არის ჩინეთი, მაროკო და სხვა. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ ჩვენ გვაქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის სტაბილიზაცია, ჩვენს მოსისხლე მტრებსაც კი დაეკარგათ საბჭოთა წესწყობილების დამხობის მოახლოვების იმედი. ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდა, ჩერვონეცის საბოლოოთ განმტკიცება და უდეფიციტო ბიუჯეტი—მჭერმეტყველურათ ამტკიცებენ ჩვენი საბჭოთა კავშირის მდგომარეობის სიმტკიცეს. რამოდენიმე ციფრები ჩვენი სამეურნეო ზრდის შესახებ: ჩვენი მრეწველობის ზრდა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით გამოიხატა 50-ზე მეტ პროცენტში და მან მარტში მიაღწია 1912 წლის იმავე თვესთან შედარებით 70 პროც.

ჩვენი მრეწველობა იზრდებოდა შემდეგნაირათ: 1921—22 წელში ის უდრიდა ომის წინა ხანების მდგომარეობის 23 პროც., 22—23 წ.—31,7 პროც., 23—24 წ.—40 პროც. და 24—25 წლის პირველ ნახევარში—70 პროც.

ჩვენი მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით ჩვენ გვაქვს ასეთი ზრდა: სათბობი მასალის მრეწველობა ჩვენში აღდგენილია: ის არა თუ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს, არამედ იმდენიც კი რჩება, რომ შესაძლებელი ხდება მის საზღვარგარეთ გატანა. წარსულ წელში ჩვენ გავიტანეთ 30 მილიონი ფუთი ნავთი. მიმდინარე წელში გატანილი იქნება 85 მილიონი ფუთი. ამას გარდა მიმდინარე წელში დონის რაიონიდან გატანილი იქნება 10 მილიონი ფუთი ნახშირი; მიმდინარე წელში განსაკუთრებით სწრაფად მიდის ლითონის მრეწველობის განვითარება.

შარშან ლითონის მრეწველობის ნაწარმოებთა ღირებულება უდრიდა 191 მილიონ ომის წინა ხანების მანეთს. წარსული წლის ნოემბერში 1924—1925 წლის წლიური გეგმა შედგენილი იყო 273 მილიონი მანეთის რაოდენობით, იანვარში ეს თანხა გადიდებული იქნა 317 მილ. მანეთამდე, აპრილში 350 მილიონამდე, ამჟამად კი ამხ. ძერჟინსკი მოითხოვს ამ თანხის გადიდებას 360—370 მილიონ მანეთამდე.

საფეიქრო მრეწველობა. წარსულ წელში ჩვენ გვქონდა ომის წინა ხანების მდგომარეობის 44 პროც.: მიმდინარე წლის ბოლოს კი გვექნება: ბამბის მრეწველობაში—74 პროც., მატყლის—66 პროც. და სელის მრეწველობაში—71 პროც. 1921—22 წელში ბამბის ნათესების სივრცე უდრიდა 52.000 დესეტინას, მიმდინარე წელში კი—561.000 დესეტინას. ყველა ეს ციფრები აღებულია ამხ. ძერჟინსკის მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა საბჭოთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობაზე. აღარ დაგღალავთ ციფრებით. ისიც საკმარისია, რაც მოვიყვანე.

ამხ. ძერჟინსკი თავის მოხსენებაში ამტკიცებს, რომ ომის წინა ხანების ნორმას ჩვენ მივაღწევთ ერთი წლის-წელიწადნახევრის განმავლობაში. რასაკვირველია, ომის წინა ხანების ნორმა ჩვენ ეხლა ვეღარ დაგვაკმაყოფილებს. საჭიროა მეურნეობის კიდევ უფრო განვითარება. საჭიროა ახალი ქარხნების, ახალი ფაბრიკების აგება. ასეთია საერთოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდა.

საერთაშორისო მდგომარეობა.

ჩვენმა კონფერენციამ ჩვენი პარტიის მორიგი ამოცანები შეიმუშავა ისეთ პირობებში, როდესაც ხდება კაპიტალიზმის ერთგვარი სტაბილიზაცია ევროპაში, როდესაც მწვავდება ბრძოლა კოლონიებში და მტკიცდება საბჭოთა კავშირი. ჩემს მოხსენებაში მე შევეხები მხოლოდ ამ ამოცანებს. რაც შეეხება კაპიტალისტური ქვეყნების და კოლონიალური აღმოსავლეთის კომპარტიების ამოცანებს, ამხანაგებს დაბეჯითებით ურჩევ გაეცნონ ამ. სტალინის მოხსენებას ჩვენი პარტიის მოსკოვის აქტივის კრებაზე და ამხ. ზინოვიევის მოხსენებას ამავე საკითხის შესახებ, რომელიც (მოხსენება) წაკითხული იქნა კონფერენციაზე.

საერთაშორისო პირობები ისეთია, რომ უახლოეს წლებში არ არის მოსალოდნელი რევოლიუციონური ბრძოლები ევროპაში. მაშასადამე, ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ უახლოესი წლების განმავლობაში ევროპის მუშათა კლასი უშუალო დახმარებას გაუწევს ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციას. კიდევ უფრო მეტი, არა ერთხელ იქნება ცდები კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრიდან ხელი შეუშალონ ჩვენს აღმშენებლობას. რასაკვირველია, ჩვენთვის ომის გამოცხადება რომ კაპიტალისტების კეთილ სურვილზე იყოს დამოკიდებული, მაშინ ამ სურვილს არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობებოდა წინ, მაგრამ, საბედნიეროთ, კეთილი სურვილის გარდა, ომისათვის საჭიროა კიდევ ბევრი რამ. ჩემბერლენის და, უკაცრავად პასუხია, ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის ყოველგვარი მუქარა არის ჩვენი მტრების ბოროტი სისინი ანდა შანტაჟი. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ბურჟუაზია ყოველ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუშალოს ჩვენს ზრდას. მას მშვენივრათ ესმის, რომ საბჭოთა კავშირის აღორძინება და განვითარება უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს მისთვის. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაღელვებს, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი მეურნეობის აღდგენას, სოციალიზმის შენებას, სოციალისტური სამშობლოს და ამ სამშობლოს თავდაცვისათვის საჭირო წითელი არმიის მოწყობას,—იმ არმიის, რომელიც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იქნება ტეხნიკით და სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის შეგნებით.

კავშირი გლეხობასთან

მაგრამ ვისთან ერთად შეგვიძლია ჩვენ ავაშენოთ ჩვენი მეურნეობა? ვისთან ერთად შევვიძლია შევქმნათ ძლიერი წითელი არმია? ვინ არის საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის მთავარი მოკავშირე სოციალისტურ მშენებლობის დიად საქმეში. პროლეტარიატის მთავარ მოკავშირეთ, როგორც დიდი ოქტომბრის დღეებში, ისე ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის დღეებში და დღესაც იყო და არის გლეხობა. როგორ საფუძვლებზე მოეწყო კავშირი ოქტომბერში. კაპიტალისტებისათვის ყველა ქარხნების და მემამულეებისათვის მთელი მიწის ჩამორთმევის საფუძვლებზე. ამ მონაპოვართა შენარჩუნებისათვის ერთად იბრძოდენ მუშები და გლეხები სამოქალაქო ომის დროს. მაგრამ დღეს ეს ხელშეკრულება აღარ გვაკმაყოფილებს. ეს არის განვლილი ისტორიული საფეხური. ეხლა საჭიროა ახალი ხელშეკრულება; ახალი ურთი-ერთ დამოკიდებულება. ეხლა გლეხობა მოითხოვს პროლეტარულ სახელმწიფოსაგან, რათა მან ნორმალურად მიაწოდოს ქალაქის მრეწველობის პროდუქტები ხელმისაწვდომ ფასებში, რათა [illegible] მას თავისი მეურნეობის საქონელი მისთვის ხელსაყრელ ფასებში. გლეხობა მოითხოვს პროლეტარულ სახელმწიფოსაგან იაფ, მოქნილ და სინდისიერ ადმინისტრატიულ აპარატს. ამ პირობების შესრულების დროს გლეხობა მომავალშიაც იქნება პროლეტარიატთან ერთად ოქტომბრის მონაპოვართა და ჩვენი კავშირის სოციალისტურ მშენებლობის დასაცავად. ჩვენი სწორი პოლიტიკით, მე-14-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა კეთილ სინდისიერად ცხოვრებაში გატარებით. გლეხობის მხრივ მხარის დაჭერა უსათუოდ უზრუნველყოფილია. მაგრამ ამისათვის საჭიროა გადაჭრით უარვყოთ სოფლად მართველობის და ხელმძღვანელობის ძველი მეთოდები. 21 წელში ამხ. ლენინი სწერდა: „გლეხობასთან სწორი ურთი-ერთობის 10-20 წელიწადი და გამარჯვებაც უზრუნველყოფილია მსოფლიო მასშტაბით (კიდეც რომ გაჭიანურდეს პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც იზრდება)“. ვ. ი. ლენინი, „სასურსათო გადასახადის შესახებ“ და ბროშიურას გეგმა და კონსპექტი, 21 წელს დაიბეჭდა „ბოლშევიკის“ მე 7 ნომერში.

გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება.

როგორ შეიძლება გლეხობის ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში—როგორ შეიძლება მოეწყოს მისთვის ქალაქის მრეწველობის საქონლის მიწოდება იაფად და მისი შრომის პროდუქტების გასაღება. ერთად-ერთი სწორი გზა ამისათვის არის **გლეხობის გაერთიანება კოოპერატივებში და სასოფლო მეურნეობის აღორძინება.** აი როგორ მნიშვნელობას აძლევდა ილიჩი კოოპერაციას. „თვითეული საზოგადოებრივი წესწყობილება მყარდება მხოლოდ განსაზღვრული კლასის ფინანსიურ დახმარებით. ზედმეტია მოვიგონოთ მრავალ ასეული მილიონი მანეთები, რომელიც დასჭირდა თავისუფალ კაპიტალიზმის წარმოშობას. ეხლა ჩვენ უნდა ვაღიაროთ და [illegible] უნდა [illegible] ის, რომ ამჟამად საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც ჩვენ უნდა დავიცვათ ყველაზე მეტად,—არის კოოპერატიული წესწყობილება. მაგრამ ისი დაცვა საჭიროა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. ამ დაცვაში უნდა ვიგულისხმოთ ყოველგვარი კოოპერატიული ბრუნვის დაცვა—უნდა ვიგულისხმოთ ისეთი კოოპერატიული ბრუნვის დაცვა **რომელშიაც ნამდვილათ მონაწილეობენ მცხოვრებთა ნამდვილი მასები.** მივსცეთ პრემია იმ გლეხს, რომელიც მონაწილეობას იღებს კოოპერატიულ ბრუნვაში—ეს ფორმულა, უსათუოთ, მართალია, მაგრამ ამავე დროს საჭიროა შევამოწმოთ ეს მონაწილეობა, ეს შეგნება და მისი კეთილთვისება—აი რაში მდგომარეობს მთავარი საკითხი.

როდესაც კოოპერატორი მიდის სოფელში და აწყობს იქ კოოპერატიულ დუქანს, მცხოვრებნი, სიმართლე უნდა ითქვას, არავითარ მონაწილეობას არ იღებენ მასში, მაგრამ ამავე დროს, ისინი საკუთარი სარგებლიანობის თვალსაზრისით სინჯავენ მასში მონაწილეობის მიღებას... ხოლო განათლებულ კოოპერატორთა წესწყობილება საწარმოვო საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრების დროს — ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის კლასიურ გამარჯვების დროს—ეს არის სოციალიზმის წესწყობილება“. ვ. ი. ლენინი კოოპერაციის შესახებ. წერილები და სიტყვები გვ. 136—137.

მაგრამ როგორ მიდის კოოპერატიულ აღმშენებლობაში „მცხოვრებთა ნამდვილ მასების მონაწილეობის“ საქმე. უსათუოთ ცუდათ და ეს ხდება არა მარტო სოფლათ, არამედ ქალაქშიაც. ამ დღეებში თბილისში გააუქმეს, და კარგადაც მოიქცენ, მუშათა მთლიან კოოპერატივის რწმუნებულთა არჩევა. როგორ ტარდებოდა ეს არჩევნები? 20 ათასი წევრიდან სხვადასხვა რაიონებში გამოცხადდა დაახლოვებით 1 ათასამდე, ისიც მეორეჯერ, ხოლო პირველათ არა უმეტეს 500 კაცისა. 20 ათასიდან—500!!! და ასეთ კრებებზე ტარდებოდა არჩევნები, კრებას 2 ათასის მაგიერ ესწრება მხოლოდ 57 კაცი, ხოლო ირჩევენ 27 რწმუნებულს და 8 კანდიდატს!!!

ვფიქრობ, რომ ზედმეტია კომენტარიები; უამისოთაც მდგომარეობა ნათელია.

სოფელში საქმე გაცილებით უფრო ცუდათაა. ზედმეტია მტკიცება. რომ არ არის და არც შეიძლებ. იყოს კოოპერაცია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მასში მცხოვრებთა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

მცხოვრებთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა კოოპერაციის მშენებლობაში წარმოადგენს აუცილებელ პირობებს ჩვენი კოოპერაციის გაჯანსაღებისა და განვითარებისათვის.

„კოოპერაციის განვითარებისა და მასში მცხოვრებთა ფართო მასების აქტიურად ჩაბმისათვის უნდა არსებობდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფდა პაიჩენების თავისუფლებას და ამომრჩეველთა წინაშე არჩეულ ორგანოების პასუხისმგებლობას. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ადგილებზე არ უნდა დაუშვან ადმინისტრატიული ჩარევა კოოპერატიულ [illegible]ში და უნდა იზრუნონ კოოპერატიული წესდებათა სისწორით შესრულებაზე.

პარტიულ ორგანიზაციებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყონ იმის შესახებ, რომ კოოპერატიულმა მოძრაობამ სოფლად გლეხობის მიმართ უნდა ითამაშოს იგივე ხელმძღვანელობითი როლი, რომელსაც თამაშობს პროფკავშირი უპარტიო მუშათა მასების მიმართ“ XIV პარტ. კონფერენციის რეზოლიუციებიდან.

უნდა აღვმოფხვრათ თვითნებობა

მართვა-გამგეობის საქმეში უნდა ვაწარმოვოთ გაბედული ბრძოლა სოფლად ბრძანებლობის წინააღმდეგ. საჭიროა გაცხოველდეს მუშაობა საბჭოებში, საჭიროა, რათა საბჭოები თავის თავს გრძნობდენ ბატონ-პატრონებათ თავიანთ რაიონებში. ჩვენ მივაღწიეთ საბჭოებში უპარტიოთა მნიშვნელოვან რიცხვის გაყვანას, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუ კი საბჭოები არ იკრიბებიან. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში, არჩევნების შემდეგ, არც ერთხელ არ ყოფილა საბჭოს სხდომა (კარგია, რომ ეს იყოს მხოლოდ ერთ ქალაქში). საკითხები არ მოგვეპოვებათ—თავს იმართლებენ ამხანაგები. მაგრამ რათ ღირს ის უმსგავსოება, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ დღეებში რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარი, იხ. „კომუნისტი“ ამ წ. 28 მაისის ნომერი. მაგრამ რათ ღირს ის საშინელი უწესოება, რომელიც ჩვენ გვაცნობა კომისიამ ამ. ხიმშიაშვილის მეთაურობით ბორჩალოს, დელიჯანის და ყაზახის მაზრებიდან. ამ მაზრებში სარწმუნოების, მიწის საგადასახადო და ტყით სარგებლობის დარგში და სხვა მრავალ ადგილი აქვს ისეთ რამეებს, რომელიც პირდაპირ მცხოვრებთა სასაცილოთ აგდებას უდრის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამას ბოლო მიეღება. ამ მაზრებში კომუნისტებს სთვლიან ბეგებით, ხანებით და არა თავიანთ მეგობრებათ და დამცველებათ. ასეთ დამოკიდებულებას, სამწუხაროთ, ჩვენ ვხედავთ არა მარტო ამ მაზრებში. სოფელში დაშვებულ შეცდომების წყალობით, ზოგიერთ რაიონებში, ამხ. სტალინის სიტყვით, საბჭოების უკანასკნელ არჩევნებში საშუალო შეძლების გლეხებმა მხარი დაუჭირეს კულაკებს. ჩვენთვის საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა მოუღოთ ბოლო ამ უწესოებას. კომუნისტი, რომელსაც არ ესმის ჩვენი პარტიის ახალი კურსი სოფლად ან არა სურს გაიგოს იგი—დაუყოვნებლივ უნდა იქნას განთავისუფლებული ამ სამუშაოდან. კონფერენციამ განიხილა აგრეთვე ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით გლეხთა დაბეგვრის საკითხი. კონფერენციამ მოიწონა საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიის დადგენილება გადასახადებით დაბეგვრის შემცირების შესახებ და წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს ჩააბან [illegible]თა ფართო მასები სოფლად გადასახადების განაწილების საქმეში.

კონფერენციის გადაწყვეტილებები უნდა გავატაროთ ცხოვრებაში

კონფერენციის წინ რ. კ. პ. ცეკას პლენუმმა გადასწყვიტა აგრეთვე საკითხი იმ ტყის არეს გაფართოების შესახებ, რომლითაც გლეხობა სარგებლობს. როგორც ხედავთ, კონფერენციის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა—გლეხთა საკითხი. ჩვენ დაწვრილებით უნდა გავარჩიოთ ეს გადაწყვეტილებანი და შეუდგეთ ცხოვრებაში მათ პრაქტიკულად გატარებას. ჩვენთვის ეს საჭიროა უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, ჩვენი ქვეყანა გლეხური ქვეყანაა, ამავე დროს გლეხობას გავლილი აქვს დიდი პოლიტიკური სკოლა. გლეხობა პოლიტიკურად აქტიურია. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ სოფლად მუშაობაში ძალიან მოვიკოჭლებთ. საჭიროა, რათა მთელი პარტია შეუდგეს XIV პარტკონფერენციის დადგენილებების გატარებას. ერთხელ და სამუდამოთ უნდა უკუვაგდოთ ჩვენი ნაკლულევანებათა და შეცდომების მიჩქმალვა. **„პარტია, რომელიც უმალავს სიმართლეს ხალხს, პარტია, რომელსაც ეშინია სინათლის და კრიტიკის—არის არა პარტია, არამედ მატყუარების ხროვა, რომელსაც დაღუპვა მოელის“**, ამბობს ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პარტია სახელოვნად შესრულებს მის წინაშე დასმულ ამოცა ბს

საინფორმაციო-განყოფილების ბიბლიოთეკა

ჩვენი სოფლის ჭირვარამი

ალმასკომის თავმჯდომარე მკვლელს მფარველობს

დასავლეთ საქართველოს პროკურორის საყურადღებოდ.

(ახუთის თემი, ზუგდიდის მაზრა).

ახუთის თემი ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთი მივარდნილი თემია. თემს სავაჭრო ადგილიც აქვს—დ. სამლებროს სახელწოდებით, სადაც მოთავსებულია რამდენიმე დუქანი და თემის სხვადასხვა დაწესებულებები.

თემის ალმასკომის თავმჯდომარეა სიმონ ხუბუნაია. თავმჯდომარე არ სდგას თავის სიმაღლეზე და ვერ არის საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული პირი. აი ერთი ნიმუში მისი მოქმედებისა: ს. კიწიიდან (სენაკის მაზრა, ს. ახუთის მოსაზღვრე თემი) ჩემთან მოვიდა დაძონძილ ტანისამოსში გლეხი სოფრომ წიფურია. მან სიმონ ხუბუნაიას შესახებ პასუხისმგებელ ამხანაგების დასწრებით განაცხადა შემდეგი: თავმჯდომარე ხუბუნაია ვერ ეპყრობა გლეხებს, როგორც წესი და რიგია, აჭიანურებს საქმეებს, არ იღებს საჭირო ზომებს გლეხობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და სხვა.

გასული წლის 23 ნოემბერს დ. სამლებროში (ახუთის თემი) ბაზრობის დროს სოფრომ წიფურიას კერძო ინტერესების გამო მოუკლეს ახალგაზრდა შვილი ბიქტორი. სიკვდილის წინ ბიქტორმა დაასახელა მკვლელი. საბჭოთა კანონიერება მოითხოვდა ბრალდებულის დაპატიმრებას და სასტიკად დასჯას, მაგრამ ხუბუნაიას თვალთმაქცობამ საქმეს ისე გზა-კვალი აუბნია: ხუბუნაიამ კარგათ იცის, თუ ვინ მოკლა სოფრომ წიფურიას შვილი. ის მაშინ მკვლელობის ადგილზე იყო. მაგრამ საქმე მოაჭახრაკა. რომ უბედურ გლეხს გზა-კვალი აუბნია და საშუალება არ მისცა დაესაჯა მკვლელი, რომელიც დღესაც დაუპატიმრებელია. გამოძიების დროს ხუბუნაიამ როგორც უნდოდა ისეთი ოქმი შეადგინა. მოწმეც და გამომძიებელი: თვით მოკლულის მამის სახლში იყო, მაგრამ ხუბუნაიამ დიდხანს არ გაჩერა: ბევრი გამოძიება საჭირო არ არის, რადგანაც მე თვითონ იქ ვიყავი და მე ვიცი რაშია საქმე და ისე შევადგინოთ ოქმიო.

ამნაირათ ხუბუნაიას წყალობით მკვლელი თავისუფლად დადის. რას ჰგავს ეს? ასეთი მოქმედების შემხედვარე გლეხი რას იტყვის საბჭოთა ხელისუფლებაზე?

ხუბუნაია მენშევიკების დროის უფროსი მილიციელი იყო იმავე თემში, არა ერთხელ ჩაუდენია ასეთი საქმეები. აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას ზუგდიდის სამაზრო ალმასკომი და პროკურატორა?

მიიღებენ თუ არა ისინი სათანადო ზომებს ხუბუნაიას „საგმირო საქმეების" გამოსარკვევათ, თუ კიდევ მიეცემა ხუბუნაიას საშუალება იფარფაშოს მენშევიკურად ახუთის თემში?

ჩვენ მოვითხოვთ საჩქაროთ იქნეს გამორკვეული ეს საქმე და მკვლელიც და მისი მფარველიც სასტიკ პასუხისგებაში მიეცეს.

ბანი.

არაფრად არ ვარგა საკურორტო წესები ბახმაროზე

(ვისიც ჯერ არს საყურადღებოდ)

ბახმარო გლეხური კურორტია. მცხოვრებთა 95 პროც. გლეხებს ეკუთვნით. გურია „მალიარიის სამშობლოა", ამიტომ გლეხობას ძლიერ ესაჭიროება ბახმარო და ყოველ წლიურათ იქ მიდის ლობიოთი და მჭადით და თითო-ოროლა ძროხით.

ეს ოთხი წელია გურიის გლეხობა სიმწარით სარგებლობს ბახმაროს ჰავით. ამის მიზეზები ბევრია.

1922 წელში კურორტის გამგეობამ ნაციონალიზაცია უყო გლეხების სახლებს; მოუვლელობის გამო სახლები დაინგრა, რამაც საშინელი ბინის კრიზისი გამოიწვია. 1923 წ. ათეული სახლების გამოკლებით მეპატრონეებს დაუბრუნდა დანგრეული სახლები.

1924 წელში სახლის მეპატრონეებს ისევ გაურთულდათ მდგომარეობა გამგეობის არა შესაფერისი განკარგულების გამოცემით, რომელშიაც ნათქვამი იყო: სახლების მეპატრონეები უნდა გატარდენ რეგისტრაციაში პირველ ივლისამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლები ჩამორთმეულათ ჩაითვლებაო. ყანის მუშა-გლეხებმა „სალარიბოში" (საყანე ნატანების რაიონში) და ფიჩორის პირზე (საყანე ლანჩხუთის რაიონში) ვერ გაიგეს გამგეობის განკარგულების შესახებ და ამით კურორტის გამგეობამ ისარგებლა და სახლებზე ხელი აალებინა გლეხებს.

კურორტის დაცვის საკითხსაც გამგეობა სწორათ ვერ მიუდგა: დარაჯების საშუალებით იჭერდენ პირუტყვებს გლეხებისას და კვირაობით ჩიხში ყავდათ დამწყვდეული მოუვლელობით ხშირათ გლეხებს ეხოცებოდათ პირუტყვები და გლეხს ტყავის წაღების უფლებაც არ ჰქონდა.

ყველა ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია გლეხობაში.

სეზონის ბოლოს ერთი დღით ამხ. ფ. მახარაძე ამოვიდა ბახმაროზე. მან მოისმინა გლეხების საჩივრები პირადათ: სახლების ჩამორთმევის, პირუტყვების დაჭერის და დაჯარიმების, საჰაერო გადასახადის და მიწის ბაჟების შესახებ. ამხ. ფილიპემ მოიწვია პასუხისმგებელი ამხანაგები იმავე საღამოს, გამგეობის მოქმედება დაგმო და მათ მისცა სამუშაო დირექტივები (ამის ოქმი ჩემთან ინახება).

ა | წ. აპრილში ნაგომარში ჩამოიარა ამხ. ფილიპემ. აქაც გლეხები დაუხვდენ მას და მოახსენეს კურორტის გამგეობის უდიერ მოპყრობაზე. ის შეჰპირდა საქმის მოგვარებას, მაგრამ ამით საქმე არ ამოიწურება. რადგან კურორტის გამგეობაში ყოველწლიურათ სხვადასხვა პირები ინიშნებიან. სეზონი მოახლოვებულია. ალბათ დანიშნული იქნება საკურორტო გამგეობა, რომელიაც უნდა შეეცადოს კურორტის შენობვას ვიწრო ფარგლებში, რაშიც გლეხები სიხარულით მიიღებენ მონაწილეობას და ყოველგვარ შესაძლებელ დახმარებასაც გაუწევენ გამგეობას.

გამგეობამ ხელი უნდა აიღოს სახლების ნაციონალიზაციაზე. ის არ უნდა ჩაერიოს სახლების გაქირავების საქმეებში. ამაში შეთანხმდებიან დამქირავებლები და სახლების მეპატრონეები სანიხრო კომისიის საშუალებით, რომელსაც ორივე მხარე აირჩევს. როგორც ამხ. ფილიპემ აღნიშნა თავის სიტყვაში, მიწის ბაჟები შემცირებული უნდა იქნას და საჰაერო გადასახადი გაუქმებული, რადგან მას, პროვოკაციის მეტი, „სარგებელი" არაფერი მოაქვს ხელისუფლებისათვის.

ეს საშუალებანი—ერთის მხრივ მოსპობს უკმაყოფილებას გლეხობაში და მეორეს მხრივ წინ წასწევს კურორტის საქმესაც, რადგან ამის შემდეგ კერძო პირები შეეცდებიან ააგონ ახალი სახლები და ეს კი მოსპობს აუტანელ ბინის კრიზისს.

კ. უჯმაჯურიძე.

„კომუნისტი"-ს რედაქციას

გაზ. „კომუნისტი"-ს მე-107 №-ში მოთავსებულია „ადგილობრივი"-ს წერილი შემდეგი სათაურით: „მოგვაშორეთ ეს მასწავლებელი". წერილში აღნიშნული მასწავლებელი ხელაძე მოხსნილია თავის თანამდებობიდან და დატუსაღებულია ოზურგეთის გამასწორებელ სახლში. ბრალათ ედება სის. სამ. კანონით 112 და 173 მუხლში გათვალისწინებული დანაშაულება და სწარმოებს გამოძიება.

რაც შეეხება მის განათლების ცენზს—ესეც იქნება გამორკვეული.

საქმის გარჩევის შემდეგ ჩემ მიერ იქნება გადმოგზავნილი რედაქციაში სხდომის ანგარიშები და განჩინების ასლი.

დასავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწე ოზურგეთის მაზრაში პეტრე ხუნდაძე.

ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ გამოკვლევათა შედეგები)

მშრომელი ხალხის ნდობის ბოროტად გამოყენება დაუსჯელი არ დარჩება

პასუხისგებაშია მიცემული ახალციხის სატყეო კომიტეტის გამგე.-ხაზ. საქართველოს ბანკის ბათომის განყოფილების მმართველი ჩხენკელი, მოლარე შატუნოვი და სავალუტო ნაწილის ყოფილი გამგე რუცკი სამსახურში ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში არიან მიცემული.—პასუხისგებაშია მიცემული აგრეთვე საქ. სახალხო ბანკის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე წაიტაკი, რომელმაც დაფარა აღნიშნულ პირთა ბოროტმოქმედება.—კოოპერატიული ამ.-ბის „რაშპარ"-ის გამოკვლევის შედეგები.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილი იყო მთელი რიგ დაწესებულებათა გამოკვლევა-დათვალიერება.

ახალციხის სატყეო კომიტეტში

ამ დაწესებულებაში მოხდენილ გამოკვლევის შემდეგ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ სამსახურში ბოროტმოქმედობის გამო მოხსნილია სამსახურიდან სატყეო კომიტეტის გამგე და მთელი რიგი თანამდებობის პირთა, მასალის საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადაცემით.

საქართველოს სახალხო ბანკის ბათომის განყოფილება.

გამოკვლევით დამტკიცდა, რომ ბანკის მმართველისა და სხვა თანამდებობის პირების მხრით ჩადენილი იყო ბოროტმოქმედება თანხების გაფლანგვის სახით და სხვა. აღნიშნულ საკითხზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ გამოტანილია შემდეგი დადგენილება:

ა) მიეცეს პასუხისგებაში ბანკის მმართველი მოქ. ჩხენკელი, ყოფილი მოლარე შატუნოვი და სავალუტო ნაწილის ყოფილი გამგე—რუცკი და მოხდეს სასწრაფო განკარგულება ჩხენკელისა და სხვათა დასატუსაღებლად.

ბ) ბანკის ზარალის ნაწილობრივ გასანაღდებლად დაედოს ყადაღა მოქ. ჩხენკელის და შატუნოვის ქონებას.

3) მიეცეს პასუხისგებაში აგრეთვე საქ სახ. ბანკის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე—მოქ. წაიტაკი, რომელიც ბათომში ყოფნის დროს დაწვრილებით გაეცნო საქმის შინაარსს, მაგრამ ბოროტმოქმედებათა გამოსააშკარავებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად არავითარი ზომები არ მიიღო, პირიქით დაფარა ის.

გ) რადგან აჭარისტანის რევტრიბუნალმა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო მოსპო მოქ. ჩხენკელის საქმე და ამ ჟამად კი ირკვევა, რომ მოქ. მგალობლიშვილმა ჩხენკელის შთაგონებით სასამართლოს ტყუილი ჩვენება მისცა, ეცნობოს ამაზე აჭარისტანის სასამართლოს, რომ აღნიშნული საქმე ხელახლა გაირჩეს და მოქალაქე მგალობლიშვილი მისცენ პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

კოოპერატიული ამხ. „რაშპარ"-ი

რევიზიით აღმოჩენილია სამსახურში მთელი რიგი ბოროტმოქმედებათა „რაშპარ"-ის საწყობის გამგის ტიგრან მამულიანცის და ამხანაგობის ყოფ. გამგეობის თავმჯდომარის შაგიანცის მხრით და ანგარიშის სრული არევ-დარევა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ დადგენილია: შაგიანცი და მამულიანცი მიეცენ პასუხისგებაში. წარმოკავშირის გამგეობას კი მიეცეს წინადადება აღნიშნულ ამხანაგობის ანგარიშის წარმოება დააყენოს სათანადო სიმაღლეზე.

სოციალური დაზღვევა

სოციალური დაზღვევის სალაროსადმი დავალიანების შესახებ

ს. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახელით სოც. დაზღვევის სალაროსადმი დავალიანებულ დაწესებულებებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა:

„შემჩნეულია, რომ სოციალური დაზღვევის საქმეს აფერხებს დაწესებულებათა მიერ ხვედრი თანხების შეუტანლობა დაზღვევის სალაროებში, რაც არანორმალურ მდგომარეობაში აყენებს ამ უკანასკნელის საქმიანობას.

ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება უმაღლესმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა და შესაფერისი წინადადება მისცა დაწესებულებებს დაუყოვნებლივ დაეფარათ დაზღვევის სალაროსადმი დავალიანებები. მაგრამ მიუხედავად ამ კატეგორიული წინადადებისა ზოგიერთი ჩვენი დაწესებულებანი მაინც აფერხებენ ხვედრი თანხების შეტანას სხვადასხვა არა საპატიო მიზეზების გამო.

ზემოაღნიშნულის გამო საქ. კომ. პარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისია და მ. გ. ინსპექციის კომისარიატი წინადადებას იძლევა იმ დაწესებულებათა მიმართ, რომლებზეც ირიცხება დავალიანება, დაუყოვნებლივ შეიტანონ სოციალურ დაზღვევის სალაროში ხვედრი თანხები და მომავალში არ იქნეს დაშვებული ასეთების შეფერხება.

განათლების ფრონტზე

ფიზიკისა და მათემატიკის ტერმინოლოგია.

განათლების კომისარიატის სატერმინოლოგიო კომისია ამჟამად იმუშავებს ფიზიკის ტერმინებს შედგენილს პროფ. ალექსანდრე დიდებულიძის მიერ 400 სიტყვით და მათემატიკისას შედგენილს პროფესორებისა და მათემატიკოსების მიერ 200 სიტყვით.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის დამკვიდრება.

განათ. კომისარიატის სამეცნიერო სექციამ შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო სწავლების გავრცელების ფართო გეგმა, რომლის მიხედვით გლეხებისათვის ადგილებზე აგრონომიული დახმარების აღმოჩენა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ მასიურ სასოფლო-სამეურნეო სკოლების მიერ. ასეთი სკოლები ჩამოყალიბებული უნდა იქნას პრაქტიკულ ნიადაგზე გლეხურ მეურნეობის საჭიროების მიხედვით. აღნიშნულ სკოლებში მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ზამთრობით შვეიცარულ სისტემისდაგვარად.

მრეწველობის განვითარებისათვის.

ადგილობრივ მრეწველობის განვითარების მიზნით განათლების კომისარიატის სამეცნიერო-ტექნიკურ სექციამ გადასწყვიტა შეისწავლოს რესპუბლიკაში წარმოებულ ყველა დარგის მრეწველობა-მეურნეობის დღევანდელი დონე და გამოკვლევის შედეგათ გაიხსნა მცირე-ტექნიკური სახელოსნო-სამრეწველოები, რომლებიც გადაამუშავებენ და დაამზადებენ ადგილობრივ ნაწარმოებებს.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი დრედნოუტები ინგლისში

ინგლისში ახლო ხანში დამთავრდება ორი უდიდესი დრედნოუტის „ნელსონის" და „როდნეი"-ს აგება. ეს ორი გემი სრულიად არა ჰგავს თანამედროვე სამხედრო გემებს. საკვამური მილები მოთავსებულია გემის უკანა ნაწილში წყლის დონეზე. გემების წინა ნაწილში მოთავსებულია სამი კოშკი 16-დიუმიანი ზარბაზნებით. გემზე მოწყობილია სადგომი ათი ჰაეროპლანისათვის. გემების სიგრძე უდრის 100 საჟენს, განი—11 საჟენს.

ჰაეროპლანების გასროლა ზარბაზნით

ამერიკის სამხედრო გემზე „მისისიპი", დადგმულია სპეციალური მოწყობილება ჰაეროპლანების მოსაყვანად მოძრაობაში. ჰაეროპლანი, როგორც ვიცით, შორდება დედამიწის ზედაპირს, როცა რამდენიმე მანძილს გაირბენს და გაიზრდებს ასაფრენად საჭირო სისწრაფეს. გემებზე, სადაც გასაქანელი ადგილი არ არის, ამას აღწევენ შეკუმშული ჰაერის საშუალებით, „მისისიპი"-ზე კი მოწყობილია სპეციალური ზარბაზანი, რომელიც უკვამლო თოფის წამლის საშუალებით გაისვრის აეროპლანს. ბაქანი, რომელზედაც ეს ზარბაზანი დადგმულია, თავისუფლად ტრიალებს თავისი ღერძის გარშემო, ისე, რომ ჰაეროპლანის გასროლა შეიძლება ყოველგვარი მიმართულებით.

ახალი ყუმბარა

შეფილდში (ინგლისი) დაამზადეს ახალი ყუმბარა 16 დიუმიანი ზარბაზნებისათვის, რომელსაც ვერ უძლებს ვერავითარი სიმაგრე. როგორც ყუმბარის მოწყობილობას, ისე ცდების შედეგებს, საიდუმლოთ ინახავენ.

მილიცია

მილიციის კურსები

ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მ | გ. მილიციას გლეხკაცობისათვის. მილიცია თავისი ცხოვრებით და მუშაობით მჭიდროთ არის დაკავშირებული გლეხობასთან. სოფელში მყუდროების და წესრიგის დამცველი არის მილიცია. უხეში ძალა „სტრაჟნიკებისა" გაჰყვა ძველი წესწყობილებას და მათ მაგიერ მუშათა და გლეხთა მთავრობამ შეჰქმნა საკუთარი მილიცია, რომელიც ემსახურება მხოლოდ მშრომელ მასსას. თუ ძველი სტრაჟნიკის მოვალეობას შეადგენდა ფიზიკური ძალის ხმარება გლეხების მიმართ და ნაჩალნიკ-მემამულების დაცვა, მ | გ. მილიციის მოვალეობა შეადგენს მშრომელი ხალხის დაცვაში, რევოლუციონური წესრიგის დამყარებაში და სასტიკი ზომების მიღებაში მშრომელთა მტრების წინააღმდეგ. ასეთი დიდი მოვალეობის პირნათლად შესრულება მოითხოვს ჩვენი მილიციისაგან სათანადო მომზადებას.

სამწუხაროდ, დღემდე ეს მომზადება მილიციას ნაკლები აქვს. მართალია, ადგილობრივ სდებოდა მილიციონერთა მომზადება, მაგრამ ეს მუშაობა სწარმოებდა უსისტემოდ და ამიტომ სასურველ ნაყოფს არ იძლეოდა. რათა ეს მეტად რთული და დიდმნიშვნელოვანი საქმე მოეწყოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სახკომსაბჭოს ნებართვით აწყობს მილიციის უფროს შემადგენლობის მოსამზადებელ სამთვიან კურსებს. ამ კურსებზე მოწვეულნი არიან კურსანტებათ ყველა მაზრებიდან, სულ 60 კაცი. ამ 60 კაციდან რაიონის მილიციის უფროსებია 44 კაცი, ხოლო უფროსი მილიციონერები 16. სამი თვის განმავლობაში იმეცადინებენ კურსანტები შემდეგ საგნებში: ქართული ენა, ისტორია ანგარიში, პოლიტიკური ეკონომია, პოლიტიკური ცოდნა, კონსტიტუცია, სამოქალაქო, შრომის და მიწის კოდექსი, სისხლის სამართლის უფლება, სისხლის სამართლის პროცესუალური საქმის წარმოება, სასამართლოს მედიცინა, სანიტარია და ჩქარი დახმარება, სისხლის სამართლის ტეხნიკა და ტაქტიკა და ადმინისტრატიული უფლება, დისციპლინარული წესდება, სამწყობრო წესდება და სროლის და ტყვიისმფრქვეველის საქმე.

მოწვეულნი არიან შესაფერი მასწავლებლები. კომისარიატი დაიმედებულია, რომ საქმე ჩინებულად ჩატარდება. სამი თვის შემდეგ კომისარიატს განზრახული აქვს კურსები გააგრძელოს და მოიწვიოს ახალი შემადგენლობა.

კურსანტების ნაწილი უკვე ჩამოვიდა, დანარჩენები ამ დღეებში ჩამოვლენ.

დღეს, 3 ივნისს, იხსნება ეს კურსები და 4-დან-კი დაიწყება რეგულიარული მეცადინეობა. ვუსურვებთ ახალ საქმეს წარმატებას, რაც მოგვცემს საშუალებას სოფელს მივაწოდოთ ახალი მომზადებული ძალა და შესამჩნევად გაუადვილოთ გლეხობას ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა.

სალამი ახალ გახსნილ კურსებს და მათ შემადგენლობას.

ე. ქავთარაძე.

ქრონიკა

— **1905 წ. წლის რევოლუციის** დროს დაზარალებულ ივანე ლილუაშვილის ობლებს თბ. ალმასკომმა დაადგინა გაუწიოს ყოველთვიური დახმარება.

— **საბიუჯეტო კომისია.** თბ. ალმასკომმა დაადგინა დაარსოს მუდმივი საბიუჯეტო კომისია დაინტერესებულ განყოფილებების წარმომადგენლების შემადგენლობით.

— **სასოფლო-სამეურნეო აღწერის** ჩასატარებლად მაზრაში თბ. ალმასკომმა დაავალა საფინანსო განყოფილებას გაიღოს დამატებითი ხარჯები.

— **არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლისათვის.** სახალხო კომისართა საბჭოს სამეურნეო განყოფილებაში ორდერით № 46—მოქ. იაკობ ვაინერის მიერ შეტანილია არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლისფონდისათვის 56 მ. 50 კაპ.

— **პროფილაქტიური სკოლა.** თბ. ალმასკომმა დაადგინა გააფართოოს პროფილაქტიური (ავადმყოფობის გამაფრთხილებელი) სკოლა.

— **„თბილისის ვაჭრობის"** (ტიფტორგის) გამგეთ ალმასკომმა დანიშნა ამხ. მელიქოვი.

— **აგარაკებზე** გამგზავნ კომისიამ წელს შეამოწმა აგარაკებზე წასვლის მსურველი 2,290 ავადმყოფი.

— **ბორჯომში** და სხვა აგარაკებზე ავადმყოფების პირველი წყება გაიგზავნება 15 ივნისიდან.

— **საექიმო იარაღები.** ჯანსახკომის სახმედვაჭრობას და საექიმო ქვეგანყოფილებას დაევალა შეადგინონ იმ სადოსტაქრო იარაღების სია, რომელიც შეძენილი იქნება 1925—26 წელში.

— **თბ. დამზღვევი სალარო** აცხადებს რომ იგი არავითარ ცნობებს არ იძლევა აგარაკებზე წასვლა-წამოსვლის შესახებ. დაინტერესებულ პირებმა უნდა მიმართონ პროფკავშირს.

— **3-დან 7 ივნისამდე** თბ. დამზღვევი სალარო უმუშევართაგან მიიღებს განცხადებებს ფულადი დახმარების უფლების აღდგენის შესახებ.

— **ტრაქტორები.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატიდან მიიღო 10 ტრაქტორი (ფორძონის სისტემის) მაზრებში დასარიგებლად.

— **ციმბირის წყლული.** მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის [illegible] აუცრეს ციმბირის წყლულით დაავადებულ 14,982 საქონელს.

— **მუშათა საბინაო** აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ქუთაისში გაგზავნა ამხ. ვოლკოვი, რომელსაც დაავალა ქუთაისის რკინისგზელებისა და საპსოვ ქარხნის მუშების თხოვნის თანახმად შეადგინოს გეგმა მუშათა სახლების ასაგებათ.

— **ტყის მოშენება.** მიმდინარე წელში სატყეო განყოფილება გამოიკვლევს და მოაწყობს 250 ათას დესეტინა ტყეს.

— **მავნებლებთან საბრძოლველათ** მიმდინარე საანგარიშო წელში მავნებლებთან ბრძოლის ბიურომ გადასდო 56,065 მან.

— **მევენახეობა.** რიხტერის წესით სათბურების ასაშენებლათ და მოსაწყობათ მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა წელს გადასდო 20 ათასი მანეთი.

ხელოვნება

სტუდენტთა გუნდის კონცერტი

30 მაისს, რუსთაველის თეატრში, პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროსთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა ლოტბარ კორნელი მაღრაძის მეთაურობით გამართა თავისი პირველი საჯარო კონცერტი.

ეს გუნდი დაარსდა წარსული წლის ოქტომბერში, მასში შედიან სტუდენტი ქალვაჟნი, რიცხვით 30 კაცამდი. გუნდმა მუშაობა დაიწყო ნოემბრიდან, მაგრამ მის მუშაობას არ ჰქონია სისტემატიური ხასიათი, რადგან ამას წინ ეღობებოდა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები (ბინის უქონლობა და სხვა).

მიუხედავათ არახელსაყრელი პირობებისა, გუნდი ექვსი თვის განმავლობაში საკმაოთ კარგათ მოემზადა, ახალგაზრდულმა ენერგიამ და საქმისადმი სიყვარულმა გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებები და დღეს ამ გუნდს შეუძლია თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს არსებულ გუნდთა შორის.

კონცერტი შესდგებოდა ორი განყოფილებისაგან. ხალხურ სიმღერებთან ერთად შესრულებული იყო ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებებიც. სხვათა შორის, ისეთებიც რომლებიც ჯერ არ მოუსმენია ჩვენს საზოგადოებას (მაგალითად, კორ. მაღრაძის და სულხანიშვილის ნაწარმოებნი—პირველი ვარიაციით).

კონცერტზე შესრულებული იყო შემდეგი სიმღერები: მუშური მარში, თავისუფლების ჰიმნი (ევროპიულ კილოზე), ქართლ-კახური იმერული, გურული, მეგრული და აფხაზური სიმღერები, კომპოზიტორ სულხანიშვილის ნაწარმოებნი, იმ სახით, როგორითაც დაწერილი ჰქონდა კომპოზიტორს (ჰიმნი და ლოცვა), კორ. მაღრაძის ნაწარმოებნი (ნაწყვეტი საბავშვო ოპერეტიდან—„მესტვირული", „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა"—სიტყვები აკაკის) და სხვა.

ყველა სიმღერების შესრულებაში სჩანდა მუსიკალობა და ხმაშეწყობილობა, თუმცა ეს ხმა შეწყობილობა ყველგან ვერ იყო მტკიცე. შემდგომი მუშაობა, ალბათ, გამოასწორებს ამ ნაკლს.

როგორც მუსიკალური იუმორის ნიმუში, საინტერესოა ფუტურისტული მარში.

კონცერტმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

ზ.

— **„დიონისოს ღიმილი".** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი „დიონისოს ღიმილი", წიგნი შეიცავს 572 გვ.

მუშათა ცხოვრება

რას ჰგავს ეს?

(სისხლის სამართლის მილიციის საყურადღებოდ)

23 თებერვალს სისხლის სამართლის მილიციის მიერ იყო შეპყრობილი განთქმული მეძავი ქალი ნინა მერუმოვი. მისი შეპყრობით კმაყოფილი დარჩნენ მეზობლები და სახლის ყველა მდგმურები, რადგანაც მოისვენეს ამ საძაგელი ადამიანის მოშორებით, ვინაიდან მას უმსგავსო ყოფაქცევით აკლებული ჰქონდა მთელი სახლი. მაგრამ რას ვხედავთ: ხსენებული მერუმიანი დაუხსნია მის მოამაგე საყვარელს, ვილაც გუკასოვს. დატუსაღების დღიდან ვაჭარმა გუკასოვმა დახარჯა დიდი ფული. და ბოლოს მოახერხა მისი გამოშვება. ეს ქალი კი არ იშლის ძველ ყოფა-ქცევას. მისი ყოფა-ქცევის მოწინააღმდეგეებს ქუჩაში შეხვედრის დროს უშვერი ქუჩური სიტყვებით ლანძღავს მათ. ეს ქალი ეხლა ცხოვრობს მის დის სახლში ელისაბედის ქ. № 57-ში.

სისხლის სამართლის მილიციავ! მიაქციე ყურადღება ამ ქალს.

ინფორმატორი.

მოგვაშორეთ ასეთი მსახიობები

17 მაისს მცხეთის მუშათა კლუბში ტფილისის მოწაფეთა კოლეგიამ ვიღაც გამოუცდელ **რამიშვილის** ხელმძღვანელობით დადგა პიესა „სურამის ციხე". ჩვენ, მცხეთის საზოგადოება და მუშა-სცენისმოყვარეები მახვილი ყურადღებით უსმენდით. მაგრამ ამ ვაჟბატონებმა თავიანთ უვიცობით, როლების უცოდინარობით და სხვ. მეტად—ცუდი შთაბეჭდილება დასტოვეს მაყურებლებზე. დამდგმელი—**რამიშვილი** თვით ვერ გადმოგვცემს მსახიობის სახეს, მას სრულიად არ ემჩნევა, რომ ის იყვეს სცენისმოყვარე. მსახიობად, დამდგმელად და რეჟისორად ასეთებს ჩვენ ვერ ვცნობთ ვინაიდან მას არც გემო, არც ცოდნა, არც ბუნებრივი ნიჭი ხელს არ უწყობს. სცენის მოყვარეებმა არც როლები იცოდენ და არც პარიკები უვარგოდათ. ორ როლში: ზურაბის დედაში და ქალბატონში ერთი ქალი გვეცხადებოდა. განა ეს არის მსახიობობა, განა ეს არის თქვენი შეგნება!? ეს ისეთი შებღალვაა ხელოვნების, რომ ძირფესვიანად სთხრით მას. ამ საღამოს უმეტეს ნაწილად დაესწრნენ ზაჰესის მუშები და მოელოდნენ მათგან დიდ რამის და საშინლად მოსტყუვდნენ. ნურავინ ფიქრობს რომ მცხეთაში არ არიან სცენისმოყვარეები და შეგნებული მუშა ხალხი.

სირცხვილია ეს. ეს ჩვენი შეურაცხყოფაა, მცხეთის სცენისმოყვარეების აბუჩად აგდებაა.

რამიშვილი კი მოგვეცაროს აქ და ვასწავლით ხელმძღვანელობას, როგორ უნდა რეჟისორობა და უვიცი ჯგუფის ჩამოყვანა აქ არ გაბედოს.

მუშა სტუდიელი ი. გურუ

ალაგმეთ აუცილებლად

(ქალ. ალმასკომის და მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

ვსცხოვრობთ ბათომის ქუჩ. სახ. № 26-ში. ნახევარზე მეტი მცხოვრებნი ვირიცხებით კავშირის წევრებად. **სახლის პატრონის მაისურიანცის კარნახით მისი დების მხრიდან ძალიან შეწუხებულნი ვართ** მათი პროვოკაციით, ტყვილი ამბების მიტანმოტანით და ამით უსევენ საბჭოთა მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს ერთ-მეორეზე, რის გამო **ეზოში გამუდმებით ჩხუბი და ლანძღვა-გინებაა.** ყველაფერი ეს ხდება სახლის პატრონის ხელმძღვანელობით და მისი განზრახი მოსაზრებით, რომ **კავშირის წევრები სახლიდან გააძევოს და შემდეგ კი ოთახები გააქირაოს კერძო პირებზედ.** სამსახურიდან **მოსულ დაღლილ მუშებს სახლში დასვენება არა გვაქვს.**

მოგვაქციეთ ყურადღება და ალაგმეთ სახლის პატრონი და მისი დები.

ხელს აწერს ათი ოჯახი.

ალაგმეთ უპატენტო და თავხედი ვაჭრები

საქართველოს სამხედრო გზაზე გამრავლებული არიან განებივრებული ვაჭრები, რომლებმაც არ იციან რა არის ნიხრი და სახელმწიფო გადასახადი.

ზემოაღნიშნულ გზაზე ათასობით დადიან მუშები და მოსწავლე ახალგაზრდობა. სარგებლობენ რა ასეთი მდგომარეობით ეს ვაჟბატონები შეუდარებელ ფასებში ჰყიდიან საქონელს.

ადგილობრივმა ალმასკომმა უნდა ალაგმოს ეს ვაჟბატონები.

მუშა სიონელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

ბუხჰალტერი-ექსპლოატატორი

(9-უბნ. შრომის ინსპექტორის ამხ. სულავას საყურადღებოდ)

მთავარი სახელოსნოების ბუხჰალტერი, მ. მუმლაძე საქვაბო საამქროში მომსახურე მემანქანე ი. ზაბაშტას სიდინჯეს და პატიოსნებას ბოროტად იყენებს. სამუშაოს დიდს ავალებს და ჯამაგირს კი გაცილებით ნაკლებ ხარისხით უწერს.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

მუშკორი კ—ა.

მუშათა უბნებს ყურადღება აქციეთ

1908 წლიდან ვთხოულობდით ანტონოვის ქუჩის გაკეთებას, მაგრამ აქამდის არავინ მოგვხედა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიაქციეს მუშათა რაიონებს ყურადღება და ალმასკომი შეუდგა უკვე ამ ქუჩის მოკირწყვლას, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნით ალმასკომს.

აქაური მუშების სახელით
ვ. ირინესშვილი.

[illegible]

(ქალ. [illegible] საყურადღებოდ)

გოგოლის ქ. № 14 სახლში ზამთრის ყინვებისგან გამსკდარი მილი სახლის პატრონმა (სტრელკოვა) შეკეთების მაგიერ სხვა ეზოს შეურთა, რის გამოც მდგმურები დიდ გაჭირვებას განიცდიან.

საჭიროა სახლ. პატრონს შეაკეთებინონ მილი.

მუშკორი ელვა.

მოგვაშორეთ კერძო პირები

(კომბანკის ადმინისტრაციის საყურადღებოდ)

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის მიერ რამდენიმე დაწესებულებაში დაარსებულ „წერითი დამხმარე ბიუროებს" ჩვენი დაწესებულებები დიდ დახმარებას უწევენ, გარდა „კომბანკისა", რომლის ადმინისტრაციაც ვერ ჰბედავს კერძო პირების, ეგრეთ წოდებულ „არტისტების"-ს გარეკვას, იმ დროს, როცა ჩვენ გვყავს ბევრი უმუშევარი—კავშირის წევრი.

მუშკორი მათხოველი.

საჭიროა უფრო თავაზიანი მოპყრობა

(მომხმარებელ საზოგადოების საყურადღებოდ)

ჩვენს კოოპერატივებში ნოქრები მყიდველებს ხშირად რიგიანად არ ეპყრობიან, რაც მუშტრებს აფრთხობს და ისევ კერძო ვაჭრებისკენ იზიდავს მათ.

ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსამსახურეების შერჩევას კოოპერატივებში.

ინფორმატორი ოჩიგავა.

ასეთი სახლის პატრონი უნდა აილაგმოს

(მე-6 უბნის მილიციის საყურადღებოდ)

ხახანაშვილის ქ. (ყოფ. პაულუჩინის) № 32 სახლის პატრონი **ლევან მაჩიკოვი** ცოლით მოსვენებას არ აძლევს თავის მდგმურებს და ლანძღვა-გინებით იკლებს მათ.

საჭიროა ასეთ თავგასულ სახლის პატრონს ლაგამი ამოედოს.

ინფ. ცეცხლის ნაპერწკალი.

„ბიძაშვილობა"-ს ბოლო მოუღეთ

ა | წ. მარტში „ზაჰესი"-ს საამშენებლო უბნიდან გაემგზავრა ექსკურსია „ზაჰესი"-ს მახლობლად მდებარე ობსერვატორიის სანახავად, მაგრამ ობსერვატორიის თანამშრომელნი ყველა მანქანებს არ აჩვენებდნენ, არ უხსნიდნენ მათ. შემდეგ მივიდა მეორე ექსკურსია, სადაც თანამშრომლების ნაცნობები აღმოჩნდნენ და „ბიძაშვილობით" ყველაფერი წესიერად დაათვალიერებინეს.

საჭიროა ასეთ მოვლენებს მომავალში მაინც ადგილი არ ექნეს.

მუშკორი უხილავი.

პროვინციის ცხოვრება

დ. წითელი ქალაქი

([illegible] მაზრა)

წითელქალაქში ბევრი დაწესებულებაა, რომლებიც ამ უკანასკნელ დრომდე უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. როგორც კი გაავდარდებოდა, არ იცოდნენ სად დაეცვათ თავი წვიმისაგან. მაგრამ ამას უკვე ბოლო მოეღო.

სკოლების მდგომარეობა ხომ გამოუთქმელი იყო. ისედაც ღარიბ გლეხების ტიტველ შვილებს მიწაში ჩამტვრეულ ცივ ოთახებში უხდებოდათ მეცადინეობა, რომლის გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობდა. საექიმო პუნქტი ხომ წვიმაში წალმით დახურულ კარავს წარმოადგენდა. შენობას მრავალი წლების განმავლობაში შეკეთება არ ღირსებია, მაგრამ ეხლა კი საუცხოვოთაა შეკეთებული.

წითელქალაქში ამ ბოლო დროს დაარსდა სახალხო სასამართლო, რომელიც კარგათაა მოწყობილი და დიდ შეღავათს აძლევს სოფლელებს, რადგანაც მათ აღარ უხდებათ მაზრაში სიარული და დღეების გაცდენა. სასამართლოში აუარებელი საქმეებია გასარჩევი.

კულტურულად წითელქალაქი და მისი რაიონი ძალიან წინ მიდის, არსებობს მრავალი სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, სადაც მრავლად მოიპოვება ჟურნალ-გაზეთები. ხალხი სამკითხველოში ბლომათ დაიარება, ყველაზე უფრო გაზეთ „კომუნისტს" ეტანებიან, რომელსაც ხელიდან ერთი მეორეს სტაცებენ. მართალია წითელქალაქში ჯერ-ჯერობით სამკითხველო არ გვივარგა, მაგრამ ჩვენი შეფის, ფინსახკომის, დახმარებით შენდება საუცხოვო კლუბი, რომელიც ამ მოკლე დროში დამთავრდება.

წითელქალაქში დიდი ხანია დაარსებულია კოოპერატივი, რომლის მეთაურები ამ უკანასკნელ დრომდე თავიანთ ჯიბისათვის უფრო ზრუნავდენ.

დღეს ეს ვაჟბატონები ყველანი გამოყრილნი არიან კოოპერატივიდან, თვითეულს 300—400 მანეთი აქვს შეჭმული. საინტერესოა როდის გადაახდევინებენ მათ ამ ფულებს?

კოოპერატივის ახალმა გამგეობამ მუშაობა გააძლიერა. აუარებელი, სოფლისათვის საჭირო საქონელია მოტანილი ხელსაყრელ ფასებში.

გოგი.

ასკანის თემი

(გურია)

კომპარტიისა და მისი ბელადი ლენინის ლოზუნგი: „ვიბრუნოთ პირი სოფლისაკენ".—„ათი წლის თავზე არ უნდა დარჩეს წერა-კითხვის არ მცოდნე"—ნიგოითის თემში დავიწყებას მიეცა; ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის სოფლის მასწავლებლებს, რომლებმაც არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ადგილობრივ გლეხობას რა იქნა სალიკვიდაციო სკოლას გლეხობა ძალიან მოწყურებულია შეისწავლოს წერა-კითხვა. მასწავლებელმა უნდა იხსნას გლეხობა უცოდინარობისაგან. ის უნდა იყოს მებრძოლი შეუგნებლობის. აგრეთვე მასწავლებლებმა ვერ მიაქციეს ადგილობრივ სოფლებში კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობას ყურადღება. ნიგოითის თემის არც ერთ სოფელში არ არსებობს ქოხ-სამკითხველო. ვინ უნდა უძღვეს ამ საქმეს წინ, თუ არა მასწავლებლები.

გ. ქვიანიძე.

სინაქის მაზრა

(გურია)

ასკანის თემში არის 4-და 7 წლედი შრომის სკოლები. ამას წინედ ამ სასწავლებლის ეზოში ყოფილმა მოწაფეებმა გააშენეს ბაღი. ამ სასწავლებლის გარდა არის აგრეთვე ჭრაკერვის სასწავლებელი, სადაც სწავლობს 80-დე ქალი. სასწავლებლის წინ კი არის ყოფილი ეკლესია, რომელიც თვით ხალხის მიერ გადაკეთებულია სახალხო სახლათ.

არსებობს გლეხკომი, რომელმაც გახსნა სხვადასხვა სავაჭროები, როგორიც არის: სამკედლო, დუქანი, საპარიკმახერო და სხვა.

გლეხკომს აქვს სამკითხველო; სადაც სისტემატიურად მოსდით ჟურნალ-გაზეთები და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო წიგნაკები.

არსებობს კოოპერატივი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს კოოპერატივი ვერ იქნა და ვერა, ვერ დააყენეს თავის დონეზე. ვერ დააყენეს იმიტომ, რომ კოოპერატივის თანამშრომლებმა პირად სარგებლობისათვის უფრო მეტი იზრუნეს ვიდრე კოოპერატივის აღორძინებისათვის, მაგრამ ამას ადგილობრივმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება, მიიღო სათანადო ზომები და ასეთი თანამშრომლები მოაცილა კოოპერატივს.

„შოთაგრო"

რა ესაჭიროება ჩვენს თემს

ტობანიერის თემი (ქუთაისის მაზ.)

ტობანიერის თემში სწავლა-განათლების საქმე კარგ დონეზეა დაყენებული, თუმცა სასკოლო შენობის უქონლობის გამო შევიწროებას განიცდიდნენ მოწაფეები, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ სასწავლებლის შენობა, რომელიც დაწყებულია, დამთავრდება ადგილობრივი ალმასკომის დახმარებით ამ მოკლე ხანში. ჩვენს თემში კარგად ვერ არის დაყენებული საექიმო საქმე. ადგილობრივ არის ექიმი, და როცა ავადმყოფი შორს ცხოვრობს, ძლიერ ძნელია მისთვის წასვლა—ძლიერ დიდი დრო სჭირდება (დალალვას ვინ სჩივა) და სხვა ავადმყოფები უექიმოდ რჩებიან.

საჭიროა ეს საკითხი მოგვარდეს, რათა ექიმის მუშაობა ნორმალურ პირობებში იქნას ჩაყენებული.

ი. სანიკიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **მისაბაძი მაგალითი.** ომის ინვალიდმა ვლადიმერ ტუხაშვილმა სოფ. ვარდისუბნის (სიღნაღის მაზრა) სამკითხველოს თავის ხარჯზე გამოუწერა გაზეთები „კომუნისტი" და „ახალი სოფელი".

— **გაძარცვა.** 28 მაისს, სოფ. გვიშხეთში გაძარცვეს ხაშურიდან მომავალი სად. ბორჯომის მტვირთველი მუშა კოწია ლიოდალიძე, რომელსაც წაართვეს ვერცხლის ქამარი, ათი მანეთი ფული და თან სცემეს.

— **სიმინდის ნაკლებობა.** ზესტაფონის რაიონში თავი იჩინა სიმინდის ნაკლებობამ, რის გამო ფასები სიმინდზე საგრძნობლად გაიზარდა მაგ. ფუთი სიმინდი ღირს 2 მ. 30 კ., ფქვილი 3 მან., კვირაში რაიონისათვის საჭიროა 3,000 ფუთი სიმინდი.

— **სანიტარულ-განათლების ქოხი.** ჯანსახკომმა ზუგდიდში გახსნა სანიტარულ-განათლების ქოხი.

— **ცოფიანი ძაღლები.** ქუთაისში უკანასკნელ ხანებში გამრავლდა ცოფიანი ძაღლები. მაისის პირველ ნახევარში აღრიცხულია ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენის 60 შემთხვევა.

წერილიული რჩევა-დახმარება

მიწის ეს ნაჭერი მომეცემა თუ არა?

კითხვა

მე ვარ ღატაკი გლეხი, არა მაქვს ნორმით კუთვნილი მიწა. ამავე რაიონში მცხოვრებ ბობოლა გლეხს ჩემს მეზობლად აქვს მიწა, სივრცით დაახლოვებით ორი ქცევა, რომელსაც არ დაუმუშავებია უკვე ათი წელია. ამ ადგილს ის გაყიდვას უპირებს და აფასებს ასოც მანეთად. მიწა ჩაითვლება უკანასკნელ ხარისხის სამოსახლო მიწად. თვითონ მას აქვს ნაყიდი. გთხოვთ განმიმარტოთ: 1) შემიძლია თუ არა როგორც ღატაკ გლეხს და მასთან მცირე მიწის მფლობელს დაეუფლო აღნიშნულ მიწას და ამისთვის ვის მივმართო; 2) აქვს თუ არა მას მიწის გაყიდვის უფლება?

გლეხი ვალოდია გოგუაძე.

პასუხი

მიწის დასამუშავებლად მისაღებად თქვენ უნდა მიმართოთ ადგილობრივ სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებას.

მიწის ყიდვა-გაყიდვა, ანდერძით გადაცემა, გაჩუქება და დაგირავება აკრძალულია და ვინც ასეთ დანაშაულს ჩაიდენს, დაისჯება სისხლის სამართლის წესით და ჩამოართმევს იმ მიწას, რომელიც მის სარგებლობაში იყო.

(იხ. მიწ. კანონთა კოდ. მუხ. 25).

მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი, დაზღვევა და პროფკავშირში წევრად ჩარიცხვა?

კითხვა

მე ვცხოვრობ ს. ზემოსურებში (გურია) და ვმსახურობ ამავე თემში ტყის მცველის თანამდებობაზე; მას შემდეგ, რაც მე ვმსახურობ ამავე თანამდებობაზე აპრილს შესრულდა ორი წელი და დღესაც არ მიმილია არც ჯამაგირი და არც ჯამაგირის სახით არავითარი დახმარება. ამავე დროს არა ვარ ჩარიცხული კავშირის წევრად. გთხოვთ რჩევა-განმარტებას—მომეცემა ჯამაგირი და რა დროიდან და გავხდები თუ არა პროფკავშირის წევრი და რომელი რიცხვიდან.

ფიოდორ სანიკიძე.

პასუხი.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 38 და 39-ისა, თქვენ, როგორც ფიზიკურად მომუშავე, ადმინისტრაციას უნდა ჩაერიცხეთ სამსახურში ერთი კვირის გამოცდის შემდეგ. ჯამაგირი უნდა მოგეცეთ სათანადო განაკვეთით სამუშაოზე დაშვების პირველ დღიდანვე.

ადმინისტრაცია ვალდებულია თქვენ დაგაზღვევოს და ადგილკომი კი—ხე-ტყის-მუშაკთა კავშირში ჩაგრიცხოს.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა.

მე ვცხოვრობ ბათომის შესახვევში რკინის გზის გადაღმა მოქ. ტოხატელოვის სახლში; მიქირავს ერთი ოთახი 24 კვ. არშინი; ვმსახურობ დატვირთვა-გადმოტვირთვის ბიუროში დარაჯად. თვიურად ვიღებ ჯამაგირს 38 მან. 76 კაპ. რაოდენობით; ვარ კავშირის წევრი (წიგ. 2828); გთხოვთ, ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირად.

ამ ჟამად ვარ გაწვეული წითელჯარის ცვალებად შემადგენლობაში 3 თვით, რის გამო ჯამაგირი აღარ მექნება ამ ხნის განმავლობაში.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტებას რა გადავიხადო სახლის ქირა ამ სამი თვის განმავლობაში.

დარაჯი სოლო დემურხანაშვილი.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად გადიხდით ერთ აბაზს და ოთხ კაპეიკს (24 კაპ.).

ჩვენი ფოსტა

მანჯელ გლეხს. გარკვევით მოგვწერეთ, თუ რაშია საქმე, ისე ვერ მოვათავსებთ. თუ ვინმე დამნაშავეა—დაასახელეთ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 28

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისათვის იმ მოვალეობის დაკისრების შესახებ, რომ გააცნონ მოსახლეობას ჯარში მორიგ გაწვევისათვის დაწესებული შეღავათები.

რათა მოსახლეობის ფართო მასები გაეცნონ ჯარში მორიგი გაწვევის დროს ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის გამო დაწესებულ შეღავათებს, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს მაზრის (ქალაქის) და თემის აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს გააცნონ მოსახლეობას ჯარში მორიგი გაწვევისათვის დაწესებული შეღავათები და გააგებინონ, რომ ამ შეღავათების მისაღებად ყველა გასაწვევმა პირმა უნდა წარადგინოს სადაც ჯერ არს ცნობები თავისი ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

2. დაევალოს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებს, მაზრის სამხედრო კომისარიატებთან შეთანხმებით, შეიმუშაონ და გამოსცენ სათანადო განცხადებანი და, თემის აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების მეშვეობით, განუმარტონ ხოლმე მოსახლეობას სასოფლო ყრილობებზე წესები ჯარში გაწვეულთათვის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრული შეღავათებისა და ამ შეღავათების მიღების შესახებ.

3. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიალურ სამმართველოს მისცენ ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და მაზრის სამხედრო კომისარიატს სახელმძღვანელო განმარტებანი—ამ დადგენილების განხორციელებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წ. ივნისის 1.

ქ. თბილისი-სასახლე.

პარტიული

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ოთხშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმაწილებელ განყოფილებაში.

1. კუჭაიძე გრიგოლ ლ., 2. ტერ-ავეტისოვი გრ., 3. დოლიძე სიმონ ერემ., 4. აუშტროვი ანტონ სტეფ., 5 გასილავა ანტონ სტეფ., 6. შელია გრიგოლ ივანეს ძე, 7. კოპჩევსკი კაზიმირ, 8. შუკაკიძე გრიგოლ, 9. აივაზოვი ნიკოლოზ, 10, ანტონიანი მიხეილ, 11. ამატუნი ამაზი, 12. არაბაჯიანი შავრამ, 13. ბირიუკოვი ვასილ, 14. ბოჭორიშვილი სერგო, 15. ანშილევიჩი იოსებ, 16. გავრიში ევგენი, 17. გოგეიშვილი ალ., 18. გასილავა ევგენი, 19. გოგინაშვილი მიხეილ დიმიტრეს ძე, 20. ძაგანია მიხეილ პეტრეს ძე, 21, დუშევინ გრიგოლ, 22. კალანდაძე ბენედიქტე, 23. კიტიაშვილი ნიკოლოზ, 24. კანდელაკი გიორგი, 25. მევრაბიანი პეილაკი, 26. მზარეულიშვილი ვას., 27. მირზოიანი რუბენ, 28. ბევტოვი ივანე, 29. პრეობრაჟენსკი ივანე, 30. პრიდონოვი პრიდონ, 31 ხოჯაპაროხოვი ალექსანდრე, 32. იუზბაშიანი ისაკი, 33. იტრიევი ვასილ, 34. მდივანი სერგო, 35. იორომაშვილი ნიკ., 36. ფრანგულიანი ივანე, 37. ხაჩიკიანი აგასი, 38. აგამალოვი მიხეილ. 39. ნადირიშინი ახმედ, 40. გობეჩია.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიმართება არსენალის რაიონის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. ამხ. სვანიძის მოხსენება—უჯრედთა ბიუროების მუშაობის და ამოცანების შესახებ.
2. არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილების ანგარიში—ამხ. მიხაილოვა.
3. ამხ. მარკაროვის მოხსენება—ქართული დივიზიის ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ.

უჯრედთა ბიუროების ყველა წევრთა და აგრეთვე ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. 1. ერქომაიშვილი, 2) მეძმარიაშვილი, 3) ყვანია, 4) შავერდოვა, 5) გოგეიშვილი, 6) კეკელია, 7) კამალოვი, 8) იტრიევი, 9) გავრიში, 10) გეგეჭკორი, 11) გრიშენკო რაისა, 12) შირვანსკი, 13) ბელენკი, 14) გეურქოვი, 15) გობეჩია.

მდივნის მაგ. მელაძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი მეორეჯერ წინადადებას აძლევს ამხ. კუზმა იოსებ. ნინიძეს, იაკობ აბრამ. კოჩეტკოვს და თოფჩიაშვილს გამოცხადდნენ დღეს თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

— ხუთშაბათს, 4 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება კომუჯრედების მდივნების სემინარების—კურსების ორგანიზაციული კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ კომუჯრედების ყველა მდივნები, რომლებიც გამოყოფილი არიან კომპარტიის (ბ) რაიკომების მიერ.

საკითხები: 1) სემინარების მუშაობის გეგმის და პროგრამის გაცნობა.

2) მეცადინეობის დღეების დანიშვნა.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მაგიერ: დ. ბუდილევი.

— საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომი აცნობებს რაიკომის ყველა წევრებს, რომ ხუთშაბათს, 4 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) ლენინის რაიკომის სააგიტაციო და საორგანიზაციო განყოფილებების გეგმის დამტკიცება.
2) ავჭალის ქვე-რაიკომის მდივნის მოხსენება.
3) მოხსენება მუშების გეგმაშეწონილად წამოყვანების შესახებ ტრანსპორტის დარგში.
4) დეპოს და მთავარ სახელოსნოების კოლექტივის მოხსენება,—თანამოხსენება დათვალიერების შედეგების შესახებ.
5) რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირის მოხსენება რკინის გზების სახლების შესახებ.
6) მიმდინარე საქმეები.

ლენინის რაიკომის მდივანი: ქავთარაძე.

— ოთხშაბათს, 3 ივნისს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა დასწრება შემდეგი ამხანაგებისა სავალდებულოა 1) კიღაიში, 2) გობეჩია, 3) მაჩაიძე, 4) ფეოდოსევსკი, 5) ლომაია, 6) აკოფოვი, 7) წითლიძე, 8) ფირალოვი, 9) ფანცულაია, 10) მურადოვი, 11) ხუნდაძე გრ. (სახ. უნივერ.) 12) რონზანი.

ს. კ. პ. თ. კ. საორგან. კოლეგიის მდივანი: კაკიჩაშვილი.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება რაიონული სადელეგატო კრება, უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1) მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილებში (ბლუაშვილი). 2) ანკეტების განხილვა.

ყველა დელეგატები და გამოწვეული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

რაიკომის პ/მგ. მდივანი გ. სტურუა

— ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ დღეს, 3 ივნისს, დილის სრულ პირველ საათზე, ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ბინაზე (რუსთაველის პრ., 20) **შესდგება თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა.**

საორგანიზაციო კოლეგიის წევრების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა. 2 საათზე დაიწყება საკონფლიქტო საქმეების განხილვა და კავშირში ახლათ მიღებულ წევრების დამტკიცება. რაიკომების მიერ დამტკიცებული ამხანაგები, რომელთა ანკეტები გადაგზავნილია თბილისის კომიტეტში, უნდა გამოცხადდნენ აღნიშნული დროისათვის.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგან. განყ. გამგე გეგეჭკორი.

განცხადებანი

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები—ალექსანდრე, ვანო, გრიშა, მაკარი, ეკატერინე და ნინო მიხეილის ძენი და ასულნი აუწყებენ, ყველა ნათესავებს და მეგობრებს, რომ 31 მაისს, დილის 4 საათზე უეცრივ გარდაიცვალა მათი საყვარელი მშობელი დედა

ნატალია აფანასიევის ასული რუსიშვილისა

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 3 ივნისს, საღამოს 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, სოლოლაკი, ამაღლების ქ. განაპირა აღმართი, № 15. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1516 2—2

განათლების მუშაკთა კლუბი
პლეხანოვის ქ. № 65
ხუთშაბათს, 4 ივნისს,
გახსნება
ბაღში: ორკესტრი — წარმოდგენა-კონცერტი
გუნდი გ. მ. კლუბის
მეტათ ხელმისაწვდომი ბუფეტი
მანდოლინაზე დამკვრელთა კონცერტი
შესვლა ყველასათვის ხელისაწვდომია
ნ. 1260. 1—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო აცხადებს,

რომ თანახმად საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანებისა № 7142, 1 ივნისიდან სადგურებში [illegible] ზარის მიცემა სამგზავრო მატარებლების გასვლისათვის.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მგზავრებმა უნდა დაიკავონ ადგილები დაუყოვნებლივ მეორე ზარის მიცემის შემდეგ.

4-3 ნ. 1250

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—4

კინო თეატრებში
„ეთერი“, „არფასტო“ და „სოლეი“
ხუთშაბათიდან, 4 ივნისიდან
სეზონის საუკეთესო სურათი
კინ
მოზჟუხინის, ლისენკოს და კოლინას მონაწილეობით.
სოლეი 7 ს. 15 წ. საღამოს
სეანსების დასაწყისი: არფასტო 7 ს. 45 წ. „
ეთერი 8 ს. 15 წ. „
ნის. № 1261—2—1

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი, ბებუთოვის ქ. № 38. 25—14

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
უჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—13

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8, პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—7

ექიმი
მ. ა. ლუკოვსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—24

ექიმი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746 25—7

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—62 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
ნ. 1346 25—13

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად (ყოფ. ბონ-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—7

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიანი
თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)
25—13

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულ.
სიფილისი (606—914)
კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.
მოსკოვის ქ. № 4.
25—8 № 1432

ექიმი
ნ. ა. ჭანდიერი
შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 3.
№ 202.
25—23

ექიმი
დ. ა. ბაღუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული
(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე
ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
284 25—7.

ექიმი
ე. შ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—8

„ზარია ვოსტოკა“-ს კანტორიდან მოიპარეს ტყავის პორტფელი დოკუმენტებით და მანდატებით ნ. ნ. ტიუნინის სახელზე

პორტფელის წამღებს ვთხოვ პორტფელი თვითონ დაიტოვოს, დოკუმენტები კი (დამზღვევის წიგნაკი, თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ორდერი ოთახის მისაღებათ კოჯორში, საექიმო დახმარების ქვეგანყოფილების ორდერი რენტგენის სურათის გადასაღებათ პროფ. ლამბაროვის კლინიკაში და სხვა) გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ოლღას ქუჩა, № 6, ბინა 1.

დავკარგე საბინაო დავთარი მე-8 კომისარიატში მცხოვრების ალექსი კანის ძე ჯაგატოვის სახელზე. 1—1 1528

დავკარგე საწევრო წიგნაკი მოცემული რკინის გზის სექციიდან არჩილ საგინაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1529

დავკარგე პირადობის მოწმობა კესარია სიმონის ასული კაციტაძის სახელზე № 345. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1527

დავკარგე პასპორტი მარიამ მამუკას ასულის გოდერძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1520

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი ალექსანდრე თედორეს ასულის ოსიპოვას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1525

დავკარგე პირადობის მოწმობა რიფსიმე სტეფანეს ასული ჩარუხჩიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1521

დავკარგე მედსან შრომის კავშირის წიგნაკი ნინა ზაქარიას ასულის მშვიდობაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1523

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ნიკოლოზ ზაქარიას ძე მარიამიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1524

დავკარგე მწევარი ინგლისურ ჯიშის ძაღლი ერთი წლის, ფერად ვეფხვისა. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს ჯილდოს მიღებით ტატიანეს ქ. № არჩილ რატიშვილს ან და შემატყობინოს მეცადინეობის დროს ტელეფონით № 3—29. 1—1 1522

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი იონა მეგრელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადი წიგნაკი № 621 მოცემული ლეჩხუმის მაზრის ლაილაშის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგისაგან მარკოზ გიგოს ძე ხმელიძეს სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1517

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1183 სიმონ გიორგობიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1530

დავკარგე დამზღვევის წიგნაკი № 864 ვარლამ დიმიტრის ძე ტერენტიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1532

დავკარგე მანდატი ეკატერინეფელდში მოცემული, „რემედასის“ წიგნაკი, კავშირის წიგნაკი, აღრიცხვის ქაღალდი და იარაღის ნებართვის ქაღალდი გოკოლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1531

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ანგარიშების მდგომარეობა 1925 წლის 1-ლი ივნისისათვის

აქტივი

№ № რიგ.	ანგარიშების სახელწოდება	თ ა ნ ხ ა	
1	სალარო და მიმდინარე ანგარიშები	774.868	77
2	ბანკის ფასიანი ქაღალდები	113.682	13
3	პაი და მონაწილეობა წარმოებებში	150.000	—
4	ბანკის საქონელი	2.490	20
5	მოკლევადიანი სესხი	3.918.976	28
6	გრძელვადიანი სესხი	1.279.010	—
7	კორესპონდენტები	477.508	89
8	კლიენტები საქონლის ოპერაციებში	82.057	94
9	კომიტენტები საკომისიო ოპერაციებზე	—	—
10	სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	436.451	33
11	ქონება	11.454	57
12	მიმდინარე ხარჯები, გადასახადები და გამოსაღები	45.068	38
13	პროცენტები, გადახდილი და დანარიცხი, საკომისიო ჯილდო	210.302	31
14	სხვა აქტივები	52.193	18
	ბ ა ლ ა ნ ს ი	7.558.568	98

პასივი

№ № რიგ.	ანგარიშების სახელწოდება	თ ა ნ ხ ა	
1	კ ა პ ი ტ ა ლ ი	1.513.599	89
2	სპეციალური თანხები განსკ. დანიშნულებისათვის	155.000	—
3	ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები	380.800	88
4	ს ე ს ხ ი	4.490.000	—
5	კორესპონდენტები	274.723	52
6	კლიენტები საქონლის ოპერაციებში	1.598	91
7	კომიტენტები საკომისიო ოპერაციებზე	76.970	41
8	სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	317.811	94
9	პროცენტები, საკომისიო ჯილდო და სხვა შემოსავალი, მიღებული	310.550	87
10	სხვა პასივი	32.508	06
	ბ ა ლ ა ნ ს ი	7.558.568	98

გამგეობის თავმჯდომარე კ. ჩხენკელი. გამგეობის წევრები: { მ. გაჯინსკი. / ა. ატაბეკოვი. } მთავარი ბუხჰალტერი მ. აფრიკიანი.

ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობის

„ქართული წიგნის“

წევრთა საერთო კრება დანიშნულია:

1. წინასწარი კრება

5 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე

2. დამფუძნებითი კრება

12 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე

(ორივე კრება ტფილისის კომუნალური ბანკის შენობაში, პუშკინის ქ. № 3)

კრებაზე დასწრების უფლება აქვს ყველას, ვისაც შეძენილი აქვს ამხანაგობის პაი. ამხანაგობის წევრებს აუცილებლად თან უნდა ჰქონდეთ საკვიტანციო ბარათები.

1—1 1258 საორგანიზაციო კომიტეტი.

ანონსი — შაბათს, 6 ივნისს, გაიხსნება ძმ. ტანტების ცირკის შენობაში ვერის დაღმართი № 14 — ანონსი
ადგილების ფასი 10, 15 და 25 კაპ. — პირველი ხელმისაწვდომი სახალხო კინო-თეატრი — ადგილების ფასი 10, 15 და 25 კაპ.
გახსნის დღეს ნაჩვენები იქნება
„ოქროს ცბა“
ორი სერია, 13 ნაწილი
სეზონის საუკეთესო სურათი
მეტად საინტერესო კინო-რომანი
ტრიუკები — ორივე სერია ერთად იქნება ნაჩვენები — ტრიუკები
სურათში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსახიობები: რესსელ ორლა, ლილ დაგოვერ და კარლ დე-ფოგტ.
სურათი დადგა მსოფლიოთ ცნობილმა რეჟისორმა ჯოე მეი
ნ. № 1262.

ინგლისის ტრედიუნიონების გენერალური საბჭო და „ზინოვიევის წერილი“

პროფკავშირების დელეგაციის მოხსენება „წერილის“ შესახებ

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია მოსკოვში ამ საკითხის დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ მივიდა საბოლოო იმ დასკვნამდი, რომ ეგრედ წოდებული „ზინოვიევის წერილი“ არის ყალბი და აგენტების მიერ შეთითხნილი

ამ ორი კვირის წინეთ ერთი ტელეგრამა ლონდონიდან გვაუწყებდა, რომ ინგლისის მუშათა პარტიის ორგანოში „დეილი ჰერალდ“ დაიბეჭდა პროფკავშირთა დელეგაციის ანგარიში ეგრედ წოდებულ „ზინოვიევის წერილის“ შესახებ და რომ დელეგაცია მივიდა კატეგორიულ დასკვნამდე ამ „წერილის“ სიყალბის შესახებ.

მივიღეთ რა „დეილი ჰერალდ“-ის ეს ნომერი (18 აპრილის) ჩვენ მოგვყავს იქ გამოქვეყნებული ანგარიში სრულიად უცვლელათ.

ინგლისურ ტექსტში ნახმარი სიტყვები „წითელი წერილი“ ჩვენ ვთარგმნეთ, როგორც „ზინოვიევის წერილი“.

ამასთან ერთად ვათავსებთ ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტის წერილს ამავე საკითხის შესახებ.

რედაქცია.

ოფიციალური და საჯარო კვლევა-ძიების მოხდენის მოთხოვნა

ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს მიერ რუსეთიდან დაბრუნებული დელეგაციის მოხსენების გამო მიღებული დადგენილება „ზინოვიევის წერილის“ შესახებ ასეთია:

„ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ, მიიღო რა ერთხმად რუსეთიდან დაბრუნებული დელეგაციის მოხსენება „ზინოვიევის წერილის“ შესახებ, გადასწყვიტა შეატყობინოს ტრედ-იუნიონების ორგანიზაციების დაჟინებითი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ეს საქმე დაუყონებლივ გამორკვეული იქნეს.

ექვსი თვე გავიდა იმის შემდეგ, რაც „ზინოვიევის წერილი“ გამოქვეყნებული იქნა ოფიციალურად და ეხლანდელი მთავრობის მიერ უარის თქმა ყველა მოთხოვნებზე, ამ საქმის ოფიციალური გამოძიების შესახებ,—საქმის, რომელსაც ახლო კავშირი აქვს ყოფილ მუშათა მთავრობასთან—და რუსეთის მთავრობასთან იმის მაგიერად, რომ ჩაჩუმებული ყოფილიყო სკანდალი გახდა წყაროთ იჭვებისა, რომლებიც დღითი-დღე იზრდება და ახალ ფესვებს იდგამს. ამ იჭვებს—სრულიად შესაძლებელია, რომ არავითარი ნიადაგი არ აქვთ.

ყოფილმა მუშათა მთავრობამ გამოიწვია ეჭვი იმით, რომ მან განზრახ დაარღვია თავისი პრინციპები; ამას შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა კავშირის გაწყვეტა ევროპის უდიდეს სახელმწიფოსთან და პირველ სოციალისტურ ფედერაციასთან რაც დამღუპველი იქნებოდა საერთო მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყნების მუშების მთლიანობისათვის,—და ყველაფერი ეს მოხდა იმიტომ, რომ სიყალბე არ იყო დამტკიცებული და გამორკვეული.

ეხლანდელი მთავრობა არა ნაკლებ დამნაშავეა თავისი პრინციპების განზრახ დარღვევაში, რადგან მან, პოლიტიკური შეთქმულების მოწყობის გზით, მოახდინა ფალსიფიკაცია საერთო არჩევნებისა, რომლის შედეგები დამღუპველია კონსტიტუციონური მთავრობის შენარჩუნებისა და ბრიტანეთის საზოგადოებრიობის პრესტიჟისათვის.

ამასთანავე ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მკაცრი ნოტა გაუგზავნა დიდ სახელმწიფოს, ნოტა, რომელსაც ხელს აწერდა სამინისტროს ერთ-ერთი წევრი გარეშე საქმეთა მინისტრის აუცილებელი ბრძანების მიუღებლათ,—ეს სამინისტრო, რომელმაც გამოაქვეყნა ნოტა დაინტერესებულ სახელმწიფოს და ინგლისის მთავრობის დაუკითხავათ და რომელიც საერთო არჩევნების კრიტიკულ მომენტში ისე მოქმედობდა, რომ ყველა თავის ღონისძიებებს ამყარებდა იმ დოკუმენტებზე, რომელთა სიყალბე თავის დროზე გამოცხადებული იქნა—დამნაშავეა იმაში, რომ მან დაარღვია თავისი საკუთარი საქმეების წარმოების ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო ურთიერთობის დებულებანი და სამსახურის ძირითადი ტრადიციები.

ასეთი ბრალდებები ძირს უთხრიან ჩვენს პოლიტიკურ სისტემას და სწამლავენ ჩვენ საზოგადოებრიობას. სანამ ეს ბრალდებები მოხსნილი არ იქნება, მუშათა პარტია ღირსეულად ვერ შეასრულებს თავის მისიას—მთელი მსოფლიოს მუშების გაერთიანებას, ამასთანავე მას ხელები შებორკილი ექნება თავის მისწრაფებაში აღადგინოს ევროპა—თუმცა ეხლანდელი მთავრობა არა ნაკლებ დამნაშავეა ევროპის აზრით, იმაში, რომ მან ძალაუფლებას მიაღწია სახელმწიფო გადატრიალებით (coup d'état).

ამიტომ ტრედ-იუნიონების საბჭო, რომლის წესდება მას განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს იმისათვის, რომ მიიმხროს როგორც ინგლისის, ისე კონტინენტის საზოგადოებრივი აზრი,—ფიქრობს, რომ მეტათ სამწუხარო იქნება, თუ რაიმე პარტიული ინტერესები აიძულებენ პარლამენტს და ორივე დაინტერესებულ პარტიას არ შეუდგენ ატმოსფერის გაჯანსაღებას ოფიციალური გამოძიების მოხდენის გზით.

ვინ არის პასუხისმგებელი

ტრედ-იუნიონების დელეგაციამ მოსკოვში გამოიკვლია საკითხი „ზინოვიევის წერილის“ სინამდვილის შესახებ იმდენათ, რამდენადაც ეს ეხება რუსებს.

მაგრამ საკითხს ამ წერილის სინამდვილის შესახებ არსებითად ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ საკითხს, თუ როგორ შეიქნა ეს წერილი ასეთი დიდი მნიშვნელობის,—რადგან—თანახმად ეხლანდელი გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვებისა თემთა პალატაში—დიპლომატიური შეხლა-შემოხლა და გამოქვეყნებული წერილი გახდა გამოსავალი წერტილი საერთო არჩევნებისათვის.

პასუხისმგებლობა საქმის ასეთი მსვლელობისათვის აწევს მუშათა პარტიასა და გარეშე საქმეთა სამინისტროს. უკანასკნელს არ შეუძლია მოითხოვოს ამ საკითხის განხილვა, რადგან მისთვის არ არის სასარგებლო. ამის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მუშათა პარტიას. მოსაზრებანი, რომლებიც წამოყენებულია საჯარო კვლევა-ძიების მოხდენის წინააღმდეგ, არ არის საბუთიანი.

საიდუმლო აგენტების ვინაობის გამოუმჟღავნებლობა შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს სამსახურიდან მათი გაძევების გზით და ყოველ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს რუსეთის მთავრობის მიერ.

თუ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ უცხოელთაგან შემდგარ საგამომძიებლო კომისიას გადასცენ საქმის გამოსარკვევად მოხელეები და გარეშე საქმეთა სამინისტროს და კომინტერნის არქივები—მაშინ ჩვენ მიერ უარის თქმა ასეთივე მოქმედებაზე ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს და საიდუმლო განყოფილების მიმართ—მეტად დამაფიქრებელი და საეჭვო იქნება უცხოელთათვის.

თვითონ ინგლისში საზოგადოებრივი აზრის კანონიერი მოთხოვნის უპატივცემულობას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ზიზღი და უნდობლობა პარლამენტისადმი.

ამიტომ გენერალური საბჭო მოითხოვს, რომ მთავრობამ ნება მისცეს მუშათა პარტიის წარმომადგენლებს კვლევა-ძიება მოახდინონ ამ საკითხის შესახებ გარეშე საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მოხელეებთან ერთად.

დელეგაციის მოხსენება

საიდუმლო არქივების დათვალიერება

რუსეთში მყოფ დელეგაციის მოხსენება „ზინოვიევის წერილის“ შესახებ იწყება კომინტერნის და საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი მისი დამოკიდებულების დახასიათებით.

კვლევა-ძიებამ—ამბობს დელეგაცია—დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ამ ორგანიზაციას არა აქვს ისეთი ხასიათი, რომ მისი მოღვაწეობა გავლენას ახდენდეს ორ დიდ სახელმწიფოს—ინგლისის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე.

კომინტერნი, როგორც სხვა ინტერნაციონალები—წარმოადგენს საკონტროლო ავტორიტეტულ ორგანიზაციას და არა შეთქმულების მომწყობ უნივერსალურ ორგანიზაციას. ის აძლევს საშუალებას კომუნისტურ ორგანიზაციის ცენტრს განიხილოს და წარმართოს ეროვნული ორგანიზაციების საერთო პოლიტიკა, რომელიც პირველ ყოვლისა სცდილობს ხელი შეუწყოს ადგილობრივ უკიდურეს ელემენტებს დაარღვიონ მშვიდობიანობა ინტრიგების და აჯანყებების საშუალებით.

გარდა ამისა დელეგაციამ აღნიშნა, რომ კომინტერნის პოზიცია ინგლისის მიმართ ზომიერია და დამყარებულია კონსტიტუციონურ ნიადაგზე. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატი აწარმოებს ისეთს პოლიტიკას, რომელიც საშუალებას არ აძლევს კომინტერნს თავისი მოქმედებით დაარღვიოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვალდებულებანი—ხოლო კომინტერნს არ დაურღვევია და არც ფიქრობს დაარღვიოს ეს ვალდებულებანი.

ბოლოს და ბოლოს კომინტერნი, რამდენადაც საქმე ეხება ინგლისს, არ წარმოადგენს ისეთ დიდ რამეს, როგორც ამაზე ფიქრობენ ინგლისელი მოწინააღმდეგეები და მოხელეები.

ამგვარი აზრი წარმოადგენს იმ დელეგაციის მოხსენების შედეგს, რომელმაც დაათვალიერა კომინტერნის არქივები. ნებართვა მიღებული იყო ზინოვიევთან მოლაპარაკების დროს. და წინასწარი ცნობები კვლევა-ძიების შესახებ არ ყოფილა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდენ ტილეტი, გრინფელდი და კონგი. ერთ მათგანს მშვენივრად ესმოდა რუსული ენა. ხოლო მეორე ჯგუფში იყო ისეთი, რომელმაც იცოდა რუსული და გერმანული ენები, რადგან აღმოჩნდა, რომ საიდუმლო დოკუმენტების უმრავლესობა გერმანულად იყო დაწერილი.

დელეგაციამ უპირატეს ყოვლისა მოითხოვა ეჩვენებინათ მისთვის მიწერ-მოწერა ინგლისის კომპარტიასთან—ეს მიწერ-მოწერა დაბეჭდილი იყო საკონტროლო პრესით და დართული ჰქონდა ასლები ინგლისურ ენაზე. მიწერ-მოწერა წაკითხული იქნა თავიდან ბოლომდე და გადაღებული იქნა ასლი ერთ-ერთ საიდუმლო დოკუმენტიდან.

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა დოკუმენტების შედგენის პროცედურა, რეგისტრაცია და სხვა მხოლოდ საიდუმლო დოკუმენტების შესახებ. ამომწურავი განმარტება ამ პუნქტის შესახებ ინსტრუქციის სახით დაწერილი იყო 30 ფურცელზე და ეხებოდა ორგანიზაციის შინაურ წყობას, მართვა-გამგეობას და მუშაობის მეთოდებს.

ინსტრუქციები წაკითხული იყო მთლიანად და ზოგიერთებიდან გადმოღებული იყო ასლები. შემდეგ დელეგაცია გაეცნო ყოველდღიურ რეგისტრაციას და მთელ გასულ კორესპონდენციას. ასლების დიდი დავთარი ზედმიწევნით იქნა გადასინჯული დაწყებული 1 ივნისიდან. ნახული იყო რამდენიმე ასეული ქაღალდი რუსულ და გერმანულ ენაზე და რამდენადაც რომელიმე ქაღალდი პირდაპირ ან არა პირდაპირ ეხებოდა ინგლისს, მიღებული იქნა მათ შესახებ განმარტება და ქაღალდები ამოღებული იქნა არქივიდან. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ასეთი დიდი კრებული, რომელიც დაბეჭდილი იყო სხვადასხვა მანქანებზე და ალბად იწერებოდა დღითი-დღე დამყარებული ყოფილიყო სიყალბეზე.

ბოლოს, რადგანაც კომინტერნის წესებმა დელეგაციას დაანახვა, რომ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ისეთი, როგორც მაგ. „ზინოვიევის წერილი“ შეიძლება დაბეჭდილი იქნას მხოლოდ საკითხის ალმასკომში განხილვის შემდეგ მან (დელეგაციამ) მოითხოვა გადაეთვალიერებია ანგარიშები ალმასკომის კრების შესახებ

წაკითხული იქნა დაახლოვებით 50 გვერდი რემინგტონზე დაბეჭდილი ქაღალდი და გადათვალიერებული იყო მრავალი დოკუმენტები. ამით დელეგაცია გაეცნო კომინტერნის მთელ უკანასკნელ მოქმედებას 1924 წლის ივნისიდან—ოქტომბრამდე.

გამოირკვა, რომ კომინტერნის დადგენილებები ინგლისის მიმართ შეთანხმებული იყო საერთაშორისო პროპაგანდის ორგანიზაციასთან და კომინტერნის ოპერაციების უმრავლესობა უკანასკნელ ხანებში ეხებოდა სულ სხვა საკითხებს, ვინემ ინგლისისას. გამომჟღავნების წინ დელეგაციამ კმაყოფილება იგრძნო, რადგან დარწმუნდა იმაში, რომ ზინოვიევის მიერ ხელმოწერილი წერილი კომინტერნის მიერ უნდა ყოფილიყო აუცილებლად განხილული, მას უნდა გაეკეთებია მისთვის რედაქცია და გაეგზავნა, რომ ამ წერილს მართლა ჰქონებოდა ადგილი.

ბოლოს კომინტერნის მუშაკების ყოფაქცევა და ატმოსფერა, რომელშიაც კვლევა-ძიება ხდებოდა იყო ისეთი, რომ დელეგაცია, რომელშიაც იყვნენ გამოცდილი მკვლევარები, კმაყოფილი დარჩა, რადგან მას საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებია კომინტერნის ყველაზე საიდუმლო არქივები.

ამ კვლევა-ძიებამ დაარწმუნა დელეგაცია იმაში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, რომ არასოდეს ასეთი „ზინოვიევის წერილი“ არ გაგზავნილა კომინტერნის მიერ.

და ამ დასკვნას, რომ არ არსებობდა არავითარი „ზინოვიევის წერილი“,—განაგრძობს დელეგაცია,—ადასტურებენ თუნდაც ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ლონდონში დღიდან ამ საკითხის წარმოშობისა.

მაგალითად, ჩემბერლენმა თემთა პალატაში (15 დეკემბერს), როცა ის უპასუხებდა მაკდონალდს, განაცხადა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს არასოდეს არ ჰქონია თავის განკარგულებაში ორიგინალი და რომ ის, მოაწერა თუ არა ამ დოკუმენტს ხელი კომუნისტმა მაკ-მანუსმა იყო არამატერიალური სახის მოვლენა.

ამაზე მაკდონალდმა უპასუხა: მე არასოდეს არ მინახავს არავითარი ნასახიც ასეთი დოკუმენტისა. მიუხედავად ამისა ჩემბერლენი სავსებით მხარს უჭერდა დოკუმენტის სინამდვილეს, რადგან მისი აზრით ამ დასკვნამდი მიიყვანა მისი კაბინეტი გამოძიებამ, თუმცა მაკდონალდი ამ დოკუმენტის სინამდვილეს დაუმტკიცებლად სთვლის ამ გამოძიების მიხედვითაც.

ამრიგად დასკვნა იმათი, ვისაც სჯერა კომინტერნის შეთქმულება, ასეთია, რომ თუ ცალკე „ზინოვიევის წერილი“ წარმოადგენს დეპეშას, რომელიც ფორმალურად ხელმოწერილიც არ არის, მაგრამ ის, რაც წარმოადგენს მის შინაარსს, გადაცემული იყო ინგლისში ამა თუ იმ ფორმით.

განმარტება, რომელსაც იძლევიან ამნაირათ დამჯერი ხალხი, მდგომარეობს იმაში, რომ წერილი წარმოადგენდა წარმოთქმულ სიტყვას და ანგარიში ამის შესახებ გაეგზავნა ინგლისის კომპარტიას.

ამის გამო დელეგაციის დასჭირდა ახალი საკითხის გადაჭრა, სახელდობრ: სთქვა თუ არა ზინოვიევმა რამე იმის მსგავსი, რაც არის წერილში, თავის პერიოდულ მიმართვებში კომინტერნისადმი—და რა გაიგზავნა შემდეგ ინგლისში. დელეგაციამ გამოარკვია, რომ კომინტერნი ჩვეულებრივ ცირკულიარის სახით უგზავნიდა უცხოეთის კომიტეტებს ცნობებს ზინოვიევის მიერ ცეკას სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვების შესახებ. მაგრამ ისეთი ინსტრუქციები, რომლებსაც ვხედავთ „ზინოვიევის წერილში“, არასოდეს არ ყოფილა გაგზავნილი ისეთი ფორმით, როგორც ამ წერილშია, არამედ იგზავნებოდა ყოველთვის ხელმოწერილი დეპეშების სახით.

ამას გარდა ანგარიში ზინოვიევის სიტყვების, რომლებიც წარმოთქმული იყო ცენტრალურ კომიტეტის სხდომებზე, 12 სექტემბრის თარიღით გაეგზავნა ინგლისის კომპარტიას კონვერტებში, წარწერით—„საიდუმლოთ“ და ხელს აწერდა მაკმანუსი.

ამ სიტყვების შინაარსი სრულებით არ შეეხებოდა ინგლისს; ის შეეხებოდა უმთავრესად კონტინენტის საკითხებს.

გამოძიების დროს სავსებით გავეცანით სიტყვებს და მივიღეთ ასლები იმ დეპეშების, რომელიც მათ ახლდა. ორიგინალი მოსპობილი იყო მიღებისთანავე ინგლისის კომპარტიის ბიუროს მიერ, როგორც ეს მითითებული იყო მეორე პაკეტში. იმაში, რაც სთქვა თემთა პალატაში ჩემბერლენმა, მართალია მხოლოდ ის, რომ „ზინოვიევის წერილის“ ორიგინალი არ შეიძლება ამას გამო წარმოდგენილი იქნეს.

ამიტომ, ნათქვამია მოხსენებაში, დელეგაცია ამტკიცებს: ის დარწმუნდა, რომ „ზინოვიევის წერილი“ არის ყალბი. კიდევ მეტი—მან გამოარკვია წყაროები, რომლებიც გამოიყენეს ამ ყალბი საბუთის მკეთებელმა. და დასასრულ, დელეგაციის მიერ მიღებული და გამოქვეყნებული განმარტებები სავსებით საკმარისია დავარწმუნოთ მკითხველები იმაში, რომ ლონდონშიაც ასეთივე გამოძიების მოხდენით უსათუოდ გამოირკვეოდა, თუ ვინ არის ამ სიყალბის ჩამდენი.

ინგლისის პრესამ არ იცის, როგორ იმართლოს თავი

(ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი. 19 მაისი. ტრედიუნიონების (პროფკავშირების) დელეგაციის მოხსენება, რომელიც კატეგორიულად და საბოლოოდ ადასტურებს, რომ „ზინოვიევის წერილი“ სიყალბეა, რასაკვირველია, მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს კონსერვატიულ მთავრობასაც და ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსაც, განსაკუთრებით იმის გამო, რომ **ეს მოხსენება ერთხმად იქნა მიღებული ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს მიერ.**

უარს ამბობს რა საზოგადოებრივი კვლევა-ძიების მოხდენაზე—და შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ის მომავალშიაც უარს იტყვის ამაზე—ბრიტანეთის მთავრობა აღიარებს მთელი მსოფლიოს წინაშე რომ თუ ის ყალბი საბუთების დამამზადებელთა მთავრობა არ არის, ყოველ შემთხვევაში მათი ხელისშემწყობთა მთავრობა მაინც არის. რა ფასი ექნება ამიერიდან მის ხმას საერთაშორისო ურთიერთობაში?

ამ შემთხვევაში უცხო მთავრობა კი არ მოითხოვს გამოირკვეს იმ საქმის ვითარება, რომელიც სწამლავს ინგლისის და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ კანონიერად არჩეული ორგანო, რომელიც გამოდის ინგლისის ოთხ მილიონზე მეტი მუშების სახელით.

მთავრობის მიერ უარის თქმას კვლევა-ძიების მოხდენაზე აფასებენ, როგორც დანაშაულის აშკარად აღიარებას.

მთავრობა ამჟამად განსაცდელშია, მას მოელის გაკიცხვა, მას დაიჭერენ სასირცხვო დანაშაულში და იმის უფლებაც კი არ ექნება, რომ პროტესტი განაცხადოს.

გასაგებია, რომ ასეთი სასირცხვო პერსპექტივა, რომელიც მოელის თვითეულ ინგლისელს ყველგან, მოუხედავათ მისი სიდინჯისა და პატივისცემისა, მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მთავრობას. დიდ პრესს ეს მშვენივრად ესმის; და გასაგებია, რომ მხოლოდ გარეშე საქმეთა სამინისტროსთან მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტა მან დაეწყო ლაპარაკი ტრედ-იუნიონების დელეგაციის მოხსენებაზე და ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს მნიშვნელოვან განცხადებაზე.

უბრალესობად გადაწყვიტა გაჩუმებულიყო, როგორც მოიქცა „მორნინგ პოსტ“-ი. მაგრამ ამით ის კიდევ უფრო გაართულებდა საქმეს. და აი ისინი შეეცადნენ დაეცვათ მთავრობა და გამოეყვანათ იგი უხერხულ მდგომარეობიდან.

მაგრამ ეს დაცვა მეტად უბადრუკი აღმოჩნდა. მიღებული იქნა ლოზუნგი იმის შესახებ, რომ არ დაუჯერონ ტრედ-იუნიონების გამომძიებლებს. „ისინი მოატყუეს. მათ აჩვენეს მხოლოდ ის, რისი ჩვენებაც უნდოდათ. ისინი არ არიან ნდობის ღირსნი“.

ეს არგუმენტები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. მიუდგომელი ადამიანი ასე მსჯელობს:

ყველაზე უფრო სერიოზულ იჭვებს იწვევს ის გარემოება, რომ მართლა არსებობს თუ არა ასეთი დოკუმენტი. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა მიუდგომელი კვლევა-ძიების მოხდენა ამ საკითხის შესახებ. ინგლისის მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა. ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს დელეგაციამ გამოძიება მოახდინა რუსეთში. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ წერილი ყალბია. ეს უარყო ინგლისის მთავრობამ, რადგან ის მეტისმეტად დაინტერესებულია ამ საკითხში. **რატომ ამბობს ის უარს წარმოადგინოს ამ დოკუმენტის სინამდვილის დამამტკიცებელი საბუ-**

მეტის ატანა შეუძლებელია*)

XXVI

და ყოველი ეს ან რა გასაკვირალი იყო, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი სუვერენულ რესპუბლიკად გამოყოფის წინააღმდეგ გამოდიოდა თვით ჩვენი, მენშევიკების, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ამ პარტიის ყრილობაც. ეს პარტია ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას თებერვლის რევოლუციის შემდეგაც, 1918 წლის 26 მაისამდე, სანამ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა ფაქტად არ იქცა.

მკითხველს ეს ალბათ გაუკვირდება და გადაჭარბებას დამწამებს. მაგრამ აქ გასაკვირალი არაფერია. ეს პირდაპირ ლოღიკური გაგრძელება იყო ჩვენი, მენშევიკური პარტიის თითქმის 30 წლის მოღვაწეობისა. საქართველოს რუსეთის ფარგლებში დარჩენის იდეია შეადგენდა იმ ღერძს, რომლის ირგვლივაც ტრიალებდა ჩვენი და საქართველოში ყველა სხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის უთანხმოება. ეს იყო ჩვენი ბრძოლის საგანი. ამ ბრძოლის დროს ბევრი ჩვენი ამხანაგები გადადიოდენ ზომიერებისა და ხშირად მართებულების საზღვარს, ბევრი ჩვენგანი ისე შორს მიდიოდა, რომ უარსა ჰყოფდა ყოველისფერს ქართულს. მოიგონეთ ბ. **უჯირილელის (ირაკლი წერეთლის)** განცხადება: ქართველი ხალხი, საბედნიეროდ, „კვალის“ იდეოლოგიას ემხრობა და მას **„აწმყო გველივით ეზიზღება, წარსული ჭირივით ეჯავრება“** (იხ. „კვალი“. № 28, 1903 წელი).

მაგრამ რა საჭიროა უჯირილელის წერილების მოგონება, როცა თვითონ ნოე ჟორდანია იმავე აზრს ათასჯერ ასაბუთებდა. „ქართველი ხალხი თავის ნაციონალიზმს დაჟინებით უარყოფს“. (იხ. ნ. ჟორდანია. „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, გვ. 9). „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორც ქართველ ხალხს“. (გვ. 3). „ნაციონალური დროშა ხალხმა (ქართველმა) ერთი დაკვრით უარჰყო და მის ალაგას ინტერნაციონალური დროშა ააფრიალა“. (გვ. 5).

განა ამაზე უფრო უბადრუკი, უსაფუძვლო და უსუსური აზრი კიდევ შეიძლება? ხალხს თავისი საკუთარი აწმყო და წარსული ჭირივითა სძულს, მას თავისი საკუთარი ნაციონალური საკითხი სულაც არ აინტერესებს, ხალხი თავის ნაციონალურ დროშას უარყოფს!—რას ნიშნავს ეს? თუ ეს მართალია, თუ უჯირილელი და ნ. ჟორდანია არა სცდებიან, ქართველი ხალხი კი არა, ეს რაღაც მხეცების ბრბო ყოფილა. განა გაგონილა ისეთი ხალხი, რომელსაც ნაციონალური გრძნობა არა ჰქონდეს, რომ მას თავისი ნაციონალური არსებობა, თავისი საკუთარი ყოფნა-არყოფნის საკითხი არ აინტერესებდეს? არა, ასეთი ხალხი ჯერ ისტორიამ არ იცის. და ასეთი არ შეიძლება იყოს ის ქართველი ხალხი, რომელმაც რამდენიმე ათეულ საუკუნის განმავლობაში დაუსრულებელი ბრძოლით და სისხლისღვრის ფასით შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, თავისი მიწა-წყალი, თავისი კულტურა.

„ქართველმა ხალხმა თავისი ნაციონალური დროშა ერთის დაკვრით უარჰყო და მის ალაგას ინტერნაციონალური დროშა ააფრიალა“. მერე ინტერნაციონალური დროშის აფრიალება თვისი ნაციონალური დროშის, თვისი ნაციონალური ინტერესების უარყოფას ნიშნავს? რა ყოვლად ვულგარული გაგება ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეისა? ქართველმა ხალხმა ინტერნაციონალური დროშა იმიტომ კი არ აფრიალა, რომ მან თავისი ნაციონალური მეობის უარყოფა განიზრახა. სრულიად პირიქით, მან ინტერნაციონალური დროშა იმიტომ აფრიალა, რომ მით თავისი ნაციონალური სახე, ნაციონალური კულტურა, თავისი ტერიტორია, თავისი ეროვნული მეობა უკეთესად დაეცვა. ის მწარე გამოცდილებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინტერნაციონალური დროშის ქვეშ მას უფრო კარგათ შეუძლია მტრის დამარცხება და ის ათეული წლების განმავლობაში იბრძვის ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ქართველი ხალხი ინტუიტიურადა გრძნობდა და გრძნობს, რომ მისი სოციალური, პოლიტიკური და თვით ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია და სწორედ ამიტომ არის, რომ იგი იბრძოდა, იბრძვის და მომავალშიაც იბრძოლებს სოციალიზმის გასამარჯვებლად.

მერე სად არის აქ ნაციონალური გრძნობების უქონლობა, თავისი წარსულისა და აწმყოს ზიზღი და სიძულვილი? განა ეს არის თვის საკუთარ ნაციონალურ მეობაზე უარის თქმა? დაუმტკიცეთ ამ ხალხს, რომ ინტერნაციონალი მის ნაციონალურ ინტერესებს ფეხით გასთელავს, რომ სოციალიზმი ერთის დაკვრით მოისურვებს მისი ნაციონალური სახისა და მეობის მოსპობას და ქართველი ხალხი, როგორც ყველა სხვა ჩაგრული ხალხი, იარაღით ხელში შეებრძოლება როგორც ერთს, ისე მეორეს.

XXVII

პირველად, როცა ჩვენი პარტია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, ასეთი ნაციონალური ნიჰილიზმი სრულიად კანონიერი მოვლენა იყო. თუ არა ამ ნიჰილიზმის საშუალებით ჩვენ ვერ გავანთავისუფლებდით ქართველი ხალხის აზროვნებას ნაციონალისტების გავლენისაგან. მაგრამ სრულიად გაუგებრად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენმა პარტიამ ვერ დააღწია თავი ამ ნაციონალურ ნიჰილიზმს მაშინაც კი, როცა მას, ამ პარტიას, მთელ საქართველოში მეტოქე არა ჰყავდა, როცა ყოველ მის სიტყვას ხალხი სახელმძღვანელო კანონად იღებდა...

და სწორედ ის ნოე ჟორდანია, რომელიც დღეს ევროპაში ბროშიურებს ბროშიურებზე სწერს იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს უზენაესობა კომუნისტებმა მოსპეს, აქ, საქართველოში ყოველ გზა-ჯვარედინზე გვიმტკიცებდა: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელია, ეს ქართველი თავად-აზნაურობის იდეოლოგების მოგონებული კონტრ-რევოლუციონური იდეიაო.

ამას ამტკიცებდა ნოე ჟორდანია 17 თებერვლის რევოლუციამდე, ამასვე ამტკიცებდა ამ რევოლუციის შემდეგაც, 1918 წლის 26 მაისამდე, ესე იგი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებამდე. ნუ გეგონოთ, რომ მაშინ ეს მარტო ნოე ჟორდანიას კერძო აზრი იყო. თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ მოიწონა ნოე ჟორდანიას მოსაზრება და მისგან გამომდინარე თეზისები პარტიისთვის სახელმძღვანელოდ მიიღო.

ეს, ალბათ, იმდენად დაუჯერებლად მოეჩვენება მკითხველს, რომ ჩვენ საჭიროთ მივაჩნია აქ თვით ნოე ჟორდანია ავალაპარაკოთ. დეე მკითხველი თვით გაეცნოს საქმეს.

„...კუთხურ ნაციონალურ კრება ძალა-უნებურად ვერ შორდება თავის კუთხის ფარგალს, თავის ნაციის ინტერესებს და უპირდაპირება მეორე კუთხეს და ნაციას. აქ თანხმობის გზა დახშულია იმ უბრალო მოსაზრებით, რომ არ არის მეორე მხარე, რომელთანაც შეთანხმება საჭიროა. ასეთი კრებისთვის დაფუძნების უფლების მინიჭება უკვე ნიშნავს მის სუვერენობას, მაშასადამე, ნაციონალურ უმრავლესობას ხელთ უვარდება ბატონობა ნაციონალურ უმცირესობაზე და ნაციათა კონსტიტუციური გამიჯვნა აღარ ხდება, მებრძოლი ნაციონალიზმი ძალაში რჩება და გაბატონებული კლასის ნაციონალური იდეოლოგია სახელმწიფო აქტებში ტარდება.

„მეორე მხრივ, რაკი კუთხურ ნაციონალურ კრებულს უზენაესი უფლება მიენიჭება, ცხადია, ის თავის სამოქალაქო ცხოვრებას თვითვე აწესებს და ეკონომიურ ასპარეზს იფარგლავს. **ამის შედეგი იქნება ერთ, შედარებით პატარა სივრცეზე ამიერ-კავკასიაში მრავალუფლებიანობა და ეკონომიურად უკან დაქანება**“. (იხ. ნოე ჟორდანია. „ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში“. თეზისები და რეზოლიუცია. გამოცემა ამიერ-კავკასიის მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტისა რ. ს. დ. მ. პ. გვ. 14).

აი ამ მოსაზრებით ნოე ჟორდანია შეუძლებლად სცნობს საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ცალ-ცალკე რესპუბლიკებად არსებობას. რატომ? სად არის ასეთი პოლიტიკური დიაგნოზის გასამართლებელი საბუთები? ნოე ჟორდანიას აგონდება, რომ ის ცნობილი მარქსისტია და ამიტომაც თავისი ასეთი აზრის დასამტკიცებლად ეკონომიურ საბუთებს მიმართავს. ჩვენს ასეთ შეკითხვაზე ის გვიპასუხებს:

„განა შეუძლია აღმოსავლეთ კავკასიას უზღვოდ განვითარება? განა დასავლეთ მხარის მიუცილებელი საჭიროება არ არის ბაქოს ნავთი, კასპიის ზღვა და სპარსეთ-ინდოეთის საზღვრები? მაშასადამე კუთხური გამოყოფა ცალ-ცალკე ერთეულებად გამოიწვევს საწარმოვო ინტერესების შელახვას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთისას, როგორც თათრებისა და სომხების, ისე ქართველებისას. ნაციონალურ განხეთქილებას მიემატება მოქალაქეობრივი საწარმოვო განხეთქილება“ (იქვე, გვ. 14—15).

ნოე ჟორდანიას ეს არგუმენტი პარტიულმა ყრილობამ მოიწონა, მისი მოხსენება დაადასტურა, სახელმძღვანელოდ მიიღო. ეცნობით ამ ისტორიულ საბუთს და თვალებს არ უჯერით: პირდაპირ რაღაც ჯადოსნური გავლენა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთი უსაფუძვლო და უსუსური არგუმენტებით ხალხი დააჯეროს. იტყვიან: როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო და ეს თქმულება ისე არსად არ მართლდება, როგორც ამ შემთხვევაში. ჟორდანია ამტკიცებს რაღაც ყოვლად უსაფუძვლო აზრს და მრევლი სრულიად უკრიტიკოდ, სრულიად უაზროდ ტაშს უკრავს მას, სახელმძღვანელოდ იღებს მის სიტყვებს.

აბა კარგად დაუკვირდით ამ საბუთების ღირებულებას: „განა შეუძლია აღმოსავლეთ კავკასიას უზღვოდ განვითარება? განა დასავლეთ მხარის მიუცილებელი საჭიროება არ არის ბაქოს ნავთი, კასპიის ზღვა და სპარსეთ-ინდოეთის საზღვრები?“

ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ ხომ მთელ დედამიწაზე მხოლოდ ერთი სახელმწიფო უნდა არსებობდეს! ასეთი კითხვა ხომ ყოველთვის, ყოველ სახელმწიფოს შეიძლება დავუყენოთ: მე შენი ტერიტორიის, შენი ზღვის, შენი სატახტო ქალაქის, შენი მადნეულობის გარეშე არსებობა არ შემიძლია; მაშასადამე ყოველივე ეს შენი საკუთრებას არ უნდა შეადგენდეს!.. ამასვე არ ამბობდა პუშკინი: სპარსეთის გზები ჩვენ გვჭირდება იმიტომ, რომ უმისოდ ვერ განვახორციელებთ ნაპოლეონის პლანებს ინდოეთის დაპყრობის შესახებო. ამასვე ამტკიცებდა დოსტოევსკი: დარდანელი თათრებს არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც დარდანელი—„ეს თითქმის მთელი ჩვენი (რუსეთის) მომავალი ბედია. მასში ერთად არის თავმოყრილი ყველა ჩვენი ამოცანები; ეს არის ჩვენი ერთადერთი გამოსავალი ისტორიის სარბიელში“.

ნოე ჟორდანიას ეს ვითომდა უაღრესად დემოკრატიული არგუმენტები ასეთივე იმპერიალისტური ბუნების არის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პუშკინისა და დოსტოევსკის იმპერიალიზმი—მებრძოლი, აქტიური იმპერიალიზმია, მაშინ, როდესაც ნოე ჟორდანიას იმპერიალიზმი—პასიურია. ნოე ჟორდანია არავის არაფერს არ სტაცებს, ის მხოლოდ სხვის მტაცებლურ მადას ასაბუთებს და ამართლებს...

ბაქოს ნავთი აზერბეიჯანის რესპუბლიკაშია, მაგრამ მით მთელი ქვეყანა სარგებლობს, რატომ არ შეუძლია ამ ნავთით სარგებლობა დასავლეთ კავკასიას? ჭიათურის მარგანეცით მთელი ევროპა სარგებლობს, მაშასადამე ჭიათურა ევროპის სახელმწიფოებს უნდა ეკუთვნოდეს და არა საქართველოს, რადგანაც დასავლეთ ევროპის ინდუსტრიას უმარგანეცოთ არსებობა არ შეუძლია. რუსეთის პური მთელ ევროპას სჭირდება, მაშასადამე რუსეთს არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, ეს იქნება „მრავალუფლებიანობა და ეკონომიურად უკან დაქანება“.

ნ. ჟორდანიას არგუმენტები რომ გავიზიაროთ, ყოველისფერი, რაც კი ჩვენთვის საჭიროა, რაც კი მოგვეწონება, ყოველისფერი ჩვენი უნდა იყოს. ამ აზრს რომ გავყვეთ, არა თუ სახელმწიფოს ვერ დაარსებ, ეზოს ღობესაც კი ვერ შემოავლებ, რადგანაც ეს შენს მეზობელს ხელს შეუშლის, მის ინტერესებს ავნებს...

ასეთია ნოე ჟორდანიას არგუმენტების ღირებულება. მაგრამ აქ საყურადღებოა ერთი გარემოებაც. როგორც ვიცით, დღეს ნოე ჟორდანია საქართველოს ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკად არსებობის მომხრეთ, მისი სუვერენობის დამცველად გამოდის. ის ამ ნაციონალური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იყო და თავს დღესაც ასეთად სთვლის. მაშასადამე ნოე ჟორდანია თვითონ იმყოფება იმ ქართველი უმაღლესი წოდების მდგომარეობაში, რომლის წინააღმდეგაც ის იმავე ზემოთ დასახელებულ „მოხსენებაში“ ასე თავგამოდებით იბრძოდა.

„ვისი ინტერესია ამიერ-კავკასიის ასეთ თვითარს ნაჭრებად დაშლა?

პირველ ყოვლისა იმათი, ვინც ფართე ეკონომიურ ბაზარს არ საჭიროებს და მწარმოებელი ძალის აღორძინებაში დაინტერესებული არ არის. ასეთია თავად-აზნაურობა... ამ წოდებას არღვევს კაპიტალისტური პროცესი. ფართო თავისუფალი აღებმიცემობა და გზას უთმობს ბურჟუაზიას. ცხადია, მისი ინტერესი მოითხოვს მთელი ამისი დამრღვეველი პროცესის შეჩერებას და შებორკვას, ბაზრის დავიწროებას, თავისუფალი ვაჭრობის აღკვეთას და ასე **წყალზე ფეხით გაჩერებას.** ეს კი შესაძლებელია პატარა ტერიტორიალურ ერთეულში, რომლის კარების კანონით ჩაკეტვა ადვილია და წარმოების საშუალო დონეზე შეჩერება მოსახერხებელი. **საქართველოს უზენაესობა,—აი ქართველ წოდების ნაციონალური იდეოლოგია**“. (იხ. ნ. ჟორდანია, ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში“. გვ. 15).

ახლა ვეკითხები: როდის ბრძანდებოდა მართალი ნოე ჟორდანია? მაშინ, როცა იგი საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წინააღმდეგ გამოდიოდა, როცა **„საქართველოს უზენაესობა ქართველ წოდების ნაციონალურ იდეოლოგიათ“** მიაჩნდა, თუ დღეს, როცა იგი საქართველოს სუვერენობის დამცველად გამოდის? ჩვენის ღრმა რწმენით ის სცდებოდა და შეცდომაში შეჰყავდა მთელი პარტია, როცა საქართველოს სუვერენობის იდეას ქართველი უმაღლესი წოდების იდეოლოგიათ სთვლიდა. დღეს კი მისი ფრონტის შეცვლა, მეტი რომ არა ვთქვათ, ცოტა დაგვიანებულია. ვიმეორებთ, რომ ნ. ჟორდანიას ზემოთ მოყვანილი არგუმენტაცია არსებითად ემსახურებოდა რუსეთის იმპერიალიზმს ისე, როგორც პუშკინისა და დოსტოევსკის არგუმენტაცია. მხოლოდ დიდი რუსეთის დიდი მწერლები გამოდიან მებრძოლი იმპერიალიზმის დამცველად, მაშინ, როცა პატარა საქართველოს ცნობილი პუბლიცისტი გამოდის პასიურ პუბლიცისტათ, მის იდეოლოგათ...

და ყოველი ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ კომუნისტები საქართველოს უზენაესობას სპობენ, რომ ისინი მის დამოუკიდებლობას ჰკლავენ, ეს იმას ნიშნავს ჩვენში რომ იტყვიან: ჩემი შენ გითხარიო.

ჩვენ წინა წერილში დავინახეთ, რომ საბჭოთა კონსტიტუცია სრულიად უზრუნველჰყოფს საქართველოს სუვერენულ უფლებებს. და თუ ნოე ჟორდანია და „მისი მთავრობა“ კიდევ გაჯიუტდებიან და გვეტყვიან, რომ ეს კონსტიტუცია უბრალო ქაღალდის ნაგლეჯია, რომ კომუნისტები ამ კონსტიტუციას არ შეასრულებენ, რომ ისინი ამას მხოლოდ გულუბრყვილოების მოსატყუებლად სწერენ, ჩვენ მათ მოვახსენებთ, რომ ისინი სცდებიან.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კომუნისტების ასეთი ნაბიჯი პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ მათი ასეთი ნაბიჯი თვითონ კომუნისტების არა თუ პოლიტიკური, ფიზიკური სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა. ვისაც ეს არა სჯერა, მან არ იცის, თუ რა არის კომუნიზმი, რა არის მისი სული—ლენინიზმი. მან არ იცის, თუ რაში მდგომარეობს რუსეთის დიდი რევოლუციის დიდი ახალი მიღწევა, ახალი უდიდესი ღირებულება. ეს უდიდესი მიღწევა—**მესამე ინტერნაციონალის იდეიაა.** რაში მდგომარეობს ეს იდეა? ეს არის ნაციონალური საკითხის ახალი სხივებით გაშუქება.

მესამე ინტერნაციონალის იდეია ის არის, რაც მან თავის ჟურნალ **„აღმოსავლეთის ხალხებში“** ლოზუნგათ წამოაყენა:

„პროლეტარებო და ჩაგრულო ერებო ყველა ქვეყნისავ, შეერთდით!

გაუმარჯოს ამ იდეიას! გაუმარჯოს ამ ორი უძლეველი ძალის ერთობას!

ყარიბი.

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 124.

ტები, რომლებიც მას, თითქოს, მოეპოვება?

ვინაიდან ამ კითხვაზე ინგლისის მთავრობას არ მოუცია არც ერთი დასაბუთებული პასუხი, ამიტომ ერთადერთი დასკვნა, რომლის გამოტანაც შეუძლია მოუდგომელ ადამიანს—ეს არის ის, რომ **ბრიტანეთის მთავრობას არა აქვს არავითარი დამამტკიცებელი საბუთები.**

საჭირო არ არის გრძელი წერილების მოთავსება იმ გაზეთებში, რომლებიც დამოკიდებული არიან გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან, ინგლისის საზოგადოებრივობაც და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრიც მოითხოვენ მხოლოდ ერთს—უდავო საბუთებს.

ამ საბუთებს ელიან.

ცუდი საქმე ყოველთვის ძნელი დასაცავია. მაგრამ ამ სიყალბის დაცვა არასოდეს ისე ცუდათ არ ჩატარებულა, მიუხედავათ ბრიტანეთის კაბინეტის და „ტაიმს“-ის მოწინავეების ავტორის „არაჩვეულებრივი ჭკუისა“, როგორც დღეს.

რას ამბობენ ბრალდებულთა დამცველები?

„დეილი ტელეგრაფ“-ი ფიქრობს, რომ დოკუმენტების სინამდვილე დამტკიცებული იქნა შემდეგი ფაქტებით: „მაკდონალდს ამ წერილის სინამდვილეში ეჭვი არ ეპარებოდა (სხვათა შორის ვიტყვით, რომ შემდეგ **მაკდონალდი ამტკიცებდა, რომ მას არასოდეს არ უნახავს ამ წერილის დედანი და რომ მას არასოდეს არ მიუღია სულ მცირედი დამამტკიცებელი საბუთიც კი იმისა, რომ ეს წერილი ნამდვილია**); საგამომძიებლო კომისია, რომელიც მუშათა მთავრობამ გამოჰყო, ვერავითარ დასკვნამდი ვერ მივიდა. დაბოლოს, სრულებით არა აქვს მნიშვნელობა იმას, მართლა არსებობდა თუ არა ასეთი წერილი,—გამოქვეყნებული შინაარსი სავსებით ეთანხმება ზინოვიევის დოქტრინებს“.

არა, პატივცემულო ბატონებო „დეილი ტელეგრაფ“-იდან, საქმე იმაში კი არ არის, რომ მართლა არსებობდა თუ არა წერილი. საჭიროა მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ იყო თუ არა ჩადენილი სიყალბე, ვინ ჩაიდინა ის, რა მიზნით და ვის სასარგებლოთ იყო ის ჩადენილი და გამოყენებული. საკითხის დაყენება სხვანაირათ არ შეიძლება. და სიტყვების უაზრო და უხეში თამაში არ შეუძლია ამ საკითხის სხვანაირათ დაყენება.

განვიხილოთ, როგორ იცავს ამას „ტაიმს“-ი. ის ცდილობს მოხერხებულად გამოიყენოს იეზუიტური ხერხი. წერილის სინამდვილის დასამტკიცებლად, მას მოჰყავს დამატებით საბუთად საიდუმლო გამოძიება, რომელიც მოახდინეს კონსერვატიულმა კაბინეტმა და გარეშე საქმეთა სამინისტრომ.

ბრალდებულის თავის საკუთარ საიდუმლო მსაჯულად ჩათვლა,—განა ეს არის მთელი ინგლისის მართლმსაჯულების საფუძველი?

„კონსერვატორების კაბინეტის სა[illegible] 5 [illegible]იერისა

გან სამი გამოჩენილი „ლოიერი“ (ვექილი), გაიძახის „ტაიმს“-ი. განა უკვდავი მოლიერი არ გვასწავლიდა, რომ „ლოიერი“ შეიცავს სიტყვა „ლიარს“ (მატყუარას)?

„ტაიმს“-ი სისულელეთ ნათლავს გამოძიების მოხდენას ინგლისშიაც, რასაც მოითხოვს ტრედიუნიონების გენერალური საბჭო. და ინგლისის ბურჟუაზიას „ჭკუის კოლოფთა“ ორგანო ფიქრობს, რომ ამით ამოსწურავს მთელს საკითხს. ის სცდება, რადგან მანამდე, სანამ ყველაფერი საბოლოოდ არ იქნება გამორკვეული,—არასოდეს მთელს მსოფლიოში არ მოისპობა ხმა, რომელიც ბრალად სდებს მთავრობას „მონაწილეობას სიყალბის შედგენაში“ და „სპეკულიაციას ამ სიყალბით“.

რაც შეეხება დელეგაციის მოხსენებას, ამბობს „ტაიმს“-ი, არ შეიძლება მისი განხილვა დაწვრილებით.

ეს გასაგებიც არის!

მაგრამ არის კიდევ მეორე ბრალდებული—მაკდონალდი. ის კვდარივით ხმას არ იღებს. ის შეგვპირდა დიდის ამბით, რომ მოახდენდა საფუძვლიან გამოძიებას შეთქმულების შესახებ და ჩასწვდებოდა მას სრულ სიღრმემდე.

მას სთხოვდენ მალე დაეხწია თავი გაქვავებულ მდგომარეობისათვის. არაფერი არ შველის—არც გარკვეული კითხვები, არც გალაშქრება არც შეურაცხმყოფელი პოზიცია, რომელიც უჭირავს მის მიმართ ბურჟუაზიულ პრესას, არც განხეთქილების საფრთხე მის საკუთარ პარტიაში.

და აი ერთი კითხვა იბადება ყოველი მიუდგომელი ადამიანის აზრში. ეს მან მისცა ასეთი მნიშვნელობა ყალბ დოკუმენტს. მას ემყარება კონსერვატიული მთავრობა, რომელიც ამტკიცებს ამ დოკუმენტის სინამდვილეს. დოკუმენტის სინამდვილე მან დაიჯერა იმისათვის, რომ გაეგზავნა საბჭოთა მთავრობისათვის თავხედური ნოტა, მან დაიცვა თავისი მოხელეები გარეშე საქმეთა სამინისტროში; შემდეგში მანვე აღიარა, რომ არასოდეს თვალითაც არ უნახავს ეს დოკუმენტი.

და აი კითხვა: ამოქმედებდა თუ არა მას ბრმა სიძულვილი კომუნისტების და რუსეთის და გლეხების მთავრობის მიმართ?

მასზე იბადება კიდევ უფრო სერიოზული ეჭვი, ასე რომ მისი ჯიუტობა იმ საძაგელ მანერის წინაშე, რომლითაც მას ექცევიან ბურჟუაზიული მწერლები, ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათ მისი იმედი აქვთ. ამისთვის მაკდონალდი მიიღებს ჯილდოს.

მისი საკუთარი პარტია ხელს იღებს მის დაცვაზე, ხელს იღებს მასზე. მთელ რიგ შეკითხვებზე, რომლებიც წერილობით მისცა კომპარტიამ დამოუკიდებელ მუშათა პარტიას, დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მდივანმა ფენერ ბროკვეიმ უპასუხა, რომ ამას შესახებ უნდა შეეკითხოთ თვითონ მაკდონალდსო.

პარტიული ცხოვრება

მეტი ყურადღება ასეთ თემებს

როგორც ვიცით, სოფლის კომუჯრედი ეს ერთად-ერთი ძალაა, რომელიც განსაზღვრავს მთელს მუშაობას სოფლად. სოფლის კომუჯრედს უშუალო კავშირი აქვს უპარტიო მასასთან, ის აქტიურად მონაწილეობს სოფლად აღმშენებლობით მუშაობაში და ამასთანავე ერთად ის გაცილებით უკეთ არის გაცნობილი ჩვენი სოფლის საჭირბოროტო საკითხებშიაც.

მაგრამ ცხადია ისიც, რომ სოფლად ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის; განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ თემებზე, სადაც კომუჯრედი, როგორც ასეთი, არ არსებობს. მართალია ასეთ თემებში ზოგან არსებობდენ თანამგრძნობთა ჯგუფები, რომლებიც აწყობდენ კრებებსაც, მაგრამ მეთოთხმეტე პარტკონფერენციის დადგენილების თანახმად ასეთი პარალელური „ორგანიზაციის“ არსებობა მიზანშეწონილად არ იქნა ცნობილი. სწორედ ამ მიზნით ხელმძღვანელ პარტორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ასეთ თემებში ახალი კომუჯრედის დაარსებას.

რასაკვირველია, ეს უნდა მოხდეს ისეთ ადგილებში, სადაც საამისო პირობები მზად არის, ესე იგი, სადაც მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომლებიც თავიანთი სოციალური მდგომარეობით და პარტიული მიმართულებით მართლა საიმედო არიან საბჭოთა ხელისუფლებისათვის და უპარტიო მშრომელ მასაში მოპოვებული აქვთ საკმაო ავტორიტეტი.

მაგრამ როგორ და რა გზით უნდა მოხდეს ასეთ თემებში (სადაც კომუჯრედი არ არსებობს) ახალი კანდიდატების მიღება.

მეთოთხმეტე პარტკონფერენციის რეზოლიუციაში აღნიშნულია შემდეგი: „დაევალოს ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს სოფლად, სადაც ადგილი აქვს გლეხების და მოჯამაგირეების ლტოლვას პარტიისაკენ, მაგრამ არ არიან პარტიის წევრები, რომელთაც შეეძლოთ რეკომენდაციის მიცემა, გაგზავნონ პარტიული მუშაკები იმ გლეხების გასაცნობად, რომელთაც სურთ პარტიაში შესვლა; სათანადო შემთხვევებში მათ შეუძლიათ **მისცენ გლეხებს საჭირო პარტიული რეკომენდაცია**“.

პარტკონფერენციის ეს დადგენილება საფუძვლად უნდა იქნეს მიღებული ხელმძღვანელი პარტორგანოების მიერ და ურყევად ცხოვრებაში გატარებული.

კალე.

პარტიული ქრონიკა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტ-კონფერენციის შესახებ.

პრეზიდიუმმა დაავალა საორგანიზაციო კოლეგიას დანიშნოს სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციის მოწვევის ვადა და შეიმუშაოს კონფერენციის დღის წესრიგი.

ურწმუნოთა საზოგადოების შესახებ.

პრეზიდიუმმა დაადგინა მოაწყოს გაზეთ „ბეზბოჟნიკ“-ის მეგობართა სექცია და დაავალა სექციის თბილისის ბიუროს შეკრიბოს ყველა მასალები თბილისში არსებულ სექტების მუშაობის შესახებ. ზაფხულის განმავლობაში გადაწყვეტილია სოფლის მდგომარეობის შესწავლა სარწმუნოების მხრივ.

თბილისის კომიტეტის აგიტ-კოლეგიაში

კოოპერაციის საერთაშორისო დღის შესახებ.

აგიტ-კოლეგიამ, განიხილა რა საკითხი კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარების შესახებ, დაადგინა ეს დღე ჩატარებულ იქნეს მე-XIV-ე პარტკონფერენციის იმ გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელების ლოზუნგის ქვეშ, რომლებიც შეეხება კოოპერატიული აპარატის გაუმჯობესებას, მუშაობის სათანადოთ დაყენებას, კოოპერაციის დაახლოვებას მასებთან და მშრომელების ფართოდ ჩაბმას კოოპერაციაში.

4 და 6 ივნისს წარმოებებში უნდა წაკითხულ იქნეს მოხსენება კოოპერაციის და სადუქნო კომისიების მუშაობის შესახებ. ამასთან ერთად ეს დღეები გამოყენებული უნდა იქნენ იმისათვის, რომ ყველა მუშები ჩაწერილ იქნენ კოოპერატივის წევრებად.

ეკონომიური მშენებლობა

თბილისის კომუნალური ბანკი

(მოღვაწეობა 1925 წლის 1 ივნისამდი)

თბილისის კომუნალური ბანკი, რომელმაც მოქმედება დაიწყო ასი ათასი მანეთის თანხით, გაფართოვდა და განმტკიცდა.

ბანკის ბალანსი ექვსი თვის წინად აღწევდა 2.800.000 მან. ბანკის მუშაობა ნახევარი წლის განმავლობაში სწრაფად გაფართოვდა და განვითარდა და ეხლა ბანკის ბალანსი უდრის უკვე 7 მილიონ მანეთს.

ამ გარემოებამ ბანკს საშუალება მისცა გამსესხებელ-გამანაღდებელ ოპერაციებისთვის გაეღო 3.357.017 მ. 31 კაპ., რომელი თანხაც განაწილებულია შემდეგნაირად: ქალაქს და მის კომუნ. განყ.—934.649 მ. 14 კ. ანუ 28 პროც. სახელმწიფო დაწესებულებათ—1.437.176 მ. 69 კ. ანუ 42 პროც., კოოპერაციას—564.323 მ. 04 კ. ანუ 17,5 პროც. კერძო ვაჭრობა-მრეწველობას 420.668 მ. 44 კაპ ანუ 12 ნახ. პროც.,

3.357.017 მ. 31 კაპ ანუ 100 პროც.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნალური ბანკის გამგეობა ერთის მხრივ ეხმარებოდა ქალაქის კომუნალურ მეურნეობას ქალაქის კეთილ-მოწყობის საქმეში, მეორეს მხრივ კი იგი სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ქალაქის საცხოვრებელი სივრცის დაცვას და გაფართოვებას.

თბილისის სახლების მდგომარეობა ყველამ კარგად იცის; ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ კომუნალური ბანკი არის ერთად-ერთი ბანკი, რომელიც ემსახურება სარემონტო-სააღმშენებლო საქმეს კრედიტის გაცემით, რადგან თბილისში მომუშავე სხვა ბანკებს წესდების ძალით არა აქვთ ამგვარი სესხების გაცემის უფლება.

გამგეობამ, გაითვალისწინა რა ამ საკითხის განსაკუთრებული სიმწვავე, ამ საქმეს მარტო თბილისში მოახმარა 310.000 მანეთზე მეტი გრძელვადიან სესხის სახით. ეს თანხა გასცა მხოლოდ ცენტრმა, ხოლო თუ ამას შეუერთებთ სამაზრო განყოფილებების მიერ გაცემულ თანხებს, მაშინ ამ მიზნით გაცემული სესხი გადაამეტებს 400.000 მანეთს.

იმ გარემოებამ, რომ თბილისის კომუნალური ბანკი ემსახურება: ვაჭრობა-მრეწველობის, კომუნალურ მეურნეობის და სარემონტო-სააღმშენებლო საქმის ყველა დარგებს, აუცილებელ საჭიროებათ გახადა, თანახმად ადგილობრივ აღმასკომების ენერგიულ შუამდგომლობისა, განყოფილებათა გახსნა: გორში, ბათომში, ფოთში და ქუთაისში. ამ ქალაქებში განყოფილებანი უკვე არსებობენ და იქ მუშაობა სწარმოებს დიდის წარმატებით.

იმ მიზნით, რომ ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენი მსხვილი ცენტრებიც მოფენილი იქნენ განყოფილებათა ქსელით, გამგეობა, საბჭოს თანხმობით და ეკონომსაბჭოს დასტურით, ხსნის განყოფილებებს შემდეგ ქალაქებში: სიღნაღში, სოხუმში, ცხინვალში, ახალ-სენაკში, ჭიათურაში, თბილისში—პლეხანოვის პროსპექტზე და სააგენტოს ქ. სამტრედიაში.

ყველა აქედან აშკარაა, რომ თბილისის კომუნალური ბანკი წარმოადგენს არა მარტო თბილისის, არამედ რესპუბლიკანური მასშტაბის ბანკს.

ეს დებულება და ბანკის ოპერაციების თანდათანობითი ზრდა და განვითარება უკარნახებს გამგეობას იზრუნოს ბანკის ძირითადი თანხის გადიდებაზე ორ მილიონ მანეთამდე.

ქაღალდის ქარხანა

საქართველოში ქაღალდის ქარხნის აგების განზრახვა დაიძრა მკვდარ წერტილიდან.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ყიყიაშვილის მოხსენების თანახმად საბჭოთა კავშირის სახალხ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გამოგზავნოს საქართველოში პოლიგრაფიულ ტრესტის სპეციალისტები იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენად მოსახერხებელია ან რა დაჯდება ქაღალდის დამამზადებელი ქარხნის აგება.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ ფინანსთა სახალხო კომისარიატში გადაგზავნა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს შეკითხვა ამიერკავკასიაში ქაღალდის მასის და უმაღლესი ხარისხის ქაღალდის წარმოების მოწყობისა და განვითარების შესაძლებლობის შესახებ. შეკითხვა ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში გაგზავნილ იქნა იმ მიზნით, რომ კომისარიატს გამოეტანა თავისი დასკვნა ამ საკითხის შესახებ. სახელმწიფო შემოსავლების სამმართველომ ამ შეკითხვაზე უკვე გასცა პასუხი, სადაც სამმართველოს შესაძლებლად სცნობს ამიერ-კავკასიაში ქაღალდის წარმოების განვითარებას და მიუთითებს იმ ადგილებზე, სადაც შეიძლება აშენდეს ქარხნები და აგრეთვე აღნიშნავს, თუ რა ფარგლებში უნდა განვითარდეს ქაღალდის წარმოებები ჩვენში.

საქართველოში ქაღალდის ქარხნის აგების პროექტი შედგენილი აქვს აგრეთვე საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომელსაც უკვე შერჩეული და გამოძებნილი აქვს ქარხნის ასაგებად ქაღალდის წარმოებისათვის გამოსადეგი ტყის ჯიშების რაიონი. საქართ. მიწათმოქმედების სახ. კომის. პროექტით ამ მოკლე ხანში შეიძლება მოეწყოს ქაღალდის ისეთი ქარხანა, რომელიც დააკმაყოფილებს მთელი ამიერ-კავკასიის საჭიროებას, და გადარჩება კიდევ ამიერ-კავკასიის გარეთ გასაზიდათ.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი მიმდინარე წელში კრედიტებს აძლევდა სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგებს; 1924/25 წლის სამ მეოთხედში გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტის სახით გაცემული იქნა 5.407.000 მანეთი. ეს თანხა უნდა მოხმარდეს მუშა საქონლის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების შეძენას, მეღვინეობის განვითარებას, მიწათ-მოწყობას, სათესლე სესხის მიღებას და სხვა. კრედიტი მიეცა აგრეთვე მატყლის და ღვინის გასაღების ოპერაციებს.

გაცემული კრედიტის ზემოაღნიშნული საერთო თანხა განაწილებულია შემდეგნაირათ: გრძელვადიანი კრედიტი—1.067.000 მან., მოკლევადიანი კრედიტი—3.225.000 მანეთი, კრედიტები გეგმის გარეშე—1.115.000.

სათესლე ხორბლეულობის შესაძენათ ბანკმა წარსულ შემოდგომაზე და მიმდინარე წლის გაზაფხულზე გასცა 744.000 მან., ამას გარდა გლეხობას საქონლის საკვების შესაძენათ მიეცა 460.000 მანეთი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დახმარება, რომელსაც უწევს ბანკი მეღვინეობას და მევენახეობას. **მეღვინეობის განსავითარებლათ გაცემულია 392.000 მანეთი**, ღვინის გასაღების ოპერაციების გასაფართოვებლათ გაღებულია 567.500 მანეთი, ვენახების აღსადგენათ და ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ გაღებულია 400.000 მან.

ამრიგად, ბანკი გამოეხმაურა გლეხთა მეურნეობის ყველა საარსებო მოთხოვნილებებს, და ამავე დროს ის კრედიტებს იძლეოდა საერთო ხასიათის მუშაობისათვის, როგორიც არის, მაგალითად, მიწათმოწყობა, მელიორაცია, შინამრეწველობის განვითარება და სხვა სამუშაობები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებასთან.

თავისი საოპერაციო წლის მიმდინარე მეოთხე კვარტალში ბანკს შემუშავებული აქვს ფინანსიური გეგმა 2.597.500 მ. რაოდენობით, რომელი თანხიდანაც გრძელვადიან კრედიტისათვის გადადებულია 480.000 მან., მოკლევადიან კრედიტისათვის—1.430.000 მან. რესპუბლიკების მიხედვით ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველო—648.000 მან., აფხაზეთი—72.000 მ. აზერბეიჯანი—504.000 მან., ნახიჩევანის მხარე—56.000 მან. და სომხეთი—320,000 მან.

ფინანსთა სახალხო კომისარიატში

საგანგებო გადასახადი.

1924—25 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევრისათვის სათანადო გადასახადის აღრიცხვა დამთავრდა მიმდინარე წლის პირველ ივნისს.

ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის განკარგულების თანახმად, გადამხდელებმა, რომლებსაც თავის დროზე არ ჩაუბარებიათ ხარჯის ფურცლები, უნდა მიმართონ ადგილობრივ ფინინსპექტორის კანცელარიას და გამოარკვიონ მათზე შეწერილ გადასახადის რაოდენობა. აღრიცხული გადასახადი უნდა იქნეს შეტანილი სალაროში ორ ვადაზე: პირველი ნახევარი არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 ივნისისა, ხოლო მეორე ნახევარი არა უგვიანეს პირველ სექტემბრისა.

საღერბო გადასახადი გასაყიდათ გაყვანილ საქონლის კუთვნილების დასამტკიცებელ მოწმობაზე.

ამიერ-კავკასიის ფინ. სახ. კომის. რწმუნებულის სამმართველოს გადასახადთა განყოფილებაში მოდის ცნობები, რომ სოფლად ხელისუფლების ორგანოები ხშირად მიწის მუშებს და მესაქონლეებს ახდევინებენ გადამეტებულ საღერბო გადასახადს იმ მოწმობაზე, რომელსაც გლეხები ღებულობენ გასაყიდათ გაყვანილ საქონლის კუთვნილების დასამტკიცებლად.

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად [illegible] საგადასახადო [illegible] აქვეყნებს შემდეგ განმარტებას. საღერბო გადასახადისგან სრულიად თავისუფალია ის მოწმობა, რომელიც ეძლევა მიწის მუშას ან მესაქონლეს იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნულ პირს ეკუთვნის, გასაყიდათ გაყვანილი არა უმეტეს ორი სულის—მსხვილი, და 6 სულის—წვრილი,—საქონელი.

ასეთი მოწმობის მისაღებად მთავრობის ორგანოებში შეტანილი განცხადება საღერბო გადასახადიდან თავისუფალია.

ორ სულ მსხვილს და ექვს სულ წვრილს საქონელზე მეტ გაყვანილ საქონლის კუთვნილების დასამტკიცებლად ასაღებ მოწმობისათვის მიწის მუშა მესაქონლე იხდის ერთ მანეთიან საღერბო გადასახადს, თუ განცხადება სიტყვიერად არის შეტანილი; ხოლო თუ წერილობით 2 მანეთს.

საქართველოს ელექტროფიკაცია

ლაგოდეხის და ბაკურციხის ჰიდროელსადგურები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა კახეთის ელექტროფიკაციის გეგმა და დაადგინა მოეწყოს დაკვირვება მდ. ლაგოდეხის წყალზე, ერთი წლის განმავლობაში შესწავლილ იქნეს ამ მდინარის დებიტი, მდინარის აუზის ნალექები, აგრეთვე გამოკვლეულ იქნეს მდინარის ჰიდრო-გეოლოგიური პირობები და ის ადგილი, სადაც უნდა აიგოს ჰიდრო ტექნიკური შენობები.

ამასთანავე წინადადება მიეცა საგეგმო კომისიის სამრეწველო-საამშენებლო სექციას საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ერთად გამოიმუშავოს წინასწარი მოსაზრებანი კახეთის საელექტროფიკაციოდ ბაკურციხის ჩანჩქერის გამოყენების შესახებ.

აუცილებელი ცნობების წარდგენამდე კი, საგეგმო კომისიას დაუშვებლად მიაჩნია სადგურის საამშენებლო მუშაობის დაწყება.

აბაშის ჰიდროსადგური

საქართველოს საგეგმო კომისიის სამრეწველო-საამშენებლო სექციამ განიხილა აბაშის ჰიდრო ელექტროსადგურის ქაშხალის პროექტის ორი ვარიანტი, რომელიც გამომუშავებულია და წარდგენილი აბაშის ჰიდროელსადგურის სამუშაოთა უფროსის ინჟ. სიანოჟენსკის მიერ. ინჟ. ჭიჭინაძის დასკვნის თანახმად სექციამ მოიწონა პირველი ვარიანტი, რადგან ამ ვარიანტით ქაშხალის აგება უფრო ადვილი ხდება, იაფიც ჯდება და მოითხოვს უფრო ნაკლებ დროს ასაგებად.

ბარიტის წარმოება

მოსკოვიდან მიღებული ცნობებით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ბარიტის საფქვავი წისქვილის აგება და მინერალური საღებავების ქარხნის მოწყობა საქართველოში.

ბარიტის მადნები უხვად მოიპოვება ლეჩხუმში—ქუთაისიდან 30—40 ვერსის დაშორებით. ლეჩხუმის ბარიტის მადნებს თავისი რაოდენობით და ღირსებით პირველი ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირში და შეუძლია კონკურენცია გაუწიოს უცხოეთის ბარიტის მადნებს.

ბარიტი უმთავრესად იხმარება საღებავების, მაღალი ღირსების მინის დასამზადებლად და აპრეტურისათვის საფეიქრო მრეწველობაში. ამჟამად ქუთაისის რ. გ. სადგურზე ბარიტით იტვირთება 15 ვაგონი ლენინგრადსა, მოსკოვსა და ოდესაში გასაგზავნად.

ქუთაისის ახლო მუშაობს ბარიტის მფქველი მხოლოდ ერთი ელექტრო-წისქვილი 80 ცხენისძალიანი ელექტრომოტორით. წისქვილი ყოველ 7 საათში ამზადებს 500 ფუთ ფაბრიკატს. წისქვილი განიცდის მადნეულის დიდ ნაკლებობას, რის გამოც მას დროგამოშვებით, ყოველ 2—3 დღის შემდეგ უხდება მუშაობა.

მადნის ნაკლებობის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ ლეჩხუმიდან ბარიტს ურმებით ეზიდებიან, რადგან ხიდების სისუსტის გამო, ამ გზაზე დიდი ტვირთმზიდი ავტომობილები ვერ დაიარებიან.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბარიტს საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის, სჩანს 1913 წლის ცნობებიდან. ამ წელს რუსეთში შემოუტანიათ 6.900.000 ფუთი ბარიტის ფაბრიკატი, აქედან საქართველოდან გაუზიდავთ 400.000 ფუთი, დანარჩენი უცხოეთიდან და ურალიდან.

საქ. სამთო ქიმიური კომბინატი საბჭოთა რუსეთში გზავნის ბარიტს მადნეულის სახით, ხოლო ქუთაისის წისქვილს, რომელიც მხოლოდ ერთ ჯერზე მუშაობს დღე და ღამეში, ორ ჯერზე მუშაობით შეუძლია მოგვცეს დღიურად 1.000 ფუთი ფაბრიკატი. მადნის თვითეულ ფუთის დამუშავება ჯდება 70 კ.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. დადგენილების თანახმად, თუ ჩვენში მოეწყო მეორე წისქვილი და აგრეთვე საღებავების ქარხანა, ამასთანავე მოგვარდა ლეჩხუმიდან ბარიტის მადნის საჭირო რაოდენობით მოზიდვა, თანხა, რომელიც იხმარება ბარიტის ფაბრიკატის დამზადებას (ფუთი ჯდება—70 კაპ.) დარჩება ადგილობრივ—საქართველოში.

ცეკავშირის საბჭოს მეოთხე სესია

31 მაისს გაიხსნა და 1 ივნისს დამთავრდა ცეკავშირის საბჭოს მეოთხე სესია.

დღის წესრიგში წამოყენებული იყო „ცეკავშირის“ გამგეობის საანგარიშო მოხსენება, მოხსენება ცეკავშირის მიერ სესხის აღების პირობების შესახებ, მენშევიკური გამოსვლების დროს მიყენებული ზარალის შესახებ და სხვა.

ცეკავშირის გამგეობის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ელერდოვი).

მთავარი ამოცანა,—ამბობს მომხსენებელი,— რომელიც ამ საანგარიშო პერიოდში იდგა ცეკავშირის გამგეობის წინაშე, იყო სოფლებისათვის პირველ საჭიროების საქონლის მიწოდების საქმის განმარტივება.

წინად „ცეკავშირი“ პირველი საჭიროების საქონელს ჰგზავნიდა უპირველესად თავის საწყობებში, ხოლო იქიდან კი იგზავნებოდა ძირითად კოოპერატიულ ორგანოებზე დასარიგებლად. ამ საანგარიშო პერიოდში ეს წესი შეიცვალა, რის გამოც საგრძნობლად შემცირებულ იქნა საწყობებში საქონლის გადასაგზავნი ოპერაციები, სამაგიეროდ გაფართოვდა და გაცხოველდა ბაზრიდან საქონლის უშუალოდ მიწოდება გამანაწილებელ პუნქტებისათვის.

რაც შეეხება საქონლის ასორტიმენტის შერჩევას, ძალზე შემცირებულ იქნა საქონლის ნომენკლატურა; ამჟამად ცეკავშირის ასორტიმენტი შესდგება პირველი საჭიროების საგნებისაგან.

დანარჩენი საქონლით ვაჭრობა წარმოებს ან ძველი მარაგიდან ან ცალკე კოოპერატივების შეკვეთის მიხედვით.

გადადის რა ცეკავშირის საკომისიო ოპერაციებზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ დარგში ხვდება დიდი დაბრკოლებანი ერთი მხრივ იმიტომ, რომ სამრეწველო დაწესებულებანი თვით აწარმოებენ უშუალო ვაჭრობას ცალკე კოოპერატივებთან,—მეორე მხრივ თვით კოოპერატივები გვერდს უხვევენ ცენტრს და გამოდიან სეპარატიულად. მაგრამ ამჟამად ცეკავშირს უკვე აქვს დადებული ხელშეკრულება კამვოლის ტრესტთან, საფეიქრო სინდიკატთან, „კოჟსინდიკატთან“ და სხვა დიდ წარმოებებთან ცეკავშირის აპარატის საშუალებით ძირითადი კოოპერაციისათვის საქონლის მიწოდების შესახებ, მსგავსივე ხელშეკრულება დიდი ხანია დადებულია მონოპოლიური საგნებით (მარილი, ნავთი) ვაჭრობის შესახებ, განზრახულია აგრეთვე დაიდვას ხელშეკრულება „ხლებსინდიკატ“-თან „ცეკავშირის“ საშუალებით კოოპერატივებისათვის პურის მიწოდების შესახებ

შემდეგ მომხსენებელი ეხება ბრუნვას, რომელსაც სახელმწიფო მრეწველობის საქონლით ვაჭრობის დარგში ამ საანგარიშო პერიოდისათვის 4 მილიონ მან. **მიუღწევია.** რაც შეეხება დასამზადებელ ოპერაციებს, მხოლოდ მაისში სიღნაღის მაზრაში ცეკავშირს დაუმზადებია 5 ათასი ფუთი მატყლი. საზ. „ЦДТО“-სთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად სწარმოებს ჯაგრის დამზადება ამ საზოგადოების მიერ გაღებული თანხების საშუალებით გარდა ამისა დამზადებულ იქნა ნახევარ მილიონამდე ფუთი სიმინდი „ხლებოპროდუქტისათვის“, 38 ათასი ვედრო ღვინო და სხვა.

კამათი

ამხ. ელერდოვის მოხსენების გარშემო გამართა კამათი, რომელიც გაგრძელდა მეორე სხდომაზედაც. ოპონენტები ეხებოდენ რა „ცეკავშირის“ გამგეობის მუშაობის ნაკლს, საჭიროთა სცნობდენ საწყობებში საქონლის გზავნის ოპერაციების მინიმუმამდე შემცირებას, თანხების პირდაპირი დანიშნულების მიხედვით ხარჯვას, ულონო და სუსტ კოოპერატივებისათვის კრედიტის მიცემის შეწყვეტას და სხვას.

სხვადასხვა საკითხები

კამათის დასრულების შემდეგ წაკითხულ იქნა მოხსენებები მენშევიკების ავანტიურის დროს „ცეკავშირის“-თვის მიყენებულ ზარალის შესახებ და სხვა.

ცეკავშირის მიერ ვალის აღების შესახებ საბჭომ დაადგინა მიეცეს უფლება „ცეკავშირის“ გამგეობას აიღოს სესხი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 8 მილიონი მანეთის ფარგლებში.

საბჭომ მისცა აგრეთვე დირექტივები გამგეობას ზაფხულის განმავლობაში დაგზავნოს უკანასკნელი კურსის სტუდენტი ეკონომისტები სხვადასხვა კოოპერატიულ დაწესებულებებში სათანადო პრაქტიკის მისაღებად.

რეზოლიუცია გამგეობის მუშაობის შესახებ

ამხ. ელერდოვის მოხსენების მიხედვით მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც საბჭო იწონებს გამგეობის მუშაობას განვლილ პერიოდში და ამავე დროს ავალებს აღკვეთოს სესხის გაცემა ულონო და სუსტ კოოპერატივებზე, ხარჯოს თანხები პირდაპირი დანიშნულების მიხედვით, ეცადოს, რათა კოოპერატ. დაწესებულებებში სოციალ. დაზღვევის ანარიცხები გაუთანაბრდეს სახელმწიფო ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებისას, მინიმუმამდი დაიყვანოს საქონლის საწყობების საშუალებით მიწოდება და დაიცვას გამგეობის არჩევითი სისტემა.

პატარა ფელეტონი

თანამედროვე ჩანჩურას

ჩვენში ფეხი მოიკიდა ერთნაირმა სენმა: სპეკულატიურის მიზნით წამოიწყებენ „კამპანიას“ რომელიმე დიდი მწერლის, ან საზოგადო პიროვნების ირგვლივ (ყაზბეგის ავტორობის საკითხი), ჰმართავენ პანაშვიდებს და ფონდებს (აკაკის ირგვლივ), ან აწყობენ საჯარო დისპუტებს და გასამართლებებს (ჯაყოს ხიზნების გასამართლება). ყველა ამ ახალს წამოწყებებს პირველად აზის ერთნაირი სერიოზულობის ბეჭედი. მაგრამ ბოლოს ყველა ამისგან ხელში გვრჩება რაღაც გულის გამწყალებელი კარიკატურა და საზოგადოების აბუჩად აგდება.

(თანამედროვეობის ქრონიკიდან)

მწერლის და მოღვაწის სახელს
დღეს ბევრი ეპოტინება:
არ იცის, ჰყვირის, სულ ღრეობს,
თუ კი რამ ეცოდინება!..

საშა ყაზბეგით დაიწყეს
„მაძიებლებმა ბედისა“,
მსგავსი ჯერ არც კი გვსმენი
მოხმარა ყველა ყბედისა!

ჰფიქრობდენ, ალბათ, გამგონნიც
არ ვართ ყაზბეგის სწორისო:
„თუ კაცმა მტვერი იყაროს,
ისევ ამ დიდი გორისო“!..

არ ვიცი, ვინ რა ჩამორჩა
თუნდ აი, გონორარებათ,
მხოლოთ დიდხანს კი უარეს
ყაზბეგს გარს კუდა-ხარებით!..

შემდეგ აკაკის მიჰმართეს:
„მიგვიღე სამუშაოში,
თორემ სათესლე გასჭირდა
არ გახლავთ საკუჭნაოში“!..

პანაშვიდებით დაიწყეს,
საქმე თავდება ფონდებ თ...
ვირთხაც რომ ცხვრობით დაიწყებს,
მოდით და, ნუ დაღონდებით!..

ის ხომ ცხვრის ქურქშიც თაგვია.
ვერ ვის მოხიბლავს მგელობით...
არა, დღეს ვის აკვირვებენ
პანაშვიდების ხელობით?!

ბოლოს „ჯაყოზე“ გადვიდენ:
შეკრიბეს ყველა „ჩანჩურა“,
თეატრს რომ „სუდი“ დააჯდა,
სალარომ დაასარჩულა!..

ყველას მოსწყინდა ყურება
და იმას სწუხდა პარტერი,
მარგოს რომ სურდა გართობა,
არც მოყვარე ჩნდა, არც მტერი!..

არ ვიცი, რა ჰქნა სალარომ:
ვინ გაართო და ვინ არა?
„სუდი“ კი ბევრი გვსმენია,
არც ერთი მსგავსი მძინარა!..

მწერლის და მოღვაწის სახელს
დღეს ბევრი ებღაუჭება,
**არწივად ბუს ვერც ფრთა გახდის,
ვერც ცხვირის მოკაუჭება!..**

ონისიმე.

თბილისის საბჭოს სექციებში

სექციათა მუშაობის გეგმები

პირველ ივნისს საღამოთი თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგა ყველა სექციათა ბიუროების გაერთიანებული სხდომა სექციათა მუშაობის გეგმების განსახილველად, ერთი მეორესთან შესათანხმებლად და დასამტკიცებლად. სხდომა გახსნა ამხ. არჩ. რუხაძემ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში გაუსვა ყველა სექციების მუშაობათა გეგმის ერთი მეორესთან შეთანხმების საჭიროებას, განსაკუთრებით იმ მუხლებში, რომელნიც შეეხებიან სოფლად მუშაობას.

საფინანსო სექცია

(მომხ. ამხ. გავაშელი).

მიღებული გეგმის თანახმად საფინანსო სექციის მუშაობა უნდა სწარმოებდეს სამ მიმართულებით: მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, მიმდინარე წლის მეორე ნახევრის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულებისთვის თვალ-ყურის დევნება და, დასასრულ სექციათა წევრების მონაწილეობა საგადასახადო კომისიებში, აუცილებლად პირველ ოქტომბრისთვის თბილისის აღმასკომს უნდა ჰქონდეს უკვე დამტკიცებული ბიუჯეტი მომავალი წლისთვის; ამისთვის კი საჭიროა მუშაობა ჩატარდეს დაკვრითი წესით, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მოძრავი აპარატები, როგორიც არის სექციათა ბიუროები. ბიუროები აღმასკომის საბიუჯეტო სექციასთან ერთად განიხილავენ განყოფილებიდან შემოსულ მასალებს და ამ მასალების მიხედვით შეადგენენ ბიუჯეტს, რომელიც უპირველესად ყოვლისა, დამუშავებული იქნება ყველა სექციებში და შემდეგ გადაეცემა დასამტკიცებლად აღმასკომსა და საბჭოს.

საფინანსო სექციის მუშაობის გეგმა დამტკიცებულ იქნა.

ჯანმრთელობის სექცია

(მომხ. ამხ. კამალოვი).

სექცია დანაწილებულია სამ ქვესექციათ, თვითეულ მათგანს დაკისრებული აქვს სათანადო მუშაობა. ყველაზე მეტი მუშაობა დავალებული აქვს სანიტარულ-ეპიდემიურ ქვესექციას, რომელმაც თავის მუშაობას უნდა მისცეს, უმთავრესად, პროფილაქტიური ხასიათი და განახორციელოს საქმეთ დებულება:—„მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა თვით მშრომელთა საქმეა“, ამისათვის სექცია გაანვითარებს სანიტარულ მუშაობას, შექმნის სანიტარულ უჯრედებს, მოახდენს წარმოებათა და მათი გავლენის შესწავლას მუშათა ჯანმრთელობაზე. დიდი სამუშაო აქვს შესრულებული აგრეთვე დედობისა და ბავშობის დაცვის ქვესექციას, რომელსაც განზრახვა აქვს ბავშვებისა და დედების დამცველ ყველა დაწესებულებათა გამოკვლევა და მათზე სექციათა წევრების მიმაგრება. შემდეგ განზრახულია იმის შესწავლა, თუ რამდენათ ტარდება ცხოვრებაში დედობისა და ბავშვების დაცვის კანონთა კრებული.

სექციის მუშაობის გეგმა მოწონებულია.

კომუნალური სექცია:

(მომხს. ამხ. ახრიევი)

სექციის მუშაობის მთავარი საკითხია—კომუნალური მეურნეობის ყველა ქვეგანყოფილებათა და წარმოებათა ფინანსიურ სამეურნეო მდგომარეობის შესწავლა იმ მიზნით, რომ მომზადდეს საკითხი კომუნალურ წარმოებათა ტრესტის შექმნის შესახებ. შემდეგ მოსმენილ იქნება მოხსენებები ზაჰესის სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ. განხილული იქნება აგრეთვე ქალაქის კეთილ მოწყობის გეგმა ივნის-სექტემბრის პერიოდისთვის.

სექციის მუშაობის გეგმაში შედის საბინაო საკითხი, რომლის, მოსაგვარებლად სექციას დასჭირდება საბინაო შენებლობის მდგომარეობის შესწავლა და თავისი აზრის გამომუშავება ქალაქის ქონებათა ექსპლოატაციის შესახებ, გაცნობა „ცენტროსტროის“ და საბინაო კოოპერატივის მუშაობასთან.

დასასრულ სექციას მოუხდება სპეციალური კომისიის შექმნა კომუნალური მეურნეობისათვის 5-წლიანი საპერსპექტივო გეგმის გამოსამუშავებლად.

კომუნალური სექციის მუშაობის გეგმა მიღებული იქნა.

სახალხო განათლების სექცია

(მომხს. ამხ. ბერიძე).

სექციის მუშაობათა გეგმა შეიცავს ოთხთვიან პერიოდს ივნის-ოქტომბრამდე. ეს პერიოდი დანარჩენ პერიოდებისაგან განსხვავდება მით, რომ ივნისში მუშაობა თავდება და ჯამი უკეთდება ამ მუშაობის შედეგებს. ამ გეგმის მიხედვით სექციის წევრები მიმაგრებულნი იქნებიან განათლების განყოფილების სხვადასხვა დაწესებულებებთან, სადაც ისინი გაეცნობიან მათ მუშაობას. საქმის წარმატებისათვის განზრახულია რამოდენიმე კრების მოწვევა სექციის წევრთაგან, რომლებისთვისაც წაიკითხება მოხსენებები შრომის სკოლების მეთოდიკისა და ამოცანების შესახებ. შემდეგ ბიუროს მოუხდება სკოლების მდგომარეობის შესწავლა, იმ მიზნით, რომ შეიქნას საუკეთესო პირობები მომავალი წლისათვის.

დასასრულ სექციის ყველა წევრებს ევალებათ სკოლების საანგარიშო დღეებში მოხსენებების მოსმენა.

მუშაობის გეგმა დამტკიცებულ იქნა.

სოფლად მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის სექცია:

(მომხს. ამხ. აგიკაშვილი).

სექციის მუშაობის მთავარ მომენტს წარმოადგენს ქვედა ძირითადი აპარატის (სასოფლო საბჭოების, სათემო საბჭოების, თემის აღმასკომების) შესწავლა, ღონისძიებათა გამომუშავება საბჭოთა აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად და სხვა. ამაში შედის, როგორც არჩევნების დროს შემჩნეული აბსენტეიზმის, ისე საბჭოთა წევრების აქტიურობის შესწავლა და, ამრჩევლების წინაშე, საბჭოთა წევრების მიერ ანგარიშის წარდგენის ფორმის გამომუშავება. სექციის მუშაობის გეგმაში შედის აგრეთვე ღონისძიების გამომუშავება სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ასამაღლებლად.

საბჭოს წევრების მიერ სექციის მუშაობის გეგმაში შეტანილი იქნა მუხლი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების შესახებ.

სამხედრო სექცია

(მომხს. სიხარულიძე)

სამხედრო სექცია გაყოფილია ოთხ კომისიად და მათ შორის განაწილებულია შესასრულებელი ამოცანები, რომელშიდაც შედის იმ საკითხების შესწავლა, რომელთაც კავშირი აქვთ ტერიტორიალური ნაწილების შედგენასთან, სამხედრო პროპაგანდასთან, მწვევამდელების მომზადებასთან და სხვა. სექციამ უნდა გამოიმუშავოს დებულება სამოქალაქო კლუბებში სამხედრო კუთხეების მოწყობის შესახებ და გაატაროს იგი ცხოვრებაში. მოსახლეობისთვის სროლის შესასწავლად სექციამ უნდა მოაწყოს ორი სასროლი სადგური მუშათა რაიონებში. ინვალიდებისა და ჯარიდან განთავისუფლებულთა დასახმარებლად სექცია უნდა დაუკავშირდეს სათანადო ორგანიზაციებს, გამოარკვიოს ინვალიდთა და უმუშევართა მდგომარეობა და გამონახოს საღსარი მათ დასახმარებლად. კომუნალურმა კომისიამ უნდა შეისწავლოს საკითხი გარნიზონის ნაწილებისათვის კომუნალური სამსახურის გაწევის შესახებ, გააუმჯობესოს წყლის მიწოდების საქმე ბანაკებში და სხვა.

გეგმა მიღებულ იქნა.